875(075.3)
ქ-237

პროგრამა ლოგოსი

ბერძნული მითების სამყარო

ქაოსიდან კოსმოსამდე

(ურანოსი, კრონოსი, ზევსი)

-95104-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
ინსტიტუტი

•

პროგრამა «ლოგოსი»
პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

ენ

ბერძნული მითების სამყარო

ქაოსიდან კოსმოსამდე

(ურანოსი, კრონოსი, ზევსი)

წინათქმა, თხრობა, კომენტარები
რისმაგ გორდეზიანისა

დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ
დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
მოსწავლეთათვის

398 (075.3)
ქ-237

სერიის სარედაქციო კოლეგია

რისმაგ გორდეზიანი (მთავარი რედაქტორი)
ლაშა ბერაია (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ვალერი ასათიანი
ნანა ტონია
მანანა ფხაკაძე
მანანა ღარიბაშვილი
რუსუდან ცანავა
გიორგი ხომერიკი

95104

სერიის წიგნები გამოდის პროგრამის ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში ფინანსური ხელშეწყობით

მესამე გამოცემა: 2005
© პროგრამა „ლოგოსი“
ISBN 99940-31-72-4
ISBN 99928-65-11-3 (სერია)

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13
(თსუ VIII კორპ.), 0179 თბილისი
ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

შინაარსი

წინათქმა 6

1. თავდაპირველად იყო ქაოსი... 14

2. ურანოსი და გეა 15

3. სამყარო ივსება ღმერთებით 17

4. კრონოსი და რეა 23

5. ბრძოლა ტიტანებთან 26

6. ზევსის შთამომავლობა 31

7. ბრძოლა გიგანტებთან 35

8. ტიფონი 38

9. ალოადები 41

10. ოლიმპოსი და თორმეტი ოლიმპიელი ღმერთი 43

11. ზევსი – უზენაესი ღმერთი 48

ლიკაონი და მისი შვილები (50), სალმონევსი (51), იქსიონი (51), კეიქსი (52), ფილემონი და ბავკისი (54), იო (57), ეგინა (58), კალისტო (58)

კომენტარები 60

სახელთა საძიებელი 83

წინათქმა

მსოფლიოში, ალბათ, არ არის ისეთი ხალხი, რომელსაც არ შეუქმნია ლეგენდები და მითები გარდასულ მოვლენათა შესახებ. ამ ტრადიციულ ამბებს არ ჰყავთ სახელდებული ავტორები, მაგრამ მათ ნებისმიერი ერის კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. არ იქნება გადაჭარბებული, თუკი ვიტყვით, რომ მთელი კაცობრიობისათვის სრულიად განსაკუთრებულია ბერძნული მითების როლი. ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ ელინებმა და შემდეგ რომაელებმა შეძლეს ბერძნული ტრადიციული ამბები გასაოცარი ოსტატობით გადაეტანათ პროფესიულ მხატვრულ კულტურაში და საუკუნეების განმავლობაში მითოსით ესაზრდოვებინათ თავიანთი ლიტერატურა და ხელოვნება. სწორედ ამ მითოლოგიური სიუჟეტების საფუძველზე შეიქმნა ელადასა და რომში მრავალი ბრწყინვალე პოემა, ტრაგედია, ლირიკული ლექსი, ქანდაკება თუ ფერწერული სურათი. მითოსის განსაკუთრებული როლი თავიანთ შემოქმედებით ცხოვრებაში ბერძნებმა საკმაოდ ადრე შეიცნეს. მათ გასაოცარი გულმოდგინებითა და რუდუნებით იწყეს ელადის სხვადასხვა კუთხეში თავმოყრილი მითების შეგროვება თუ სისტემატიზაცია. მწერლობაში სპეციალური ჟანრი – მითოგრაფიაც კი წარმოიქმნა, რომელმაც იკისრა ამ ტრადიციული ამბების სიუჟეტური სქემების წერილობითი ფიქსაცია. ამის წყალობით ელინური მითოლოგია დღეს მსოფლიოში ყველაზე მეტად არის ცნობილი და შესწავლილი. იგი ბიბლიურ მითოლოგიასთან ერთად ყველაზე მეტ გავლენას ახდენდა და ახდენს კაცობრიობის მხატვრულ კულტურაზე, რომლის ძირითადი, უპოპულარულესი სახე-სიმბოლოები და სიუჟეტები სწორედ ბერძნული ტრადიციული ამბებიდან და ბიბლიიდან არის აღებული. ამიტომ ელინური მითების ცოდნა უკვე საკმაოდ ადრე იქცა ჯერ ევროპული, ხოლო შემდეგ კი მსოფლიო განათლებულობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად.

ელინური მითები შეგვიძლია რამდენიმე დიდ ჯგუფად გავაერთიანოთ: ა) მითები სამყაროსა და ღმერთების წარმოშობის შესახებ (კოსმოგონია და თეოგონია), ბ) მითები ოლიმპიური პანთეონის შესახებ, გ) ამბები მითიურ გმირებსა და ხალხებზე, დ) თებეს, ე) არგონავტებისა და ვ) ტროას ციკლის თქმულებები. ამას ემატება ცალკეული იზოლირებული მითოლოგიური სიუჟეტები და ე. წ. რომაული ფსევდომითოლოგია ანუ ლათინურენოვან მწერალთა ცდა, ბერძნული მითების სიუჟეტები დაეკავშირებინათ რომის ლეგენდარულ ისტორიასთან.

სწორედ ამიტომ ელინურ მითთა თანამედროვე მთხრობელებს უხდებათ გაითვალისწინონ არსებითად მთელი ანტიკური ლიტერატურა და ხელოვნება, ხშირად მოახდინონ ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა, გადაუხვიონ ტრადიციული მითოსის კონსტრუირების სპეციფიკას – ამბის მშრალ გადმოცემას და თავიანთი თხრობა ბელეტრისტული ელემენტებით გაამრავალფეროვნონ. შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ის წყაროები, რომელთა გათვალისწინებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მითთა თხრობისას.

უძველესი და უმთავრესი წყაროები ჩვენთვისაც და თვით ელინი მწერლებისთვისაც იყო ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“, რომლებიც, როგორც ჩანს, ძვ.წ. VIII საუკუნეში უნდა შეექმნა ავტორს. მართალია, ჰომეროსი თავისი ნაწარმოებების სიუჟეტს ტროას ციკლის ამბების საფუძველზე შლის, მაგრამ ორივე პოემა შეიცავს საკმაოდ ფართო ინფორმაციას ე. წ. მითოლოგიურ წარსულზე. სამყაროსა და ღმერთების წარმოშობის შესახებ მითთა პირველი სისტემატიზატორი, ჰესიოდე, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები პოეტი იყო. მისი პოემა „თეოგონია“ გადმოგვცემს მთელ ინფორმაციას იმაზე, თუ რა გზა განვლო სამყარომ ქაოსიდან ზევსის მეუფებამდე. ჰესიოდეს თუ მისი სახელით ცნობილი სხვა პოემები – „სამუშაონი და დღენი“, „ჰერაკლეს ფარი“, ფრაგმენტულად მოღწეული „ქალთა კატალოგი“ და სხვა ძალზე მნიშვნელოვანია ბერძნული მითების სისტემატიზაციისათვის. ჰომეროსსა და ჰესიოდეს მრავალი მიმდევარი თუ შემავსებელი ჰყავდათ. მათი უმეტესობის თხზულებებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია ან შემორჩა ერთობ ფრაგმენტულად. გამონაკლისს წარმოადგენს ჰომეროსის „ჰიმნების“ კრებული, რომელიც ბევრ საინტერესოს გვამცნობს ელინთა ღმერთების ცხოვრებიდან. საკმაოდ საყურადღებოა ძვ.წ. VII-V საუკუნეების ბერძნული ლირიკა, განსაკუთრებით კი პინდარესა (VI-V სს.) და ბაკქილიდეს (V ს.) ჩვენამდე

მოღწეული ოდები, რომელთა ცენტრალურ ნაწილს ხშირად ამა თუ იმ მითოლოგიური სიუჟეტის თხრობა წარმოადგენს.

ძვ.წ. VI საუკუნეში წარმოიქმნა სპეციალური ჟანრი მწერლობისა – ლოგოგრაფია ანუ „ამბავთა წერა“, რომელიც, არსებითად, პროზაულად დაწერილი ისტორიოგრაფიული თხზულებების შექმნას დაედო საფუძვლად. პირველ ეტაპზე ლოგოგრაფოსები იყარგლებოდნენ ელინთა ლეგენდარული ისტორიის ანუ მითების თხრობით. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილნი იყვნენ ჰეკატეოს მილეტელი (ძვ.წ. VI-V სს.) და ჰელანიკოს მიტილენელი (ძვ.წ. V-IV სს.). რასაკვირველია, ძვ.წ. V-IV სს. ბერძენი ისტორიკოსებიც – ჰეროდოტე, თუკიდიდე, ქსენოფონი – გვაწვდიან ჩვენთვის საინტერესო არაერთ ცნობას ძველი მითების შესახებ.

მითებით არის შთაგონებული მთელი ბერძნული ტრაგედია (ძვ.წ. V ს.). ესქილემ, სოფოკლემ და ევრიპიდემ შეძლეს მათში ტრაგიკული სულის აღმოჩენა. თითქმის ყოველი ჩვენამდე მოღწეული ტრაგედია ამა თუ იმ მითოლოგიური სიუჟეტის ტრაგიკული ინტერპრეტაციის ბრწყინვალე ნიმუშია. ამდენად ბერძნული ტრაგედია ელინური მითოლოგიით დაინტერესებული მკითხველისათვის ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს.

მითებს არეკლავდნენ სატირული დრამები და კომედიებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პიესები, რომელნიც მითთა ტრავესტიებს ან პაროდიებს ქმნიდნენ.

ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულიდან, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების წყალობით, მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებას იწყებს ბერძნულის საფუძველზე ჩამოყალიბებული ელინისტური კულტურა. ამ ეპოქის მწერლებმა ბევრი გააკეთეს, რათა ელინური მითებისათვის ახალი სული შთაებერათ მხატვრულ ლიტერატურაში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია კალიმაქოსის („აიტიები“, „ჰიმნები“ და სხვ.), აპოლონიოს როდოსელის (პოემა „არგონავტიკა“), თეოკრიტოსის („იდილიები“) როლი. შემდგომ პერიოდშიც, როდესაც ბერძნული მითების მიმართ სკეპტიციზმმა იმატა, მათ მაინც ხშირად მიმართავდნენ მწერლები. თვით სატირიკოსი ლუკიანოს სამოსატელიც (ახ.წ. II ს.) კი, ასე რომ დასცინის ტრადიციულ ბერძნულ რელიგიასა და მითოლოგიას, მართალია, სატირული ასპექტით, მაგრამ მრავალ საკმაოდ საინტერესო მითოლოგიურ სიუჟეტს წარმოგვიდგენს. ბუნებრივია, მითოლოგიური ინფორმაცია, როგორც ლეგენდარული ისტორიის ნაწილი, უხვადაა წარმოდგენილი ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა თხზულებებში, ხოლო ფილოსოფოსები, განსაკუთრებით პლატონი (ძვ.წ.

IV ს.) მშვენივრად იყენებდნენ ამა თუ იმ მითს თავიანთი თეორიული მოსაზრებების სისწორის დასამტკიცებლად.

ბერძნულმა მითებმა უხვი საზრდო მისცეს რომაულ მწერლობასაც. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ვერგილიუსის (ძვ.წ. I ს.) „ენეიდა“, „ბუკოლიკები“, „გეორგიკები“, ოვიდიუსის (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) „მეტამორფოზები“, სენეკას (ახ.წ. I ს.) ტრაგედიები და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ე. წ. მითოგრაფიული კრებულები, რომლებშიც ფიქსირებული და სისტემატიზებული იყო მთელი ელინური მითოლოგია სქემატური მოთხრობების სახით. უკვე ძვ.წ. IV საუკუნეში ასკლეპიადეს ტრაგილოსელმა შეკრიბა და დაჯგუფა თავის „ტრაგოდუმენაში“ ბერძნულ ტრაგედიებში გამოყენებული ყველა მითოლოგიური სიუჟეტი. სწორედ ამ წიგნის საფუძველზე შეიქმნა შემდგომ ისეთი მითოლოგიური სახელმძღვანელოები, როგორიცაა აპოლოდოროსის სახელით მოღწეული „ბიბლიოთეკა“ (ახ.წ. I ს.) და ჰიგინუსის „ფაბულები“ (ახ.წ. II ს.). მასვე ითვალისწინებს კიდევ სამი კრებული, შექმნილი ადრეულ შუა საუკუნეებში, რომლებიც შევიდა კორპუსში: „ვატიკანის მითოგრაფოსები“.

თვითონ გვიან ანტიკურობაშიც კი, როდესაც ქრისტიანული იდეოლოგია სულ უფრო და უფრო მეტად იჭერდა ანტიკურის ადგილს, მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელოვან წყაროს ისევ და ისევ ბერძნული მითები წარმოადგენდა. ამის ნათელი დასტურია ნონოსის (ახ.წ. V ს.), დრაკონციუსის (ახ.წ. V ს.), მუსეოსის (ახ.წ. V-VI სს.) შემოქმედება. როგორც ვხედავთ, თუმცა ანტიკური ლიტერატურის რეალურად არსებულ ძეგლთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, იგი, არსებითად, საკმარისია ბერძნულ მითოლოგიაზე საკმაოდ სრული წარმოდგენის შესაქმნელად. ამას ემატება ხელოვნების მრავალი ძეგლი, რომელიც ავსებს ჩვენს წარმოდგენას ამა თუ იმ მითოლოგიური სიუჟეტის შესახებ.

ბერძნული მითები მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოსთან. ამიტომ ქვემოთ ხშირად მოვიხსენიებთ ამა თუ იმ მხარეს, ქალაქს, მთას, ზღვასა თუ მდინარეს. სავსებით ბუნებრივია, ელინური მითების გეოგრაფია ძირითადად საბერძნეთთან არის დაკავშირებული. წარმოვიდგინოთ ზოგადად ის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ვითარდება წინამდებარე სერიაში მოთხრობილი ამბები.

ძველი ელადა განფენილი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, განსაკუთრებით ინტენსიურად მოსახლეობდნენ ელინები ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მცირე აზი-

ის დასავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ სანაპირო ზოლში. ბერძნული კოლონიზაციის შედეგად მათ საკმაოდ ადრე მოიკიდეს ფეხი სამხრეთ იტალიაში, შავიზღვისპირეთში და ადრიატიკის ზღვაში. მაგრამ მთელ ამ სივრცეს ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მოეფინნენ, რომელიც სამ ოლქად იყოფოდა – ჩრდილო, შუა და სამხრეთ ოლქებად. ჩრდილოეთ საბერძნეთში ორი ძირითადი მხარე – ეპირე და თესალია შედიოდა, რომლებიც ერთმანეთისაგან პინდოსის ქედით იმიჯნებოდა. ეპირეს თავისი მთებითა და ტყეებით მკაცრი ბუნებრივი პირობების მქონე სხვათაგან მოწყვეტილ მხარედ მიიჩნევდნენ, მაშინ, როდესაც თესალიის დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მთებით შემოსაზღვრული ტერიტორია დიდი დაბლობითა და მდინარით განთქმული იყო თავისი ნაყოფიერებით. თესალიის ჩრდილოეთით მდებარეობდა ოლიმპოსის მთა, რომლის თოვლიანი მწვერვალი 2985 მეტრის სიმაღლეზეა აღმართული. ჩრდილოეთ საბერძნეთი შუას თერმოპილეს ვიწრო გასასვლელით უკავშირდება. შუა საბერძნეთში შემდეგი ძირითადი ოლქები შედიოდა: აღმოსავლეთით – ატიკა (ცენტრი ათენი), მისგან ჩრდილო-დასავლეთით ბეოტია მდებარეობს თავისი ცნობილი ქალაქით თებეთი, ამ უკანასკნელისაგან დასავლეთით – ფოკისი, სადაც დელფოს ცნობილი სამისნო და აპოლონის საკულტო ცენტრი იყო, ეტოლია და აკარნანია. ატიკისაგან ჩრდილოეთით დორისი და ლოკრისი მდებარეობს. შუა საბერძნეთი კორინთოსის ყელით ანუ ისთმოსით, სადაც მდებარეობს ქალაქი კორინთოსი, სამხრეთ საბერძნეთს უკავშირდება, რომელსაც პელოპონესოსი („პელოფსის კუნძული“) ეწოდება. მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს აქაია, დასავლეთით – ელისი, ოლიმპიის წმინდა ჭალითა და ზევსის საკულტო ცენტრით, ჩრდილო-აღმოსავლეთით – არგოლისი, ქალაქებით: მიკენი, ტირინსი, არგოსი, ცენტრში – არკადია, სამხრეთ-დასავლეთით – მესენია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – ლაკონია თავისი ცნობილი დასახლებით – სპარტით.

ეგეოსის ზღვაში ბერძნებს ეკავათ კუნძულები: ევბეა, ე. წ. კიკლადები (ანუ წრიულად განლაგებული კუნძულები): ნაქსოსი, პაროსი, ანდროსი, სიფნოსი, სერიფოსი, თერა, მელოსი; დელოსი, ე. წ. სპორადები (ანუ დაფანტულად განლაგებული კუნძულები): როდოსი, სამოსი, ქიოსი, ლესბოსი, ლემნოსი, თასოსი. ხმელთაშუა ზღვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კრეტას, რომელსაც ასქალაქას უწოდებდნენ, კითერას, კვიპროსს, ხოლო იონიის ზღვაში – კორკირას, ლევკასს, ითაკას, კეფალენიას, ძაკინთოსს.

ბერძნებმა საკმაოდ ადრე მოიკიდეს ფეხი მცირე აზიაში, რომლის სანაპირო ზოლის ჩრდილო-დასავლეთით ეოლია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით იონია მდებარეობდა თავიანთი ცნობილი ცენტრებით: მილეტოსით და ეფესოსით.

მაგრამ იმ ლეგენდარულ ეპოქაში, როდესაც ხდება ბერძნული მითების მოვლენები, ბალკანეთის გარშემო მრავალი კუნძული, მცირე აზიის იონიური და ეოლიური სანაპირო (რომ აღარაფერი ვთქვათ ბერძნულ კოლონიებზე დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში) წინაბერძნულ ტომებსა თუ სხვა ხალხებს ეჭირათ. ბერძნულ მითთა სიუჟეტები ხშირად ვითარდება ელინური ტომებით დასახლებულ ტერიტორიათა ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით ხშირია ბერძნულ მითებში საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე თრაკიის, მცირე აზიის ე. წ. ეოლიურსა და იონიურ ნაწილებში მდებარე ტროადის, კარიისა და ლიკიის, მათ მეზობლად განლაგებული ფრიგიის, შავიზღვისპირეთში გაშლილი კოლხეთის, სადღაც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მდებარე ეთიოპიის, რასაკვირველია, ეგვიპტისა და ლიბიის მოხსენიება. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბერძნულ მითოლოგიაში ფინიკიასა და ფინიკიელებს.

რაც შეეხება თავად საბერძნეთს, აქ უმნიშვნელოვანეს წინაბერძნულ ტომებად პელასგები, ლელეგები, კარიელები და კუნძულ კრეტის მკვიდრნი მოიხსენიებიან.

წინათქმაში ჩვენ, არსებითად, გვერდს ავუვლით ბერძნული მითების ისტორიულ რეალობებთან მიმართების საკითხს, რადგან მათზე შედარებით დაწვრილებით ვისაუბრებთ ცალკეული წიგნების კომენტარებში. აქ კი მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: ბერძნული მითების მოქმედება ხდება დროის გარკვეულ მონაკვეთში. უფრო მეტიც, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ე. წ. მითოლოგიურ ქრონოლოგიაზეც კი, რომელიც არსებითად სრულდება ძვ.წ. XI საუკუნეში. ელინურ მითებში მოთხრობილი თითქმის არცერთი ამბავი არ გადმოდის ამ ქრონოლოგიურ ზღვარს. რაც შეეხება მითოლოგიური წელთაღრიცხვის დასაბამს, აქ საკითხი უფრო რთულადაა. ღმერთებისა და სამყაროს ამბების დათარიღება ძირითადად შეუძლებელია, უბრალოდ, ყოველივე ეს ხდებოდა ძალზე ადრე. რაც შეეხება ამბებს გმირებზე და მოკვდავთა საქმეებზე, შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ, რომ აქ ელინთა მითოლოგიური მეხსიერება ვერ სცილდება ძვ.წ. XX-XIX საუკუნეთა დასაწყისს. შესაბამისად, ყოველივე ის, რაც ამ ჯგუფის მითებშია მოთხრობილი, არსებითად, ერთი ათასწლეულის ფარგლებში ექცევა. გასული საუკუნის მეორე

ნახევარში შლიმანმა პირველმა აღმოაჩინა ტროა, მიკენი, ბრინჯაოს ეპოქის ზოგიერთი სხვა დასახლება და ამით დასაბამი მისცა ბერძნული მითების ისტორიული ძირების კვლევას. შემდგომმა ბრწყინვალე არქეოლოგიურმა გათხრებმა საბერძნეთში და ხმელთაშუაზღვისპირეთის მრავალ რეგიონში ნათელყვეს, რომ ძვ.წ. II ათასწლეული მართლაც ბრინჯაოს ხანის დიდი ცივილიზაციების გაფურჩქვნის ეპოქა ყოფილა, რომ მითების გეოგრაფია და ქრონოლოგია ძალზე ხშირად სავსებით რეალურ ისტორიულ საფუძველს ეყრდნობა, რომ თავად ელინები არ ცდებოდნენ, როდესაც მითებში თავიანთ ძველ ისტორიას ხედავდნენ და მათ სავსებით სერიოზულად მიიჩნევდნენ ამ ისტორიის საკმაოდ სანდო წყაროებად. დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ კრეტაზე ძვ.წ. XIX-XVI საუკუნეებში ბრწყინვალე წინაბერძნული კულტურა ყვაოდა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაში კუნძულის ლეგენდარული მეფის, მინოსის სახელის მიხედვით მინოსურს უწოდებენ. ხოლო კონტინენტურ საბერძნეთში თავად ბერძნებმა ყველაზე გვიან ძვ.წ. XVI საუკუნიდან მაინც შექმნეს სწორედ ის ცივილიზაცია, რომელიც აისახა მითებში პერსევსზე, თესევსსა თუ ჰერაკლეზე, არგონავტების ლაშქრობაზე, თებეს ტრაგიკულ ამბებსა და ტროას ომზე. ძვ.წ. XIV-XII საუკუნეების ბერძნული ე. წ. B-ხაზოვანი დამწერლობის სისტემით შესრულებული წერილობითი წყაროები ნათელს ხდიან, რომ მრავალი მითოლოგიური პირის სახელი პოპულარული ყოფილა უკვე იმ ეპოქაში, არქეოლოგთა აღმოჩენები კი გვიჩვენებენ, რომ ქალაქები, სადაც ბერძნულ მითთა სიუჟეტები ვითარდება, იმ დროს მართლაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მათგან განსაკუთრებით მიკენი გამოირჩეოდა, რომლის მიხედვითაც ახლა ელინთა მიერ შექმნილ გვიანბრინჯაოს ხანის ცივილიზაციას მიკენურს ვუწოდებთ. ჩვენ შევეცდებით კომენტარებში წარმოვადგინოთ ეს კავშირები მითებსა და ისტორიას შორის.

„ბერძნული მითების სამყარო“ გამოდის ათ წიგნად. თითოეული მათგანი წარმოგვიდგენს ამბების გარკვეულ ერთობლიობას, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ღირებულება. ასე, მაგალითად, იმისათვის, რომ გავერკვიოთ ერთ წიგნში გადმოცემულ მითებში, არ არის სავალდებულო, აუცილებლად წავიკითხოთ დანარჩენი წიგნები. მაგრამ ვისაც სურს სრული წარმოდგენა შეიქმნას ელინურ მითებზე, მას, რასაკვირველია, ვურჩევთ ათივე წიგნის წაკითხვას. თითოეულ ტომს მითების თხრობის შემდეგ მოსდევს კომენტარების განყოფილება, სადაც მკითხველი იპოვის ცნობებს იმის თაობაზე, თუ რომელი ნაწარმოებების მიხედვით არის გადმოცემული წიგნში ესა თუ ის მითი, მისი კიდევ რომელი ძირითადი ვარიანტები იყო ცნობილი ბერძნულ ტრადიციაში; აქვე მაქსიმალურად პოპულარული ფორმით იქნება წარმოდგენილი ისტორიული თუ არქეოლოგიური ხასიათის კომენტარები. არგონავტების მითისადმი ქართველი მკითხველის განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამის წიგნს შედარებით უფრო დაწვრილებითსა და მეცნიერულად გამართულ კომენტარებს დავურთავთ. თითოეულ წიგნს თან ახლავს ანტიკურ ეპოქაში შექმნილი პლასტიკური თუ ფერწერული ილუსტრაციები მასში წარმოდგენილი მითებისა.

ამდენად, მკითხველს ვთავაზობთ ელინური მითების პირველ სრულ, სათანადოდ კომენტირებულსა და ილუსტრირებულ გამოცემას ქართულ ენაზე. ჩვენი სურვილია, რომ სერიას ბევრი მეგობარი გაუჩნდეს ახალგაზრდა ქართველ მკითხველთა შორის, რომ მან თავისი როლი შეასრულოს მათი აზროვნებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში. ძვირფასო მკითხველებო, გიწვევთ სამოგზაუროდ ელინური მითების საოცრად მომხიბვლელსა და საინტერესო სამყაროში.

რისმაგ გორდეზიანი

1 თავდაპირველად იყო ქაოსი...

მრავალფეროვანია და ვრცელი სამყარო, რომელსაც ოლიმპიელი ღმერთები მართავენ, მაგრამ იგი ყოველთვის როდი იყო ამგვარი. მან, ვიდრე ზევსი მოევლინებოდა უზენაეს ღმერთად, გარდაქმნებისა და განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო.

თავდაპირველად გაჩნდა ქაოსი — უკიდეგანო, უსინათლო სივრცე, რომელშიც ჯერ კიდევ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. შემდეგ კი იშვნენ: გეა — ფართომკერდიანი დედამიწა, რომელსაც წილად ხვდა, უკვდავთათვისაც და მოკვდავთათვისაც საიმედო თავშესაფრად ქცეულიყო; ბნელი ტარტაროსი, რომელიც იმდენად ღრმად იყო მოქცეული მიწის ქვეშ, რომ დედამიწის ზედაპირიდან ჩაგდებული გრდემლი იქამდე ჩაღწევას ცხრა დღესა და ცხრა ღამეს ანდომებდა. ტარტაროსში მოხვედრა უდიდესი ტანჯვა და სასჯელი იყო თვით უკვდავი ღმერთებისთვისაც კი; ეროსი — ღონისწამრთმევი სიყვარული, უმშვენიერესი ღმერთთა შორის, რომელიც მოკვდავთა გულებს იპყრობს და მათ გონებას ართმევს.

ქაოსიდან გაჩნდნენ ერებოსი — წყვდიადი და ნიქსი — შავი ღამე. ისინი ერთმანეთს დაუკავშირდნენ სიყვარულით და შვეს ეთერი — მიწისზედა ჰაერის ნათელი სივრცე და ჰემერა — დღე.

გეამ შვა ურანოსი — ზეცა, ზომითა და განფენილობით თავისივე ტოლი, რათა მას დაეფარა დედამიწა ყოველი მხრიდან და თან ნეტარი ღმერთებისათვის უსაფრთხო სამკვიდრებელი გამხდარიყო. გეამ ასევე გააჩინა დიდი მთები, რომელთა მღვიმეებში და ტყიან ფერდობებზე ქალღმერთ ნიმფებს აქვთ დადებული ბინა და პონტოსი — უნაყოფო ზღვა, ისე, რომ არავის არ დაკავშირებია სიყვარულით.

2 ურანოსი და გეა

ღმერთთა პირველი მმართველი თაობის შექმნა ურანოსსა და გეასთან არის დაკავშირებული. ზეცა — მამრი ღმერთი და დედამიწა — მდედრი ღმერთი შეერთდნენ, რის შედეგადაც გეამ ქმარს უშვა თორმეტი შვილი — ექვსი ვაჟი: ოკეანოსი, კოიოსი, კრიოსი, ჰიპერიონი, იაპეტოსი, კრონოსი და ექვსი ქალი: თეია, რეა, თემისი, მნემოსინე, ფოიბე, ტეთისი. მათ შორის ყველაზე უმცროსი კრონოსი იყო, ურანოსის შვილთაგან უეშმაკესი და უსაშინლესი.

გეამ ასევე შვა სამი კიკლოპი — ბრონტესი, სტეროპესი და არგესი. ისინი ყველაფერში სხვა ღმერთებს ჰგავდნენ, განსხვავდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ შუბლზე ჰქონდათ ერთადერთი მრგვალი თვალი; ამიტომაც უწოდებდნენ მათ კიკლოპებს ანუ მრგვალთვალიანებს. ისინი გამოირჩეოდნენ ძალით, სიდიდით და მოხერხებულობით. ურანოსსა და გეას სხვა შვილებიც შეეძინათ, სამი გოლიათი, ენით აუწერელი ძალის მქონე ვაჟი: კოტოსი, ბრიარეოსი და გიგესი. თითოეულს მხრებზე ას-ასი ხელი ჰქონდა გამობმული, ხოლო მხრებს შუა მძლავრი სხეულებიდან — ორმოცდაათ-ორმოცდაათი თავი ამოზრდილი. მათი ღონე და სიდიდე მართლაც რომ აღუმატებელი იყო. გოლიათებს ჰეკატონხეირები ანუ ასხელები შეერქვათ.

გეასგან ნაშობი ურანოსის შვილები ძრწოლის მომგვრელნი იყვნენ და მამამ ისინი მოიძულა. როგორც კი რომელიმე მათ-

განი გაჩნდებოდა, ურანოსი, შეხედავდა თუ არა მას, უმალვე დედის წიაღში მალავდა, ისე რომ, დღის სინათლესაც კი არ აღირსებდა. მამას ეს ბოროტმოქმედება სიამოვნებას ჰგვრიდა, რადგან ეგონა, ამით მძლავრი შვილების მეტოქეობას აიშორებდა თავიდან.

მძიმედ კვნესოდა გეა, რომლის წიაღი აივსო მისგანვე შობილი შვილებით. მისი მოთმინება ამოიწურა და, აი, ერთ დღეს მან შექმნა მტკიცე ლითონი — ადამანტი და მისგან ვეებერთელა ნამგალი დაამზადა. თავისი ნახელავი მამისაგან განწირულ შვილებს აჩვენა და მათში სიმამაცის აღსაძვრელად ამგვარი სიტყვები წარმოთქვა ნაღველით აღსავსე: „ჩემო შვილებო და შვილებო დამნაშავე მამისა, თუკი დამიჯერებთ, მწარედ ვაზღვევინებთ მამათქვენს ამგვარ ტანჯვას, რადგან მან პირველმა განიზრახა უკადრის საქმეთა კეთება“. ასე თქვა. შვილები შიშმა მოიცვა. არავის არ შეეძლო ხმის გაღება. მხოლოდ დიდმა კრონოსმა, საზრიანმა და მოხერხებულმა, მოიკრიბა სიმამაცე და ამგვარად უპასუხა დედას: „დედაჩემო, ვაცხადებ, რომ მე აღვასრულებ ამ საქმეს, რადგან სულაც არ მადარდებს მამაჩვენის მძიმე ხვედრი. განა მან პირველმა არ განიზრახა უკადრის საქმეთა კეთება“. გაახარა გეა შვილის სიტყვებმა. მან კრონოსი საიმედო ადგილას დამალა, ხელში ბასრი ნამგალი მისცა, სათანადოდ დაარიგა და საქმის აღსასრულებლად საჭირო ხრიკები ასწავლა.

ურანოსი თავად მიუძღოდა ღამეს; ცოლისადმი ძლიერი ვნებით ანთებული ყოველი მხრიდან შემოეფინა გეას. და მაშინ, როდესაც იგი სასიყვარულო განცხრომას უნდა მისცემოდა, კრონოსმა სამალავიდან გამოყო მარცხენა ხელი, მარჯვენათი კი ნამგლის მარჯვედ დასმით მოჰკვეთა მამას ასო ნაყოფიერებისა და ძლიერად მოისროლა ზურგს უკან.

ურანოსის ფალოსიდან ჩამონადენმა სისხლის წვეთებმა უკანასკნელად გაანაყოფიერეს გეა, რომელმაც წელთა ბრუნვაში შვა ერინიები — შურისგების ქალღმერთები, ვეება გიგან-

ურანოსი. ზევსის საკურთხეველი პერგამონში. დაახლ. ძვ.წ. 180 წ. ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები. პერგამონის მუზეუმები.

გეა. კილიქსის ფსკერის მოხატულობა. დაახლ. ძვ.წ. 420-400 წწ. ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები.

რეა აწვდის კრონოსს ჩვარში გახვეულ ქვას. წითელფიგურიანი ჰელიკა. დაახლ. ძვ.წ. 460 წ. ნიუ-იორკი. მეტროპოლიტენ მუზეუმი.



კურეტები ცდილობენ ფარების ყღარუნით დაფარონ ტირილი ჩვილი ზევსისა, რომელიც უჭირავს ნიმფა ამალთეას. რომაული რელიეფი. ავგუსტუსის ეპოქა. პარიზი. ლუვრი.

როგორც ვარაუდობენ, აქ გამოხატულია ზევსისა და ტიტან იაპეტოსის შერკინების სცენა. არქიტექტურული დეტალი. არტემისის ტაძარი კ.კერკირაზე. დაახლ. ძვ.წ. 590 წ. კერკირა. არქეოლოგიური მუზეუმი.

ატლასი. ლაკონიკური კილიქსის დეტალი. დაახლ. ძვ.წ. 550 წ. რომი. ვატიკანის მუზეუმი.

ზევსი. წითელფიგურიანი ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 480-470 წწ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.

ზევსისა და ჰერას ქორწილი. ბარელიეფი ძვ.წ. VI ს. ჰერას ტაძარი სელინუსში, სიცილია.



გიგანტი ალკიონევსი. ფრიზის დეტალი. ზევსის საკურთხეველი პერგამონში. დაახლ. ძვ.წ. 180 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები. პერგამონის მუზეუმი.

გიგანტი პორფირიონი. ფრიზის დეტალი. ზევსის საკურთხეველი პერგამონში. დაახლ. ძვ.წ. 180 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები. პერგამონის მუზეუმი.

ტები, რომელთაც მბრწყინავი საჭურველი ემოსათ და მძლავრ ხელებში გრძელი შუბები ეპყრათ, და ნიმფები, რომელთაც მოკვდავნი მელიებს უწოდებენ.

თავად ურანოსის ასო კი, მოკვეთილი ბასრი ადამანტით, ზღვაში ჩავარდა და დიდხანს ცურავდა აქეთ-იქით. მას გარშემო წყლის თეთრი ქაფი მოეკიდა. აქედან ამოიზარდა ქალიშვილი. თავდაპირველად იგი მიცურდა წმინდა კუნძულ კითერაზე, შემდეგ კი ზღვით გარსშემოვლებულ კვიპროსს მიადგა. მშვენიერი ქალღმერთი ნაპირზე ამოვიდა. სადაც კი ფეხი დაადგა, ყველგან ბალახი აღმოცენდა. მას ღმერთებიცა და ადამიანებიც აფროდიტეს უწოდებენ, რადგან ქაფიდან (აფროსი ბერძნულად ქაფს ნიშნავს) იშვა; ეძახიან კითერეასაც, რადგან პირველად კითერას მიადგა, და კვიპროსზე შობილსაც, რადგან კვიპროსზე აიდგა ფეხი. დაბადებისთანავე ქალღმერთი ეროსისა და მშვენიერი ჰიმეროსის ანუ ძლიერი წადილის თანხლებით გაეშურა ღმერთთა დასისაკენ. თავიდანვე მას მოკვდავთა და უკვდავთა შორის პატივად ეს ხვედრი ერგო: ქალწულთა სასიყვარულო ჩურჩული, ღიმილი, მოტყუება, სიამოვნება, მეტრფეთა ტკბილი ალერსი, საამო მოთენთილობა.

ურანოსმა გეასაგან ნაშობ თავის შვილებს ტიტანები უწოდა და მამაზე ხელის აღმართვის გამო საშინელი სასჯელი უწინასწარმეტყველა. ურანოსის მეუფება ამით დასრულდა. მის შვილებს შერჩათ სახელად ტიტანები. ხშირად მათ ურანიდებად ანუ ურანოსის შვილებადაც მოიხსენიებენ.

3 სამყარო ივსება ღმერთებით

გამრავლების მძლავრმა სულმა მოიცვა ღმერთების სამყარო. ღამემ მოავლინა სამი შემზარავი ღმერთი: მორიები — ხვედრით განსაზღვრული ავი სიკვდილი, �ავი კერი — საბედისწერო დაღუპვა და თანატოსი — სიკვდილის ღმერთი. მანვე შვა ჰიპნოსი — ძილი და ონეიროსები — დასი სიზმრებისა. ღამემ დაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე მომოსი — ბუზღუნისა და გაკილვის ღმერთი და ოიძისი — სევდა და უბედურება, ტკივილის მომტანი. მანვე შობა ჰესპერიდები, მშვენიერი ნიმფები. მათ მიანდეს უკიდურეს დასავლეთში, ოკეანოსის ნაპირებზე, უდარაჯონ ბაღს, რომელშიც ხეები ოქროს ვაშლებს ისხამენ. მათთანვეა ფხიზელი მცველი, გველი ლადონი. არავინ უწყის ზუსტად, თუ რამდენი მშვენიერი ჰესპერისი მკვიდრობდა ამ სამოთხეში. ზოგნი სამს, ზოგნი ოთხს, ხოლო ზოგნი კი სულაც შვიდს ასახელებენ. მათი სახელებია: ეგლე, ერითია, არეთუსა, ჰესტია, ჰესპერა, ჰესპერუსა და ჰესპერია. ბაღს ეფინება ჰესპერიდების ტკბილი და გულშიჩამწვდომი გალობა.

ღამემ შობა აგრეთვე სამი მოირა — ბედისწერის ქალღმერთი ანუ აუცდენელი ხვედრი. მათგან პირველი, კლოთო, ბედის ძაფს ართავს, ლაქესისი ყველას თავის წილს მიაგებს, ხოლო აუცდენელი ატროპოსი კი ააბლოვებს განსაზღვრულ მომავალს და წყვეტს, ხვედრის შესაბამისად, ცხოვრების ძაფს. მოირებს ვერსად გაექცევა ვერც მოკვდავი და ვერც უკვდავი, ისინი ყველასათვის გარდაუვალნი არიან. დაბადებისთანავე განუსაზღვრავენ მოირები თითოეულს ბედსაც და უბედობასაც. ისინი ადამიანებსაც და ღმერთებსაც სჯიან შეცოდებისათვის და არასოდეს არ ცხრება მათი რისხვა მანამდე, ვიდრე ყოველი დამნაშავე არ მიიღებს ავ საზღაურს.

ღამემ შვა ასევე კერები, რომლებიც სასტიკად სჯიდნენ, და ნემესისი, მოკვდავთათვის დიდი ჭირი, შურისგების ქალღმერთი. მისგანვე მოევლინნენ ქვეყანას აპატე — ტყუილი, ფილოტესი — ავხორცობა, გერასი — სიბერე. ღამეა მშობელი მძლავრსულოვანი ერისის — შუღლისა და განხეთქილების ქალღმერთისა.

ერისისაგან კი ადამიანებს მრავალი უბედურება მოევლინათ: ქანცგამწყვეტი ჯაფა, დავიწყება, შიმშილი, ცრემლიანი ტკივილები, ბრძოლები, ომები, კაცისკვლა, ჩხუბი, სიცრუე, დავა; ერთმანეთის ნათესავები: უკანონობა და გონების დაბნელება და, ბოლოს, ჰორკოსი, რომელიც ყველაზე დიდი უბედურების მომტანია, რადგან სჯის ყველას, ვინც კი შეგნებულად ცრუ ფიცსა დებს.

პონტოსი დაუკავშირდა გეას, რომელმაც შვა ზღვის ღმერთი ნერევსი. მას ყველა დიდ პატივს მიაგებს სიმართლის სიყვარულისა და სიცრუის სიძულვილისათვის. მას უწოდებენ ხოლმე მოხუცსაც, რადგან არის გულახდილი და კეთილი, არასოდეს არ ავიწყდება სამართლიანობა, იცის სწორი და კეთილი რჩევის მიცემა. ნერევსს აქვს წინასწარმეტყველების საშური უნარი და შეუძლია სახის უსასრულო ცვლა. გეამ პონტოსს უშვა ასევე თავმასი და მამაცი ფორკისი, ასულები: ლამაზღაწვიანი კეტო და ევრიბია, ადამანტივით მტკიცე სულის მქონენი.

ყველაზე მეტი ღვთაება სამყაროს მაინც ურანოსის შვილებმა, ტიტანებმა და ტიტანიდებმა შეჰმატეს:

ტიტანი ოკეანოსი შეეუღლა თავის დას, ტეთისს, რომელმაც უშვა სწრაფნაკადიანი მდინარეები. ურიცხვია მათი რაოდენობა დედამიწაზე.

ასევე ტეთისმა შობა ოკეანოსისაგან ქალწულთა წმინდა მოდგმა, ოკეანიდები, რომელთაც ქვეყანაზე ჭაბუკთა ლალაობა ხვდათ წილად. სამი ათასი მაღალთეძოებიანი ოკეანისი მოუვლინეს მათ სამყაროს; შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა. განსაკუთრებით ცნობილნი კი მათგან არიან: დორისი, კლიმენე, კალიროე, იდიია, პერსეისი, ევროპე, მეტისი, ევრინომე, ასია, კალიფსო და ყველაზე განთქმული, სტიქსი, რომელიც შემდგომ ღმერთთა საფიცარი გახდა.

ჰიპერიონისა და თეიას შეერთებამ სამყაროს მოუვლინა დიადი ჰელიოსი — მანათობელი მზე, სელენე — მბრწყინავი მთვარე და ეოსი — განთიადი, დღის ნათელი, რომელიც აფრქვევს სინათლეს მიწაზე მცხოვრებ მოკვდავთათვისაც და ფართო ცის მფლობელ უკვდავთათვისაც.

კრიოსისა და ევრიბიეს სასიყვარულო კავშირის შედეგად გაჩნდნენ ასტრეოსი, პალასი და საზრიანობით გამორჩეული პერსესი.

კრიოსისა და ფოიბეს შეუღლებამ სამყაროს მოუვლინა მუდამ სანდომიანი და კეთილი, შავპეპლოსიანი ქალღმერთი ლეტო და კეთილსახელიანი ასტერიე.

იაპეტოსმა კი ცოლად მოიყვანა ოკეანოსის ასული კლიმენე. მათი სიყვარულის წყალობით გაჩნდა ოთხი ვაჟი: ქედუხრელი ატლასი, განთქმული მენოიტიოსი, მოხერხებულობით ცნობილი პრომეთე და ეპიმეთევსი, რომელმაც ღმერთებისაგან გამოგზავნილი ქალის — პანდორას შერთვით ბევრი უბედურება მოუტანა ადამიანებს.

თაობებს თაობები მოსდევდა, ერთმანეთს უკავშირდებოდნენ გეას, ტიტანების, პონტოსის შვილები. სულ უფრო მატულობდა სამყაროში ღვთაებრივ ძალთა რიცხვი.

პონტოსის ვაჟმა თავმასმა ღრმადმდინარი ოკეანოსის ასული ელექტრა შეირთო. მათ შეეძინათ სწრაფი ირისი, ღმერთთა შიკრიკი დაუღალავი, და ჰარპიები: აელო, ოკიპეტე, კელენო, პოდარგე — ლამაზკულულებიანი ნახევრად ქალები და ნახევრად ფრინველები. ისინი ქართა და ჩიტთა მსგავსად სწრაფი ფრთებით დაქრიან აქეთ და იქით. ვაი მას, ვისაც ჩამოუქროლებენ ჰარპიები, დაუნდობელი მტაცებლები.

საშინელ ურჩხულთა მოდგმას დაუდეს სათავე ფორკისმა და კეტომ. ჯერ იყო და მათ გრაიები შობეს, რომელთაც ეს სახელი — მოხუცები — იმიტომ შეერქვათ, რომ ჭაღარები დაიბადნენ. მეტწილად ორ ან სამ გრაიას ასახელებენ: პემფრედოს, რომელიც მშვენიერი პეპლოსითაა შემოსილი, ენიოს, რომლის პეპლოსი ზაფრანისფერია და დინოს. სამივეს ერთი კბილი და ერთი თვალი ჰქონდა და იძულებულნი იყვნენ რიგრიგობით გადაეცათ ისინი ერთმანეთისათვის. ეს სისუსტე მოგვიანებით კარგად გამოიყენა გმირმა პერსევსმა.

ფორკისისა და კეტოს შვილთა შორის ყველაზე შემზარავები მაინც გორგონები იყვნენ. ისინი სახლობდნენ ოკეანოსის გადაღმა, ღამის საზღვრებთან, ტკბილად მგალობელი ჰესპერიდების მახლობლად. მათგან ორნი — სთენო და ევრიალე,

უბერებელნი და უკვდავნი იყვნენ, ხოლო მესამე, მედუზა კი — მოკვდავი. შიშის ზარს სცემდა მათი შეხედვა ადამიანებს — თმების მაგივრად თავზე გველები ჰქონდათ ამოსული, ხოლო ვინც გორგონებს თვალს გაუსწორებდა, მას გაქვავება არ ასცდებოდა. შემდგომ მედუზას გმირი პერსევსი მოჰკვეთს თავს, საიდანაც იშვებიან პეგასოსი — სასწაული ფრთოსანი ცხენი და დიადი ქრისაორი, ოქროს მახვილით შობილი, მამა სამთავიანი გერიონევსის, რომელსაც მოკლავს გმირთა გმირი ჰერაკლე.

კეტომ ამასობაში ახალი შეუვალი ურჩხული შვა, რომელიც არც ადამიანებს და არც ღმერთებს არ ჰგავდა — მძლავრსულიანი ექიდნა. იგი სანახევროდ მშვენიერი ნიმფა იყო, თვალებელვარე და ლამაზღაწვიანი, სანახევროდ კი — ვეებერთელა ურჩხული, საშინელი ჭრელი გველი, უმი ხორცის მჭამელი, რომელიც იმალებოდა წმინდა მიწაში. იქ მას ჰქონდა გამოქვაბული, კლდის ქვეშ ძალზე ღრმად მდებარე, შორს უკვდავთაგან და მოკვდავთაგან. სწორედ აქ მიუჩინეს მას უკვდავმა ღმერთებმა სამკვიდრებელი, საყოველთაოდ ცნობილი და შიშისმომგვრელი. ასე ატარებდა უკვდავი და უბერებელი ნიმფა მთელ თავის ცხოვრებას მიწისქვეშ, არიმეთში.

ამ ნიმფას შემდგომ შეეუღლება ურჩხული ტიფონი, ამპარტავანი, საშინელი და უსამართლო, რომელსაც ქვეყნად გეა მოავლენს. მას ექიდნა უშობს გერიონევსისათვის ძაღლს ორთოსს, მას მიაყოლებს კერბეროსს, ჰადესის საშინელ დარაჯს, ორმოცდაათთავიან ძაღლს. შემდეგ შობს ლერნეს ჰიდრას, რომელთანაც ჰერაკლეს მოუხდება შერკინება. მანვე მოავლინა ქვეყნად ქიმერა, სამთავიანი საშინელი არსება. მას წინ ლომის თავი ება, რომელიც შემზარავად აბრიალებდა თვალებს, შუაში თხის თავი ჰქონდა, ბოლოში კი — დრაკონისა. მისი ყველა პირი ცეცხლს აფრქვევდა. მის მოკვლას შემდგომ მხოლოდ გმირი ბელეროფონტი და ფრთოსანი ცხენი პეგასოსი შეძლებენ. კეტომვე გააჩინა თებელებისათვის საბედისწერო სფინქსი, ასევე ნემეას ლომი — გმირი ჰერაკლეს ძალის მსხვერპლი.

ფორკისისა და კეტოს სულ უმცროსი შვილი იყო ის გველი, ლადონი, რომელიც ჰესპერიდების ბაღის ოქროს ვაშლებს დარაჯობდა.

ქალღმერთი ეოსი დაუკავშირდა ასტრეოსს. მათ გაუჩნდათ შვილები, მძლავრსულიანი ქარები: ზეფიროსი — დასავლეთის, ბორეასი — ჩრდილოეთის და ნოტოსი — სამხრეთის. ეოსმა გააჩინა ასევე ცისკრის ვარსკვლავი და ცის შემამკობელი სხვა მბრწყინავი ვარსკვლავები.

ოკეანოსის ასული სტიქსი შეეუღლა პალასს და შობა ძელოსი — სწრაფვის, შეჯიბრებისა და შურის ღმერთი, და ნიკე — გამარჯვების ქალღმერთი. მანვე შვა ორი ცნობილი ვაჟი: კრატოსი — ძალა და ბიე — ძლიერება. სტიქსის შვილებს ზევსის აღზევების შემდგომ ღირსეული ბედი ხვდებათ წილად, ისინი მუდამ უზენაესი ღმერთის თანმხლებნი იქნებიან.

ასტერიე კი პერსესმა შეირთო ცოლად. მათ შვეს მძლავრი ქალღმერთი ჰეკატე, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ღმერთთა ყველა თაობა. მას მიენდო მონაწილეობა ფართომკერდიანი დედამიწის, უდაბური ზღვისა და ვარსკვლავიანი ცის საქმეების გადაწყვეტაში. არ არის არცერთი მნიშვნელოვანი მხარე მოკვდავთა და უკვდავთა მოღვაწეობისა, რომ ჰეკატეს მასში წილი არ ჰქონდეს. იგი მფარველობს ნადირობას, მწყემსვას, ცხენთა მოშენებას, ადამიანთა მოღვაწეობას, სასამართლოს, სახალხო კრებებს, კამათში შერკინებას თუ ომებში მონაწილეობას, ბავშვებსა და ყრმებს. ჰეკატე დაკავშირებულია სიკვდილისა და ღამის სამეუფოებთანაც, მისგან იღებს ძალას ჯადოქრობაც. იგი არის სამი გზის გასაყარის ქალღმერთი და თავადაც სამსახაა.

ასე თანდათანობით აღწევდნენ ყველგან — მიწაშიც, ცაშიც, ზღვაშიც მრავალრიცხოვანი ღვთაებრივი ძალები. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სამყაროს მოევლინა მმართველ ღმერთთა ახალი თაობა.

4 კრონოსი და რეა

ურანოსის დამარცხების შემდგომ სამყაროს განაგებდა კრონოსი, რომელმაც ცოლად თავისივე და — რეა მოიყვანა. დიდხანს მეუფებდა იგი. კრონოსის დროს იშვნენ და გამრავლდნენ ქვეყნად ადამიანები. ისინი უზრუნველად ცხოვრობდნენ. დედამიწა იმდენ სარჩოს იძლეოდა, რომ მათ არ აწუხებდათ არც ყინვა და არც სიცხე, არც სნეულებები და არც სიბერე. ამ ხანის ადამიანებმა არ იცოდნენ, თუ რა არის დაუნდობელი სიკვდილი; ისინი ძალზე დიდხანს ცხოვრობდნენ, მათი გარდაცვალება კი საოცარი გარდასახვა იყო. როგორც სიზმარში, ისე ქრებოდნენ ისინი და ყველანი მიწისზედა, კეთილისმქმნელ დემონებად იქცეოდნენ. მათი ცხოვრება არ ითხოვდა არც კანონებს, არც დაუნდობელ ომებსა და დავას. მათ ხომ ყველაფერი თავისთავად ეძლეოდათ. შრომობდნენ კი იმდენს, რამდენიც ეხალისებოდათ. კრონოსის დროის მოკვდავნი ყველაზე უფრო ბედნიერად ითვლებოდნენ. ამის აღსანიშნავად მათ ოქროს ხანის ადამიანებსაც უწოდებდნენ ხოლმე.

სამაგიეროდ, მძიმე იყო თავად კრონოსისა და რეას შვილთა ხვედრი. თავის დროზე ურანოსმა უწინასწარმეტყველა ღმერთთა ახალ მეუფეს, რომ მას ძალაუფლებას საკუთარი შვილი წაართმევდა. კრონოსს ძალზე ეშინოდა ამისა და, მამისგან განსხვავებით, შვილების უვნებელყოფის უფრო საიმედო გზა აირჩია. როგორც კი რეა აჩენდა შვილს და ჩვილი დედის წიაღიდან მამის კალთაში აღმოჩნდებოდა, კრონოსი თავად ყლაპავდა მას. ასე შთანთქა მან თავისი ქალიშვილები: ჰესტია, დემეტრე და ჰერა, ვაჟები: ჰადესი და პოსეიდონი. აუტანელი იყო რეასათვის იმის ყურება, თუ როგორ ყლაპავდა კრონოსი ყოველ ახალდაბადებულ შვილს. და, აი, როდესაც იგი აპირებდა თავისი უმცროსი შვილის, ზევსის, შობას, რეამ რჩევისათვის თავის მშობლებს, გეას და ურანოსს მიმართა: „ჩემო მშობლებო, გევედრებით, დამარიგოთ, როგორ მოვიქცე, რომ

გადავმალო ჩემი ვაჟი და გამოვზარდო იგი კრონოსისგან ფარულად; დე, მან აზღვევინოს მამას აუწერელი ბოროტმოქმედება — საკუთარი შვილების ესოდენ დაუნდობელი მოცილება თავიდან". ყურად იღეს გეამ და ურანოსმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალიშვილის თხოვნა და აუწყეს, თუ რა ბედი ელის ღმერთთა მეუფე კრონოსს და მის მძლავრსულოვან ვაჟს, რომელიც უნდა მოვლენოდა სამყაროს. „ნუ დარდობ, შვილო, ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გირჩევთ. სამშობიაროდ მიაშურე კუნძულ კრეტას". ასე აწყნარებდნენ დამწუხრებულ რეას მშობლები. და მართლაც, რეა დაჰყვა გეასა და ურანოსის რჩევას. როგორც კი მოვიდა მშობიარობის დრო, დედ-მამამ იგი გააგზავნა კუნძულ კრეტაზე. შვილიშვილი, დიადი ზევსი, იქ თავად ფართომკერდიანმა გეამ მიიღო, რათა გამოეკვება და აღეზარდა. შავი ღამის დადგომისთანავე გაემართა რეა ლიქტოსის მხარეში, ახალშობილი ზევსით ხელში. იქ, ეგეოსის ერთ ტყიან მთაში მდებარე ღრმა გამოქვაბულში, სადაც არავითარი საფრთხე არ ელოდა მის პირმშოს, გადამალა შვილი. ზოგიერთები მოგვითხრობენ, რომ ზევსი გამოქვაბულში შობა რეამ ან იდას ან დიქტეს მთაზე, თავად კი დიდი ქვა გაახვია ჩვარში და, კრონოსთან დაბრუნებულმა, გაუწოდა ქმარს. შვილების შიშით გონებააბნეულმა ურანოსის ძემ მაშინვე გამოსტაცა ქვა და იმის იმედით, რომ თავის ახალდაბადებულ ვაჟს უსპობდა სამეუფეო ტახტისათვის მეტოქეობის საშუალებას, გადაყლაპა იგი.

ამასობაში კი მისი ძე უვნებლად იზრდებოდა შორს შვილების მოძულე მამის თვალთაგან. მას თავს დასტრიალებდნენ ნიმფები, ასმევდნენ თხის, ამალთეას რძეს. ზევსს ძალზე უყვარდა ეს თხა. ერთხელ ამალთეას შემთხვევით ცალი რქა მოტყდა. კრონოსის ძემ თავის გამომკვებავს სიკეთე არ დაუვიწყა და მის რქას საოცარი თვისება მიანიჭა. იგი, მფლობელის სურვილისდა შესაბამისად, ივსებოდა ყოველგვარი სიკეთით. ასე მოევლინა სამყაროს სიუხვის რქა, სიმდიდრისა და ბედნიერების მომასწავებელი. თავად ამალთეა კი ზევსის ნებით ცად ამაღლდა და იქ მარად მოკიაფე ვარსკვლავად გადაიქცა. იმასაც გადმოგვცემენ, თითქოს მისი ტყავისაგან ზევსმა დაიმზადა ფარი — ეგისი და ამიტომაც უწოდებენ მას ეგიოქოსს ანუ ეგისისმპყრობელს. ზევსს სხვაც ბევრი გამოუჩნდა გულშემატკივარი. მთის ფუტკრებს, რომლებზედაც მრავალ საოცრებას ჰყვებიან, მისთვის მოჰქონდათ თაფლი, წმინდა მტრედებს კი — ამბროსია, უკვდავთა საკვები. დიდი არწივი ზევსს კლდიდან გამონაჟური ნექტარით — მარადიული სიჭაბუკისა და უკვდავების მიმნიჭებელი ღვთაებრივი სასმელით — ამარაგებდა. კურეტებს — რეას ქურუმებს, მთის დემონებს — მისი ყარაულობა ჰქონდათ მინდობილი. როდესაც რეას პატარა ვაჟი ტირილს იწყებდა, ისინი საბრძოლო ფერხულს მართავდნენ, მახვილებს ფარებს ურტყამდნენ, ზოგჯერ კი დაფდაფების, საყვირებისა და საჭყიპინოების დაკვრასაც იწყებდნენ, რომ როგორმე კრონოსის ყურთასმენას არ მისწვდომოდა ზევსის ხმა, რომ როგორმე ჩაეხშო იგი კორიბანტების მიერ ატეხილ აუწერელ ხმაურს.

სწრაფად იზრდებოდა ზევსი. და, აი, დადგა ჟამი კრონოსისთვის სამაგიეროს მიზღვისა. სათანადო დარიგება, თუ როგორ დაპირისპირებოდა მამას, მას გეამ მისცა. ზევსმა, მართლაც, ეშმაკობითა და ძალით აჯობა მამას და კრონოსის პირიდან შვილებმა უკან ამობრუნება იწყეს. პირველად ამოაგდო მან თავისთვის საბედისწერო ქვა, რომელიც სულ უკანასკნელად გადაყლაპა. ეს ქვა შემდგომ ზევსმა წმინდათაწმინდა პითოში, ზედ პარნასოსის ქედის ძირში მოათავსა, რათა იქ მოკვდავთა გასაკვირვებლად მდგარიყო, როგორც მარადიული ნიშანი ზევსის დიადი გამარჯვებისა. შემდეგ კი რიგრიგობით ამოაბრუნებინა მამას თავისი ძმები და დები, რომლებიც ასე დაუნდობლად შთანთქა კრონოსმა. მათ მადლიერების ნიშნად თავიანთ მხსნელ ძმას მისცეს მეხი, ჭექა-ქუხილი და ელვა, ადრე რომ გეა მალავდა თავის წიაღში და ამით აღიარეს, რომ ამიერიდან ზევსმა უნდა მართოს მოკვდავნიცა და უკვდავნიც.

მაგრამ ტიტანთა ამაყი მოდგმა სულაც არ აპირებდა უბრძოლველად მიეცა ღმერთთა ახალი თაობისათვის ძალაუფლება. ისინი სასტიკად დაუპირისპირდნენ ზევსსა და მის მომხრეებს.

5 ბრძოლა ტიტანებთან

ახლოვდებოდა საშინელი შეტაკების ჟამი კრონოსისა და ზევსის მომხრეებს შორის. ბრძოლის ველად საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე თესალია იქცა. ტიტანებმა ოთრისის მაღალი მთა შეარჩიეს თავიანთ ბანაკად, ხოლო კრონოსისა და რეას შვილებმა კი – თოვლიანი ოლიმპოსის მწვერვალი. ღმერთთა მთელი სამყარო ორ ნაწილად გაიყო. ერთნი კრონოსს, ხოლო მეორენი კი ზევსს უჭერდნენ მხარს. მაშინ კრონოსის ძემ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი ღმერთი გადმოებირებინა თავის მხარეზე. მან მოიხმო ოლიმპოსზე ყველა უკვდავი და ასე განუცხადა: „უკვდავო ღმერთებო, თქვენ იცით, რომ უნდა დაიწყოს სასტიკი ბრძოლა ტიტანებსა და ოლიმპოსის მფლობელთა შორის, ბრძოლა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის დარჩება ძალაუფლება სამყაროში. ვინც ჩემთან ერთად წამოვა ტიტანების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვპირდები, რომ არ ავყრი უფლებებს და შევუნარჩუნებ ყველა პატივს, რომელსაც ის ადრე ფლობდა უკვდავთა შორის. ხოლო თუკი ვინმეს კრონოსის მმართველობის დროს არ ჰქონდა არც უფლებები და არც პატივი, იგი აუცილებლად მიიღებს მათ ჩემგან“.

ეს რომ ღმერთებმა მოისმინეს, ჩაფიქრდნენ. პირველმა ოკეანოსმა ცნო მისი ძალაუფლება და შვილებს ურჩია, ერწმუნათ ზევსისა. მაშინ ქედმოუხრელმა სტიქსმა, ოკეანოსის ასულმა, მიაშურა თავისი შვილებით ოლიმპოსს; ზევსს საიმედოდ ამოუდგნენ გვერდში მისი პირმშონი: ძელოსი – სწრაფვა, ნიკე – გამარჯვება, კრატოსი – ძალა და ბიე – ძლიერება.

კრონოსის დიადმა ძემ არ დაუვიწყა სტიქსს ეს სიკეთე და დაასაჩუქრა იგი უდიდესი პატივით: სტიქსი აქცია ღმერთთა უმთავრეს საფიცრად. მის შვილებს კი დაუდგინა მუდამ ზევსის გვერდით ყოფნა. ასევე მოექცა იგი სხვებსაც, რომელთაც ისმინეს მისი.

მაგრამ ყველამ როდი ირწმუნა მისი. კრონოსის ხელისუფლების შენარჩუნებისათვის განსაკუთრებით გულმოდგინედ იბრძოდნენ იაპეტოსი და მისი შვილები. თუმცა ნათელმხედველი პრომეთე, რომელმაც თავიდანვე იცოდა, თუ როგორ დამთავრდებოდა ზევსისა და კრონოსის მომხრეთა შერკინება, გამოეყო თავის ძმებს და დროებით ზევსისაკენ გადაიხარა.

დაიწყო უსასტიკესი ომი. ეკვეთნენ ერთმანეთს ტიტანები და კრონოსის შვილები. ომის ათი წელი ისე გავიდა, რომ ამ შერკინებას ბოლო არ უჩანდა. ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო ბრძოლაში გარდატეხის შეტანა.

და, აი, ოლიმპოსის მფლობელებმა კიდევ ერთხელ იღეს ყურად გეას რჩევა: „გამარჯვებას და სახელს მოიპოვებთ მხოლოდ მაშინ, თუკი დასახმარებლად მოიხმობთ ასხელა გოლიათებს“.

ასხელები და კიკლოპები ჯერ კიდევ ურანოსმა დაამწყვდია ტარტაროსში. იქ ერთობ მძიმე იყო მათი ცხოვრება. და, აი, კრონოსის შვილებმა ამოუშვეს ისინი ტარტაროსიდან. მადლიერების ნიშნად კიკლოპებმა ზევსს მრისხანე იარაღი დაუმზადეს: ელვა და მეხი, რომელიც ნებისმიერი მტრისათვის საბედისწერო იქნებოდა. პოსეიდონს მათ სამკბილა აჩუქეს, ხოლო ჰადესს უჩინმაჩინის ქუდი.

ასხელა გოლიათებს კრონოსის ძემ ასე მიმართა: „ბრიარეოს, კოტოს და გიგეს, ურანოსისა და გეას მძლავრო და სახელოვანო ვაჟებო! მისმინეთ, მინდა გითხრათ, რასაც გული მკარნახობს. უკვე ერთობ დიდი ხანია, რაც ვებრძვით ერთმანეთს ძალაუფლებისა და გამარჯვებისათვის ჩვენ, კრონოსის შვილები და ტიტანები. ახლა თქვენც შეეგებეთ სასტიკ ომში

ტიტანებს, გვიჩვენეთ თქვენი საშინელი ძალა და მოუთოკავი ხელები. გაიხსენეთ თქვენდამი ჩვენი სიყვარული და ისიც, თუ რამდენი ტანჯვა დაითმინეთ, ვიდრე არ დაგიხსენით მძიმე ბორკილებიდან და ამოგიყვანეთ ბნელი, ნესტიანი მიწისქვეშეთიდან აქ, დღის სინათლეზე".

მას მიუგო კოტოსმა, ამაყმა და პირში მთქმელმა: „უფალო, არ არის ჩვენთვის სიახლე, რასაც გვეუბნები. განა თავადაც არ ვუწყით, რომ აზრითაც და სულითაც აღემატები ყველას, განა შენი ნებით არ დავბრუნდით აქ ბნელი ჯურღმულეთიდან. ახლა კი მზად ვართ თქვენს, ოლიმპოსის მფლობელთა, მეუფებას დავუდგეთ მცველებად და დაუნდობელი, ჯერ არნახული ომით გავილაშქროთ ტიტანებზე".

ყველას მოეწონა კოტოსის მამაცი და გონივრული სიტყვები. იმავე დღეს განახლდა ცხარე ბრძოლები, მაგრამ მათ ახლა გაცილებით მეტი მძვინვარება და სისასტიკე ჰქონდათ. ყველანი ჩაერთნენ ცხარე ომში: როგორც ღმერთები, ასევე ქალღმერთები. განსაკუთრებულ ძრწოლას იწვევდნენ წყვდიადიდან დღის სინათლეზე ამოყვანილი გოლიათები. თითოეული მათგანი ას ხელს იქნევდა და ორმოცდაათ თავს აბრუნებდა აქეთ-იქით. ჰეკატონხეირების ყოველ ხელს ვეებერთელა კლდე ეპყრა. მაგრამ ტიტანები არ შედრკნენ, არ დაკარგეს მხნეობა. მათ გაამაგრეს თავიანთი რიგები. ორივე მხარე შეუპოვრად იბრძოდა. მათი მძლავრი შეტაკებები მთელ სამყაროს აზანზარებდა. საშინლად გრიალებდა უკიდეგანო ზღვა, გუგუნებდა დედამიწა, კვნესოდა და ირყეოდა ვრცელი ზეცა. მაღალი ოლიმპოსიც კი ამაგძაგდა მწვერვალიდან ძირამდე ძრწოლვის მომგვრელი შეტაკებებისგან. თავად ტარტაროსის ღრმად მდებარე ჯურღმულებსაც კი მისწვდა მიწის რყევა, ფეხების გაუთავებელი ბრაგა-ბრუგი და ნატყორცნი ლოდებისა თუ ისრების გამაყურებელი სტვენა. მებრძოლ ღმერთთა ყიჟინა ცას აღწევდა. მთელი სამყარო მოიცვა ტიტანებისა და ოლიმპოსის მფლობელთა შორის გამართული ბრძოლის ქარ-ცეცხლმა.

მიუხედავად იმისა, რომ ასხელების იმედი ჰქონდა, ზევსმა როდი შეიკავა თავი საკუთარი ძალისა და უნარის სრული გამოვლენისაგან. პირიქით, იგი ბრძოლაში ტიტანთა უმთავრეს რისხვად იქცა. მან ოლიმპოსიდან და ციდან დაუშინა მოწინააღმდეგეს დამდაგველი ელვის ისრები. მისი ხელიდან გრუხუნითა და თვალისმომჭრელი ელვარებით მოედინებოდა უწყვეტ ნაკადად მეხი. წმინდა ცეცხლის ალი ტრიალებდა გარშემო. მხურვალებით დადაგული დედამიწა შეწუხდა და აგუგუნდა, ხეთა შთანმთქმელი ცეცხლით მოცულმა უსასრულო ტყეებმა საშინელი ტკაცუნი იწყეს. მიწა იწვოდა. ოკეანოსისა და უსიერი ზღვის წყლები დუღდნენ. ტიტანები მოიცვა სულისშემხუთველმა სიცხემ. თვით ეთერსაც კი მისწვდა მწველი ცეცხლის ალი.

თავად ქაოსიც ვერ გადაურჩა ცეცხლის მხურვალებას. ყველაზე ძლიერ მებრძოლთა თვალებიც კი ვერ უძლებდნენ ზევსისაგან ნატყორცნ მეხთა ელვარებას. ვინმეს რომ ენახა ან მოესმინა ის, რაც მაშინ ხდებოდა, იტყოდა, ფართო ზეცა დაასკდაო დედამიწას, ისეთი ხმაური იდგა გარშემო და ისე ინგრეოდა ყოველივე. და თუმცა კიდევ გრძელდებოდა ბრძოლა, სასწორი თანდათან იხრებოდა ოლიმპოსის მფლობელთა მხარეზე. და, აი, კიდევ ერთხელ შეუტიეს ტიტანებს ასხელებმა, ბრიარეოსმა და გიგესმა ჩარეკეს ტიტანები ტარტაროსში, მათ მძიმე ბორკილები დაადეს და სამუდამოდ ჩაკეტეს იქ. ტარტაროსს ხომ გარშემო სპილენძის მყარი გალავანი აქვს შემოვლებული, რომელსაც სამ რიგად ეხვევა ღამის წყვდიადი, ხოლო ზემოდან კი დედამიწისა და ზღვის ძირი აფარია.

ზევსის ნებით ტიტანები სწორედ იქ იყვნენ ჩაკეტილნი, ვეებერთელა დედამიწის კიდესთან მდებარე ამ მიუსაფარ და ნესტიან ადგილას. მათ იქიდან ამოსვლის არავითარი იმედი არ შეიძლებოდა ჰქონოდათ, რადგან კედელი საგულდაგულოდ ჰქონდა შემოვლებული მთელ მათ სამკვიდრებელს, ხოლო ერთადერთი გამოსასვლელი პოსეიდონმა სპილენძის მყარი

კარით ამოქოლა. მცველებად კი ამ საშინელ ჯურღმულში ჩამწყვდეულ ტიტანებს სამი ასხელა ძმა დაუდგა: კოტოსი, ბრიარეოსი და გიგესი.

არანაკლები სასჯელი ხვდა ზევსისაგან იაპეტოსის ურჩსა და ქედუხრელ შვილს — ატლასს. იგი დააყენეს იქ, სადაც ერთმანეთს ხვდება დღე და ღამე, შორს, შორს, სადღაც ჰესპერიდების ბაღთან. მას დაეკისრა თავითა და დაუღალავი ხელებით ცის თაღის დაჭერა, რომ იგი არ დაენარცხოს დედამიწას. მძიმეა და აუტანელი ატლასის შრომა, მაგრამ ტიტანის ამაყი შთამომავალი მშვიდად და მოთმინებით იტანს სატანჯველს.

სამაგიეროდ, ზევსმა შეუსრულა დაპირება იმათ, რომელთაც სცნეს მისი ძალაუფლება და არ დაუჭირეს მხარი ტიტანებს. ამ ღმერთებს ახალმა მბრძანებლებმა სათანადო პატივი მიაგეს.

ოლიმპოსის მფლობელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს გამარჯვება. გაიმართა მშვენიერი მხედრული შეჯიბრება სხვადასხვა სპორტულ ორთაბრძოლაში, რომლის მიბაძვითაც დაფუძნდა შემდგომ ოლიმპიური თამაშობები. თავად ტიტანთა დამმარცხებელი ზევსი ამ ზეიმს მოევლინა ოთხცხენშებმული ეტლითა და მეხით ხელში. ამგვარი ხატი შემდგომ უმაღლესი ძალაუფლებისა და ტრიუმფის სიმბოლოდ იქცა. მაგრამ გამარჯვების ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი შედეგი მაინც ის იყო, რომ კრონოსის მეუფება შეცვალა ზევსის მეფობის ხანამ. პირველი, რაც ზევსმა, როგორც სამყაროს ახალმა მმართველმა, გააკეთა, იყო სამი სკნელის განაწილება კრონოსის სამ ვაჟს შორის. პოსეიდონს მან ზღვისა და მდინარეების მეუფება მისცა, ჰადესს — უხილავი და იდუმალებით მოცული ბნელეთის, მიწისქვეშეთისა და მიცვალებულთა სამყაროსი, თავად კი ირგუნა უმაღლესი ძალაუფლება — ცისა და მთელი სამყაროს მმართველობა; სწორედ ამიტომ უწოდეს მას ამიერიდან ერთხმად უკვდავთა და მოკვდავთა უზენაესი ღმერთი.

6 ზევსის შთამომავლობა

უზენაეს ღმერთს სურდა არა მარტო თავისი ძალაუფლებით, არამედ თავის შთამომავალთა მრავალრიცხოვნებითა და ყოვლისმომცველობითაც სამყაროს სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო. ამისათვის სიყვარულით დაუკავშირდა მრავალ ქალღმერთსა და მოკვდავ ასულს, რომელთაგანაც შვა მძლავრი ღმერთების მთელი თაობა. მისი პირველი ცოლი იყო ოკეანოსისა და ტეთისის ასული, მეტისი ანუ სიბრძნე, აზრი, გონივრული ჩანაფიქრი. როგორც ზოგიერთები გადმოგვცემენ, მეტისმა თავის დროზე ზევსს დიდი სამსახური გაუწია — მას მოუმზადა ის ჯადოსნური ნაყენი, რომლის დალევის შემდგომაც კრონოსმა გადაყლაპული შვილები კვლავ უკან ამოიღო. მაგრამ მათი ქორწინება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. გეამ და ურანოსმა კრონოსის ძეს ურჩიეს, როგორც კი მეტისს პირველი შვილის გაჩენის დრო მოუწევდა, ზევსს გადაეყლაპა იგი, რადგან ქალღმერთს ერთობ გონიერი შვილების გაჩენა ეწერა — ჯერ ქალღმერთ ათენასი, რომელიც სულის სიძლიერითა და გონიერებით მამის დარი იქნებოდა, ხოლო შემდეგ კი მეტისი მოავლენდა ქვეყნად ვაჟს, რომელიც თავად გახდებოდა მეუფე ღმერთთა და კაცთა. ზევსს არ უნდოდა თავისი წინაპრების ხვედრის გაზიარება და სამეფო ძალაუფლების დაკარგვა. მან ათენაზე მშობიარობისათვის გამზადებულ მეტისს თავბრუ დაახვია მოთაფლული სიტყვებით და ერთბაშად მუცელში გადაუძახა. გავიდა საკმაო ხანი და ზევსის თავიდან იშვა ქალღმერთი ათენა, რომელმაც თავისი სიბრძნისა და ძლიერების წყალობით საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

შემდეგ ზევსი სიყვარულით დაუკავშირდა ურანოსისა და გეას ასულს, ტიტანისს, თემისს ანუ სამართალს, წესრიგს. მან შობა ჰორები: ევნომია — კეთილგონიერება, დიკე — სამართალი, ეირენე — მშვიდობა, რომელსაც კაცთათვის გაფურჩქვნა მოაქვს. ჰორები მფარველობდნენ მოკვდავთა შრომას, ისინი

ზრდა-აღმოცენების, წლის დროთა ქალღმერთები იყვნენ. ზოგიერთების გადმოცემით, მოირებიც თემისისა და ზევსის ასულები არიან, თუმცა, როგორც ჩანს, უფრო მათ უნდა ვენდოთ, რომელნიც მოირებს ნიქსის ანუ ღამის ასულებად წარმოგვიდგენდნენ.

ოკეანოსისა და ტეთისის მომხიბლავსახიანმა ასულმა — ევრინომემ ზევსს უშვა სამი ქარისი, ლამაზღაწვიანი ქალღმერთი: აგლაია ანუ ბრწყინვალება, ევფროსინე — ხალისი, მხიარულება, თალიე — მდიდრულობა, გაფურჩქნილობა. მათი მზერა ტკბილსა და მომთენთავ ვნებას ასხივებს, ლამაზი თვალები კი წარმტაცად ბრწყინავენ მოხდენილად გადაჭიმული წარბების ქვეშ. ისინი, როგორც ლაზათის, სილამაზისა და მოხდენილობის ქალღმერთები, მჭიდროდ დაუკავშირდნენ აფროდიტეს.

ზევსმა საკუთარ დასთან, დემეტრესთანაც გაიზიარა სარეცელი. ნაყოფიერებისა და მიწის აღმომცენებელ ძალთა ქალღმერთმა მას უშვა მშვენიერი პერსეფონე, რომელმაც თავად პირქუში ჰადესიც კი მოხიბლა და მიწისქვეშეთის დედოფლობა ხვდა წილად.

ზევსის რჩეულ ქალღმერთთა შორის იყო აგრეთვე მნემოსინე — მეხსიერების ძალით ცნობილი ასული ურანოსისა და გეასი, ლამაზთმიანი ტიტანისი. მან კრონოსის ვაჟს შესძინა ცხრა მუზა, ოქროს თავსაკრავებით შემკული: კლიო, ევტერპე, თალია, მელპომენე, ტერფსიქორე, ერატო, პოლიჰიმნია, ურანია, კალიოპე; მათგან არის ქვეყნად სიმღერა, მუსიკის ტკბილი ჰანგები, სიტყვაკაზმულობა და ფერხული. ნეტარია კაცი, რომელსაც შეიყვარებენ მუზები, მუდმივი სტუმრები მხიარული და ხალისიანი ნადიმებისა.

ურანოსის შთამომავალმა, კოიოსისა და ფოიბეს ასულმა — ლეტომ ზევსს ქალ-ვაჟი გაუჩინა: აპოლონი, ყველაზე მძლავრი ზევსის შვილთაგან, უფალი ნათელმხილველთა და მისანთა, ხელოვანთა, მკურნალთა, ღმერთი სინათლისა და არტემი-

გიგანტი ეფიალტესი. ფრიზის დეტალი. ზევსის საკურთხეველი პერგამონში. დაახლ. ძვ.წ. 180 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები. პერგამონის მუზეუმი.

ათენასა და გიგანტ ენკელადოსის შერკინების სცენა. ამფორის დეტალი. პარიზი.



ჰეკატესა და კლიტიასის შერკინების სცენა. ფრიზის დეტალი. ზევსის საკურთხეველი პერგამონში. დაახლ. ძვ.წ. 180 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები. პერგამონის მუზეუმი.

მოკლული გიგანტი. ფრიზის დეტალი. ზევსის საკურთხეველი პერგამონში. დაახლ. ძვ.წ. 180 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები. პერგამონის მუზეუმი.

ზევსისა და ტიფონის ორთაბრძოლა. ქალკიკური ჰიდრია. ძვ.წ. 540-530 წწ. ძიენხენი. ანტიკური ალექსანდრიის ეროვნული მუზეუმი.



ოტოსი და ეფიალტესი არჩვზე ნადირობისას განგმირავენ ერთურთს. წითელფიგურიანი კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 440 წ. ბაზელი. ანტიკურობის მუზეუმი.

ოლიმპოსი. ღმერთების მერიქიფე, განიმედესი ტახტზე მჯდომ ზევსს ფიალაში უსხამს ნექტარს. მარჯვნივ ზის ჰესტია, ოჯახის კერის ქალღმერთი. წითელფიგურიანი კილიქსის დეტალი. დაახლ. ძვ.წ. 520 წ. ტარკვინია, ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.

ზევსი და ჰერა ტახტზე. ზევსს ხელთ უპყრია არწივიანი სკიპტრა და ელვა. ტახტი მორთულია სფინქსების სკულპტურებითა და ათლეტების გამოსახულებებით. ტახტის წინ დგას ირისი ოინოქოეთი და ღვინის ფიალით ხელში. მარჯვნივ დგას ქალღმერთი ათენა. წითელფიგურიანი ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 500 წ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



ოლიმპოსი და მის ძირითად სიმაღლეთა სახელწოდებები:
1. ზევსის ტახტი (სტეფანი).
2. მიტიკასი.
3. სკალა.
4. ტუმბა.
5. დაბალი ოლიმპოსი.

ზევსი და ჭაბუკი განიმედესი. დაახლ. ძვ.წ. 520 წ. ტარკვინია, ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.

ზევსი და ნიმფა ეგინა. წითელფიგურიანი ჰიდრია. დაახლ. ძვ.წ. 490 წ. პარიზი. ნაციონალური ბიბლიოთეკა.

სი — ნადირობის, ტყის ცხოველთა მფარველი ქალღმერთი. მძლავრნი და ყველასაგან აღიარებულნი არიან ლეტოსა და ზევსის შვილები.

და, ბოლოს, ქალღმერთი, რომელმაც საბოლოოდ დაიმკვიდრა უზენაესი ღმერთის მეუღლის ადგილი, იყო ზევსის და — ჰერა. კრონოსის ასული არ იყო გულგრილი ქმრის სასიყვარულო თავგადასავლების მიმართ და არაერთგზის იძია სასტიკად შური მათზე, ვინც ზევსს ეცილებოდა. მათ შეეძინათ სამი შვილი: ჰებე, არესი და ილითიია. ერთობ მოკრძალებული იყო ქალღმერთების ჰებესა და ილითიიას მონაწილეობა ოლიმპოსის მფლობელ ღმერთთა საქმიანობაში. პირველი, სიჭაბუკის ქალღმერთი, ოლიმპოსის მთაზე მდებარე ზევსის სასახლეში გამართულ ნადიმებზე მერიქიფეობასაც სწევდა. მეორე კი, მფარველი მშობიარეთა, ქალებს უგზავნიდა არა მარტო ტკივილს, არამედ დიდ შვებასა და ახალგაჩენილის ქვეყნად მოვლინების სიხარულსაც. არესი — ომის ღმერთი, მოკვდავთა შორის ყველაზე ნაკლები სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ მას მაინც ყველა უწევდა ანგარიშს, როგორც ერთ-ერთ უმძლავრეს უკვდავთაგანს.

ზევსის თავიდან ათენას გაჩენამ განარისხა ჰერა და მან, თავისით, ვინმესთან სასიყვარულო სარეცლის გაზიარების გარეშე, შვა ჰეფესტო, ცეცხლის, მჭედლობისა და ხელოსნობის ღმერთი. თუკი რამ მშვენიერი აშენდა ან გამოიჭედა ღმერთების სამეუფოში, ჰეფესტოს ოსტატობას უნდა ვუმადლოდეთ. მისი ქმნილებები მოკვდავებით დასახლებულ მიწასაც ამკობენ. ზოგიერთები გადმოგვცემენ, რომ ჰეფესტო ჰერამ ზევსისაგან გააჩინა, მაგრამ იგი მაინცდამაინც არ იყო განებივრებული მშობლების სიყვარულით. თუმცა ჰეფესტო ხეიბარი და უშნო იყო, მას მაინც არასოდეს არ დაუტოვებია მშვენიერი ღმერთების სავანეები ოლიმპოსზე.

ზევსის სარეცელი გაიზიარა ატლასის ასულმა, ერთ-ერთმა პლეიადათაგანმა, მშვენიერმა მაიამ, რომელმაც შვა ჰერმე-

სი, ღმერთთა შიკრიკი, მოგზაურთა მფარველი, მიცვალებულთა სულების გამცილებელი.

ზოგიერთები ზევსთან სიყვარულით დაკავშირებულ ქალღმერთთა შორის ასახელებენ დიონესაც, ოკეანოსის ან ურანოსის ასულს, და ამტკიცებენ, რომ სწორედ მან გააჩინა უზენაესი ღმერთისაგან სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი აფროდიტე.

შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ზევსის ვაჟი აიგიპანი, რომელიც კრონოსის ძემ ნიმფა აიქსისაგან გააჩინა. აიგიპანმა დიდი დახმარება გაუწია მამას საბედისწერო ჟამს; მას შეეძლო თხისა და თევზის ნაჯვარის სახის მიღება. მადლიერების ნიშნად სწორედ ამ ფორმით დაამკვიდრა მამამ იგი კაპრიკორნის თანავარსკვლავედში.

მრავალრიცხოვანი შთამომავალი ჰყავდა ზევსს მოკვდავი ქალებისგანაც. მათგან განსაკუთრებით ცნობილია თებეში მცხოვრებ სემელესთან სასიყვარულო კავშირის შედეგად გაჩენილი, ღვინის, ნაყოფიერებისა და შმაგი ბაკქური ექსტაზის ღმერთი დიონისე და ამფიტრიონის მშვენიერი მეუღლის, ალკმენესაგან გაჩენილი გმირთა გმირი ჰერაკლე, რომელიც მამამ სიკვილის შემდეგ გააღმერთა და ოლიმპოსზე აიყვანა.

ზევსი, ბუნებრივია, ისევე როგორც ურანოსი და კრონოსი, ფიქრობდა ძალაუფლების შენარჩუნებაზე. ყველაზე მეტად მას ციხის შიგნიდან გატეხვისა ეშინოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საკუთარი შვილი არ შესცილებოდა ტახტს. მაგრამ ამისთვის მას როდი მიუმართავს წინა თაობების ღმერთთა გამოცდილებისათვის და როდი დაუწყია მემკვიდრეების თავიდან მოშორებაზე ზრუნვა. ზევსმა ტახტის გადასარჩენად სხვა გზა აირჩია. მან იაპეტოსის შვილის, პრომეთეს ნათელმხილველობის უნარის წყალობით შეიტყო ვინაობა იმ ქალღმერთისა, რომლისგანაც შეიძლებოდა ძალაუფლების წამართმევი ვაჟი გასჩენოდა. ზევსმა, უბრალოდ, თავიდან აიცილა ეს ქორწინება და ამდენად აღარ დასჭირვებია საკუთარი შვილების

დევნა. პირიქით, მან ისინი მტკიცედ შემოიკრიბა გარშემო და ოლიმპოსზე ღმერთთა შორის ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთნდობის სული დაამკვიდრა. სწორედ ამან შეაძლებინა ზევსს დაემარცხებინა საშინელი მტრები, რომელთაც რამდენიმეგზის შემოუტიეს ოლიმპოსის მფლობელთ.

7 ბრძოლა გიგანტებთან

ოლიმპოსის მფლობელთათვის ძალზე ძნელი აღმოჩნდა გიგანტებთან ბრძოლა. გეა, რომელიც, მართალია, დაეხმარა ზევსს კრონოსის დამარცხებაში, შემდგომ ერთობ განაწყენდა მასზე ტიტანების ტარტაროსში დამწყვდევის გამო. მან თავისი შვილები, გიგანტები, რომლებიც ჩრდილოეთ საბერძნეთში მდებარე ფლეგრეში, პალენეს ნახევარკუნძულზე იშვნენ, აამხედრა მმართველ ღმერთთა წინააღმდეგ. საოცრად შეუპოვრები და ძლიერები იყვნენ გიგანტები. შესახედაობით ზოგიერთი მათგანი არ განსხვავდებოდა ადამიანის გარეგნობის მქონე ოლიმპიელი ღმერთებისაგან, ზოგს ტანი ადამიანის ჰქონდა, ხოლო ფეხების ნაცვლად კი გველის ვეებერთელა კუდი ება. სხვები ადამიანისა და ამა თუ იმ მტაცებელი ცხოველის ნაჯვარის სახით წარმოგვიდგებოდნენ. ღმერთებისაგან მათ განასხვავებდა მხოლოდ ის, რომ გიგანტები არ იყვნენ უკვდავნი, რომ შესაძლებელი იყო მათი მოკვლა. გეას ვეებერთელა, აუწერელი ძალის მქონე შვილებმა გადაწყვიტეს, შეეტიათ ზევსისათვის და ზეცაში მეუფე სხვა ღმერთებისათვის. მათ დაუშინეს ცასა და ოლიმპოსს კლდეები და ცეცხლი. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ოლიმპოსის მფლობელნი. უხეში და უსაზღვრო ძალის მქონე გიგანტები მათ აშკარად ემუქრებოდნენ დამხობით.

ამას ემატებოდა სხვა სირთულეებიც. გეას უნაკლოდ ჰყავდა შვილები მომზადებული უკვდავებთან საბრძოლველად, ღმერთებს არ შესწევდათ ძალა მათ დასამარცხებლად.

მაგრამ გეამ ვერ გაითვალისწინა ის, რომ ოლიმპიელებს შეიძლება აზრად მოსვლოდათ, დახმარებისთვის მოკვდავთათვის მიემართათ, ამდენად, გიგანტები მათთან დასაპირისპირებლად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. და, აი, მას შემდეგ, რაც ზევსმა შეიტყო წინასწარმეტყველება, რომ ოლიმპოსის მფლობელთ მხოლოდ მოკვდავი ადამიანის დახმარებით შეუძლიათ გიგანტების დამარცხება, მან გააგზავნა ათენა თავისი ძის, გმირთა გმირის ჰერაკლეს დასაძახებლად. გეამ სხვა ხერხსაც მიმართა. მან სცადა თავისი შვილები გადაერჩინა ჯადოსნური ბალახით, რომელიც გიგანტთა დასს დაუმარცხებელს, მტრისათვის მოუხელთებელსა და უკვდავს გახდიდა. მაგრამ ზევსმა აქაც შეუზღუდა გეას საშინელ შთამომავლებს ბრძოლაში წარმატების მოპოვების საშუალება. მან აუკრძალა მზეს, მთვარესა და ეოსს მოეფინათ სინათლე ქვეყნისათვის მანამდე, ვიდრე თავად არ მიაკვლევდა უკვდავებისა და უძლეველობის ამ წამალს. მართლაც, სიბნელეში, ერთთა თქმით, თავად ზევსმა, სხვათა თქმით კი ჰერაკლემ მიაკვლია სანუკვარ ბალახს და მოჭრა იგი.

ოლიმპოსის მფლობელნი მზად იყვნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. გიგანტებიც არ კარგავდნენ გამარჯვების იმედს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ალკიონევსი და პორფირიონი. პირველს შეერკინა ჰერაკლე. მან თავისი შხამიანი, მომაკვდინებელი ისარი სტყორცნა ალკიონევსს. მართალია, იგი დაენარცხა მიწას, მაგრამ, როგორც კი შეეხო მას, მაშინვე უვნებელი წამოხტა. ალკიონევსს ხომ თავის მშობელ, ფლეგრეს მიწასთან შეხება კვლავ უბრუნებდა ძალასა და სიცოცხლეს. მაშინ ათენამ შესძახა ჰერაკლეს: „სწრაფად წაიყვანე, ჰერაკლევ, ეგ გიგანტი სხვა ქვეყანაში“. და, აი, ზევსის შვილმა ალკიონევსს ჩაავლო თავისი მძლავრი ხელები, მოიგდო იგი მხარზე, უმალ გააცალა მშობლიურ მიწას და იქ, უცხო მიწაზე გააფრთხობინა სული. პორფირიონმა ჰერას შეუტია.

და, ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა იგი, როდესაც მთლად შემოახია ზევსის მეუღლეს ტანსაცმელი, რომ ზევსს მისთვის მეხი არ ეტყორცნა. მაგრამ გიგანტებს ხომ ღმერთების იარაღი ვერაფერს აკლებდა, საჭირო იყო საქმეში მოკვდავის ჩარევა. ბედად ჰერაკლემ მოასწრო ბრძოლის ველზე დაბრუნება და თავისი ისრით გამოასალმა წუთისოფელს გიგანტთა მეთაური პორფირიონი.

აპოლონმა გიგანტ ეფიალტესს აძგერა ცალ თვალში ისარი, როდესაც მან მძლავრად შემოუტია ოლიმპოსის მფლობელთ, ჰერაკლემ კი თავისი ისრით მას მეორე თვალთან ერთად სიცოცხლეც წაართვა.

ათენა გიგანტებს — პალასსა და ენკელადოსს შეერკინა. მან ვეებერთელა ქვის დაკვრით დასცა პალასი და, როდესაც ჰერაკლეს ისარმა გიგანტს სული ამოხადა, გააძრო მას ტყავი, რომელსაც, აქედან მოყოლებული, ფარად იყენებდა. ამიტომ უწოდებენ მას ათენა პალასს. ბრძოლის ველიდან ლტოლვილ ენკელადოსს ათენამ ვეებერთელა კლდე სტყორცნა, რომელმაც გიგანტი ქვეშ მოიყოლა. ასე წარმოიშვა კუნძული სიცილია. ცოცხლად გადარჩენილი ენკელადოსის მძლავრი სუნთქვა ამოიფრქვევა ხოლმე ცეცხლად ეტნის მთის მწვერვალიდან.

სხვა ღმერთებმაც მძლავრად შეუტიეს გიგანტებს: დიონისემ ევრიტოსს თავისი კვერთხი დასცხო, ჰეკატემ კლიტიასი მწველი ცეცხლის ჩირაღდნით დადაღა, ხოლო ჰეფესტომ მიმასი გავარვარებული ლითონის დაკვრით დასცა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჰერაკლეს ისარიც იყო ხოლმე საჭირო გიგანტებისათვის სულის საბოლოოდ ამოსართმევად.

პოსეიდონმა თავისი სამკაპით კუნძულ კოსს მოაჭრა მოზრდილი ნაწილი და გაუქანა პოლიბოტესს. ხმელეთის ნაჭერმა ქვეშ მოიყოლია გიგანტი. ასე ამოიზარდა სიცილიის მახლობლად კუნძული ნისიროსი, რომლის ქვეშაც განისვენებს პოსეიდონისაგან ძლეული გიგანტი.

ჰერმესმა უჩინმაჩინის ქუდი ითხოვა ჰადესისაგან და ასე სძლია ჰიპოლიტოსს, არტემისმა კი თავისი ისრებით დაამარცხა გრატიონი. არც მოირები დარჩენილან განზე ბრძოლისაგან. მათ აგრიოსი და თოასი დასცეს. ბრძოლის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო. ჰერაკლემ კიდევ ერთხელ ჩამოუარა დაჭრილ გიგანტებს და ისრების ტყორცნით საბოლოოდ ამოხოცა ისინი.

ზოგიერთები გადმოგვცემენ, თითქოს გიგანტები საბოლოოდ უკუაქცია იმ უჩვეულო ხმების გაგონებამ, რომელთაც ბრძოლაში ჩართული დიონისეს ამალის წევრების — სილენოსისა და სატირების სახედრები გამოსცემდნენ.

ოლიმპიელებმა დაამარცხეს საშინელი მტერი; გიგანტებისაგან აფორიაქებული ბუნება თანდათან ცხრებოდა. შეწყდა ბრძოლის ქარცეცხლით წარმოქმნილი ხმაური და აყალმაყალი. მაგრამ ოლიმპოსის მფლობელთ წინ ახალი საფრთხე ელოდათ, რომლის დაძლევაც არანაკლებ ძალასა და სიმამაცეს მოითხოვდა.

8 ტიფონი

გიგანტების გაჟლეტამ განარისხა გეა. იგი სასოწარკვეთილებამ იქამდე მიიყვანა, რომ ტარტაროსთან სასიყვარულო კავშირსაც კი არ მოერიდა. ამის შემდეგ კი გეამ მცირე აზიაში მდებარე ქვეყნის — კილიკიის ერთ გამოქვაბულში შვა ურჩხული, თავისი უმცროსი პირმშო, რომლის მსგავსი ჯერ არ ეხილა სამყაროს. მისი სახელი იყო ტიფონი. უზარმაზარ ურჩხულს გველის ასი თავი ამოსვლოდა, რომლებზედაც შემზარავად ბრწყინავდნენ ცეცხლისმფრქვეველი თვალები. მისმა ძლიერმა ხელებმა და ფეხებმა დაღლა არ იცოდნენ. თითოეული მისი ხახა გამოსცემდა რაღაც წარმოუდგენელ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ხმას: ერთი მხოლოდ ღმერთებისათვის გასაგებს, მეორე — ხარის ბღავილის მსგავსს,

მესამე — ლომის ღრიალს, მეოთხე — ძაღლების ყურისწამღებ ყეფას, მეხუთე — გამაყრუებელ სტვენას და, ვინ იცის, კიდევ რამდენ უცნაურ ხმას გამოსცემდნენ ისინი. მიუხედავად თავისი ვეებერთელა ზომებისა, ურჩხულს შეეძლო სწრაფი გადაადგილება და ფრენაც კი. სასტიკად, ხმაურით შეუტია მან ზევსსა და სხვა ოლიმპიელებს. ბრდღვინავდა ზევით ცა და ქვევით მიწა, აკვნესდნენ ოკეანოსის დინებები და ფართოდ გაშლილი ზღვა, თვით ტარტაროსიც კი შეაკრთო ბრძოლის ქარცეცხლმა. ყოველივეს ცეცხლის მცხუნვარე ალი მოედო: მიწასაც და წყლის სივრცესაც. მიწა ირყეოდა გამუდმებით, ნაპირებს აწყდებოდა უზარმაზარი ტალღები. შიშის ცახცახმა აიტანა საიქიოს ღმერთი ჰადესი და თვით ტარტაროსში ჩამწყვდეული ტიტანებიც კი. ზევსის მეუფებას აშკარა საფრთხე შეექმნა.

როდესაც ტიფონმა ოლიმპოსს შეუტია და მმართველ ღმერთთა სამკვიდრებელმა ზანზარი იწყო, უკვდავებმა მიატოვეს იგი და შიშით ეგვიპტეში გაიქცნენ. როგორმე რომ დამალვოდნენ ტიფონის მზერას, თითოეულმა მათგანმა ცხოველის სახე მიიღო: ზევსმა — ცხვრის, აპოლონმა — ყვავის, დიონისემ — თხის, ჰერამ — თეთრი ძროხის, არტემისმა — კატის, აფროდიტემ — თევზის, არესმა — ტახის, ჰერმესმა — იბისის. დანარჩენებიც ასევე სხვადასხვა ცხოველებად გადაიქცნენ.

მხოლოდ ათენას არ უცვლია სახე. მისგან შერცხვენილმა კრონოსის ძემ დაიბრუნა თავისი ოდინდელი იერი და მეხი სტყორცნა ტიფონს. ზევსმა ურჩხული სირიაში მდებარე მთასთან, კასიოსთან მიიტყუა. მაგრამ ტიფონმა მას წაართვა ის ნამგალი, რომლითაც თავის დროზე კრონოსმა დაამარცხა ურანოსი, მარწუხებივით მოუჭირა ზევსს თავისი გველის კიდურები და მოძრაობის უნარი წაართვა, შემდეგ კი ფეხის მყესები ამოაჭრა. დავრდომილი მოწინააღმდეგე ტიფონმა კილიკიაში მდებარე კორკირულ გამოქვაბულში დაამწყვდია და

დარაჯად მიუჩინა გველქალა ურჩხული დელფინე. ამით დასრულდებოდა ოლიმპოსის მფლობელთა მეუფება, რომ არ ემარჯვათ ზევსის ვაჟებს, ჰერმესსა და აიგიპანს.

როგორც კი გავრცელდა ცნობა ზევსის დამარცხების შესახებ, ჰერმესი და აიგიპანი ჩუმად მიიპარნენ გამოქვაბულთან. ტიფონისა და დელფინეს ყურადღება ამ დროს მიპყრობილი ჰქონდა ველად მწყემსად გასული კადმოსის სალამურის ჰანგებს. სხვანი კი გადმოგვცემენ, დელფინე აიგიპანის საშინელმა ხმამ და გარეგნობამ გააქციაო. ჰერმესმა მიაკვლია ადგილს, სადაც ტიფონს ზევსის მყესები ჰქონდა ჩაფლული, კვლავ ჩაუსვა ისინი მამას და კრონოსის ძე ისევ დაბრუნდა ოლიმპოსზე. იგი ცხენშებმული ეტლით აიჭრა ზეცაში, მოიკრიბა ძალა და ტიფონთან გადამწყვეტი შეტაკებისათვის განეწყო. ზევსი კვლავ აღიჭურვა თავისი იარაღით. იგი თავს დააცხრა ტიფონს და ისე დაუშინა ელვა და მეხი, რომ ურჩხული შედრკა და ნისას მთისკენ უკუიქცა. აქ იგი ძალების აღდგენას აპირებდა. ტიფონს მოირებმა ურჩიეს, ეგემნა ერთდღიანი ნაყოფი, რომელიც მას სწრაფად დაუბრუნებდა ძალასაც და სიმხნევესაც. ურჩხული მოტყუვდა, დაუჯერა ზევსის გულშემატკივარ მოირებს და შეჭამა ნაყოფი, რომელიც მოკვდავთათვის იყო განკუთვნილი, ღმერთებს საოცრად ასუსტებდა. ტიფონმა გადაწყვიტა, თრაკიაში შეგებებოდა ზევსს, მაგრამ მეხისა და ელვის ისრების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. მისმა სისხლმა მორწყა იქაურობა. მთელ ქედს ეწოდა ამიტომ აქ სახელი ჰაიმოსი — ბერძნულად ხომ ჰაიმა სისხლს ნიშნავს. ზევსის ცეცხლმა დადაგა ტიფონის ასევე თავი და ძალაგამოცლილი, უკუქცეული ტიფონი დაეცა. ზოგიერთის გადმოცემით, კრონოსის ძემ ტიფონიც ტარტაროსში ჩაამწყვდია, სხვანი კი გვაუწყებენ, რომ კუნძულ სიცილიით გაჭეჭყა ზევსმა ტიფონი და იგი მის ქვეშ მოაყოლა. მხოლოდ ზოგჯერ თუ წამოყოფს ურჩხული თავს, როდესაც დაგროვილ ცეცხლსა და ლავას ამოაფრქვევს ხოლმე ეტნიდან.

მართალია, ზევსმა დაამარცხა და განდევნა ტიფონი, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც მოახერხა დაკავშირებოდა ექიდნას და გაეჩინა მთელი მოდგმა შიშისმომგვრელი დემონებისა, რომლებიც უკვე მოვიხსენიეთ ექიდნას შთამომავლობაზე საუბრისას და რომელთა შესახებ სერიის მომდევნო წიგნებშიც იქნება საუბარი.

ტიფონისგანვე გაჩნდა ყველა ქარი, გარდა ადამიანისათვის სიკეთის მომტანი ნოტოსის, ზეფიროსისა და ბორეასისა. ტიფონისგან შობილ ქარებს კი მხოლოდ მოკვდავთა გაუბედურება შეუძლიათ. ისინი ხან ზღვას აღელვებენ და მეზღვაურებს ღუპავენ, ხან დაუქროლებენ აყვავებულ და ნაყოფიერ ყანებს და მეყსეულად აჩანაგებენ მოკვდავთა შრომით მოწეულ მოსავალს.

და მაინც, სამყაროს ასცდა დიდი საფრთხე — ტიფონის განუკითხავი მეუფება, მაგრამ ზევსს წინ კიდევ ელოდა ახალი მოწინააღმდეგეების დაძლევა.

9 ალოადები

ტრიოფსის ასულმა იფიმედეამ შეიყვარა პოსეიდონი. იგი ყოველდღე მიდიოდა ზღვასთან, იჭერდა მის ტალღებს ხელით და ისხამდა სხეულში. ბოლოსდაბოლოს ზღვის მეფემ დააფეხმძიმა იგი. ქალს ჰყავდა კანონიერი ქმარი ალოევსი და, როდესაც იფიმედეამ გააჩინა პოსეიდონისგან ვაჟები, ოტოსი და ეფიალტესი, მათ ალოევსის ძეები, ანუ ალოადები უწოდეს. ბიჭები წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდებოდნენ. ისინი ყოველწლიურად სიმაღლეში ერთ ორგიიას, სიგანეში კი ერთ წყრთას იმატებდნენ. ცხრა წლისა რომ შეიქმნენ, უკვე ნამდვილი გოლიათები იყვნენ. სიგანეში ოტოსიცა და ეფიალტესიც ცხრა წყრთას (ოთხ მეტრზე მეტი), ხოლო სიმაღლეში ცხრა ორგიიას (ჩვიდმეტ მეტრამდე) აღწევდნენ. მიუხედავად თავიანთი სიდიდისა, ძმები საოცრად ლამაზები იყვნენ. ასე რომ,

მათ უკვე ბავშვობაში იგრძნეს განსაკუთრებულობა და ძალით გამორჩეულობა. ამან კი მათ ღმერთებისადმი უდიერი დამოკიდებულება და ამპარტავნობა განუვითარა. ამას ისიც ემატებოდა, რომ, წინასწარმეტყველების მიხედვით, მათი მოკვლა არც ღმერთს შეეძლო და არც მოკვდავს.

პირველი, რაც მათ მოიმოქმედეს, ის იყო, რომ დაიჭირეს ომის ღმერთი არესი და ჩაამწყვდიეს ბრინჯაოს დოქში, რომელიც თავიანთი დედინაცვლის, ერიბოიას სახლში დამალეს. ცამეტი თვე იტანჯებოდა იქ ზევსის ამაყი ძე, ომის ღმერთი არესი და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოუწევდა ამ სამარცხვინო პატიმრობაში ყოფნა, ერიბოიას რომ, ბოლოსდაბოლოს, ჰერმესისათვის არ ეცნობებინა მისი ადგილსამყოფელი და ძმას არ დაეხსნა იგი.

ოტოსმა და ეფიალტესმა ეს არ იკმარეს. მათ გადაწყვიტეს ქალღმერთების ხელში ჩაგდება და მათთვის ნამუსის ახდა, პირველმა — არტემისის, ხოლო მეორემ — თავად ჰერასი. და, აი, გოლიათმა ძმებმა მიიტანეს შეტევა ღმერთების საბრძანებელზე. მათ ოლიმპოსს მიადგეს მთა ოსა, ხოლო ამ უკანასკნელს კი ტყით დაფარული პელიონის მთა შეადგეს, რათა ასე მისწვდომოდნენ ზეცას. ისინი უცვლიდნენ ადგილს ზღვებსა და მთებს, რასაც ბუნებაში დიდი, ზოგჯერ დამღუპველი ცვლილებები მოჰყვებოდა ხოლმე. მაგრამ არავინ იყო მათი შემკავებელი.

ბევრი ფიქრის შემდეგ აპოლონმა მონახა გამოსავალი. მან ურჩია არტემისს, გაეგზავნა ალოადებისათვის ამგვარი უწყება: თუკი ისინი დროებით შეწყვეტდნენ იერიშს, იგი თავად ჩავიდოდა კუნძულ ნაქსოსზე და დანებდებოდა ოტოსს. ამ ცნობამ ოტოსი გაახარა, მაგრამ განარისხა ეფიალტესი. იგი მოითხოვდა, როგორც უფროსს ძმებს შორის, პირველად მას მისცემოდა არტემისით ტკბობის შესაძლებლობა. ძმები ცხარედ კამათობდნენ, რომ უეცრად გამოჩნდა თეთრი არჩვი. იგი ან აპოლონის მიერ იყო მოვლენილი ან, როგორც ზოგიერთები ამბობდნენ, თავად იერშეცვლილი ღმერთი იყო. ძმებმა, ერთმანეთთან გაჯიბრების სურვილით ანთებულებმა, სტაცეს ხელი შუბებს. არჩვმა ელვის სისწრაფით გაიქროლა მათ შორის. ალოადების თითქმის ერთდროულად მძლავრად გატყორცნილი შუბები ასცდა მიზანს. არჩვის ნაცვლად შუბებით განიგმირნენ თავად ოტოსი და ეფიალტესი. ასე ახდა წინასწარმეტყველება. გოლიათი ძმები სხვამ ვერავინ მოკლა, მათ თავადვე დახოცეს ერთმანეთი.

მაგრამ მოკვდავებმა არ დაუვიწყეს ალოადებს ზოგიერთი სიკეთე. კუნძულ ნაქსოსის მცხოვრებნი მათ განადიდებდნენ, როგორც გმირებს. ბეოტიური ასკრის მცხოვრებნი კი მათ მიაგებდნენ პატივს, როგორც ამ ქალაქის დამაარსებლებს. ხალხის მახსოვრობამ კი მათი სახელები მუზების წყალობით შეინახა — ოტოსმა და ეფიალტესმა ხომ პირველებმა დააფუძნეს მათი კულტი.

იმასაც გადმოგვცემენ, რომ ძმები ბეოტიურ ანთედონში დაკრძალეს, მათი სულები კი ტარტაროსში იტანჯებიან. ისინი ცოცხალი გველებით მხარი-მხარ არიან მიკრულნი სვეტზე.

⑩ ოლიმპოსი და თორმეტი ოლიმპიელი ღმერთი

დიდებულია ოლიმპოსის მაღალი მთა. იგი აირჩიეს სამკვიდრებლად ტიტანთა დამმარცხებელმა ღმერთებმა. ამიტომაც მათ ხშირად ოლიმპიელებსაც უწოდებენ. ოლიმპოსის მაღალ მწვერვალზე თავად ზევსის სასახლეა განლაგებული. აქ ყველაფერს ოსტატი ღმერთის, ჰეფესტოს დიდებული ნიჭის კვალი ამჩნევია. ზევსის სასახლის ქვემოთ, მთის ფერდობებზე ოლიმპოსის მფლობელი სხვა ღმერთების სახლებია განლაგებული. ღმერთთა სასუფევლის ქვემოთ იწყება ღრუბელთა სამეუფეო, რომელიც ჰყოფს უკვდავთა და მოკვდავთა სამკვიდრებელთ. ღრუბლებს ზევსი ხან კრებს, ხან კი ფანტავს თავისი სურვილის მიხედვით. ღრუბელი წარმოადგენს ოლიმ-

პოსის ჭიშკარს, რომელსაც დარაჯობენ ჰორები, ზევსის მომხიბვლელი ასულები. ოლიმპოსზე სიმშვიდე, ბრწყინვალება და მშვენიერება სუფევს. ღმერთებს სრული ურთიერთგაგება და ურთიერთსიყვარული აქვთ, თუმცა ზოგჯერ შეიძლება ცალკეულ საკითხზე ცხარე კამათი და ჩხუბიც კი მოუვიდეთ ერთმანეთში. ასეთ დროს საქმეში ზევსი ერევა ხოლმე და სიმშვიდე უმალვე აღდგება. ეს ყოველთვის ასე როდი იყო, ზევსს მარტოოდენ ტიტანები, გიგანტები და სხვადასხვა ურჩხულები როდი ემუქრებოდნენ. შეთქმულების მცდელობები თავად ოლიმპიელ ღმერთთა შორისაც იყო, მაგრამ კრონოსის მძლავრმა ძემ ყველას აჯობა ჭკუითა და ძალით და მეამხობეები დააშოშმინა. არავინ იცის ზუსტად, თუ როგორ გამოიყურებიან ღმერთები. მათ ხომ შეუძლიათ სულ სხვადასხვა სახე მიიღონ, გახდნენ მოკვდავებისათვის ხილულნი თუ უხილავნი, გამოეცხადონ ადამიანებს ნებისმიერი მიწიერის სახით; მაგრამ ღმერთებს და ადამიანებს მაინც ერთი წარმომავლობა აქვთ, ამიტომაც ისინი ასე ჰგვანან ერთმანეთს გარეგნობითაც და ზნითაც; მათ ერთმანეთისაგან არსებითად მხოლოდ ის განასხვავებს, რომ ღმერთები უკვდავები არიან, ხოლო ადამიანები — მოკვდავები, ღმერთებს თითქმის ყველაფერი შეუძლიათ, ხოლო ადამიანებს — მხოლოდ ის, რაც უკვდავებმა განუსაზღვრეს მათ. ამიტომ ადევნებენ ღმერთები ასე მკაცრად თვალს იმას, რომ მოკვდავებმა არ გადალახონ შესაძლებლობების მათთვის დადგენილი საზღვრები, არ მოინდომონ უკვდავების მოპოვება, არ მოიმოქმედონ რაიმე მოირებისა და ღმერთების მიერ მათთვის განსაზღვრულის ზემოთ, არ გამოავლინონ უდიერება ღმერთების მიმართ. და თუკი რომელიმე მოკვდავი ამას მაინც შეეცდება, ღმერთები მას მკაცრად სჯიან, როგორც ამპარტავანსა და ზვიადს.

ღმერთები იბადებიან როგორც ადამიანები, მაგრამ შემდეგ ისინი აღარ კვდებიან. მსგავსი აქვთ ვნებათაღელვაც და განცდებიც, სიხარულიც და მწუხარებაც, შეუძლიათ უყვარდეთ და

სძულდეთ, იყვნენ მიმნდობნი და ეჭვიანები... ისინი ელვის სისწრაფით გადაადგილდებიან ხოლმე, მაგრამ არ შეუძლიათ ერთდროულად ყველგან იყვნენ, ამიტომაც ეპარებათ ზოგჯერ მხედველობიდან ერთმანეთის თუ მოკვდავების საქმეები, ამიტომ შეიძლება მათგან რაღაცის დაფარვა, მათი მოტყუებაც კი.

ღმერთები და ღვთიური ძალები უამრავია სამყაროში. მაგრამ მას შემდეგ, რაც კრონოსის სამმა ვაჟმა გაინაწილა სამეუფოები, ზევსი წარმოადგენს უზენაეს ღმერთს, იგი და მასთან ერთად ოლიმპოსის მფლობელი სხვა უკვდავი ღმერთები მართავენ სამყაროს. ასეთი დიდი ღმერთი კი თორმეტია, მათ ხშირად თორმეტ ოლიმპიელ ღმერთსაც უწოდებენ. ესენია: ზევსი, ჰერა, ათენა, პოსეიდონი, დემეტრე, აპოლონი, არტემისი, ჰერმესი, არესი, აფროდიტე, ჰეფესტო, ჰესტია. მათ შორის მოიხსენიებდნენ ზოგჯერ ჰადესს, ანუ პლუტონს, თუმცა იგი, როგორც წესი, მიწისქვეშეთში იმყოფება, დიონისეს, მიუხედავად იმისა, რომ მან უარი თქვა ოლიმპოსზე დამკვიდრებაზე, და ჰერაკლეს, რომელიც მოკვდავად დაიბადა და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გააღმერთა ზევსმა. მართალია, ზევსი უზენაესი ღმერთია, მაგრამ მას თავისი დების, ძმებისა და შვილებისათვის განაწილებული აქვს მმართველობის სფეროები ცასა და მიწაზე. თითოეულ მათგანს სამყაროსა და მოკვდავთა მართვის სადავეთა მხოლოდ ერთი ნაწილი უპყრია, მას არ შეუძლია, შეიჭრას მეორე ღმერთის უფლებებში. ყველა სადავე თავს მხოლოდ ზევსის ხელში იყრის.

ოლიმპოსი, რომელიც ამაყად არის ამოზრდილი ღრუბლებს შორის, ერთდროულად ზეცის დასაწყისიცაა. ამიტომ, როცა ღმერთები ოლიმპოსზე არიან, ითვლება, რომ ისინი ზეცაში იმყოფებიან. მათ ხშირად ცისიერებსაც ან ციურ ღმერთებსაც უწოდებენ.

ოლიმპიელები არ გამიჯნვიან სხვა ღმერთებს. პირიქით, მრავალრიცხოვანმა ღმერთმა, ზღვისა თუ მთის ნიმფამ, სხვადასხვა დემონურმა ძალებმა, რომელთაც აღიარეს ზევსის ძა-

ლაუფლება, მოქმედების თავიანთი უბნები შეინარჩუნეს ან მიიღეს. მათ პატივს მიაგებენ, როგორც უკვდავ ღმერთებს.

არა მარტო ოლიმპოსია ღმერთთა სამკვიდრებელი. არ არის არცერთი მაღალი მთა, რომელზედაც უკვდავებს არ ჰქონდეთ ფეხი მოკიდებული. მათვე განაწილებული აქვთ მრავალრიცხოვანი ქალაქები, ზოგჯერ კუნძულები და მხარეებიც კი, სადაც ამა თუ იმ ღმერთს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ და რომელთაც ასევე განსაკუთრებულად მფარველობენ ეს ღმერთები.

ნეტარია ღმერთების ცხოვრება ოლიმპოსზე. ისინი ხშირად იკრიბებიან ზევსის სასახლეში სხვადასხვა, სამყაროსა და მოკვდავთათვის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად. ზოგჯერ, მართალია, ძალზე იშვიათად, ზევსმა შეიძლება სხვა უკვდავთა თავმოყრაც მოინდომოს ხოლმე. მოწვეულ ღმერთთათვის ეს უმაღლესი პატივია. ისინი ასეთ დროს სულგანაბულები უსმენენ ოლიმპიელების მსჯელობას, ზევსის ბრძნულ რჩევას.

ოლიმპიელ ღმერთებს უყვართ ნადიმობა. დიდებულია ის წვეულებები, ოლიმპოსზე რომ იმართება. მონადიმეებს მერიქიფეობას უწევენ ჰებე, ზევსის ასული, სიჭაბუკის ქალღმერთი და მშვენიერი ყმაწვილი განიმედესი, რომელიც ზევსმა შეიყვარა და უკვდავება მიანიჭა. ისინი ღმერთებს ამბროსიით — უკვდავთა არაჩვეულებრივად ტკბილი, გემრიელი და ჰაეროვანი საკვებითა და ასევე ღვთაებრივი სასმელით — ნექტარით უმასპინძლდებიან. ამგვარი საკვები მარტო უკვდავებას როდი ანიჭებდა, იგი სულიერ სიმშვიდესა და ძალასაც ჰმატებდა ღმერთებს. მონადიმეთ სიმღერით ატკბობდნენ აპოლონი და მუზები, ნატიფი ფერხულით კი — ქარიტები.

ზევსის მალემსრბოლი მაცნე ირისი იყო, ხოლო ჰერმესს კი ეკისრებოდა შიკრიკობა და ხშირად საკმაოდ საჩოთირო საქმეების მოგვარებაც. მათი საშუალებით ამცნობდა ხოლმე

ზევსი ელვის სისწრაფით თავის ნებას მთელ სამყაროში გაფანტულ მრავალრიცხოვან ღმერთებსა და დემონებს.

დიდი იყო ღმერთების ძალა, მაგრამ არა განუსაზღვრელი. მათ არ შეეძლოთ მოირების მიერ დადგენილი ხვედრის შეცვლა, ზოგჯერ საკუთარი ხვედრის წინასწარ განჭვრეტა და წვდომაც კი. განსაკუთრებით ზღუდავდა მათ ღმერთების საფიცარი — სტიქსის წყალი. ზევსმა ხომ ამგვარი პატივი მიაგო ოკეანოსის ასულს: როდესაც ღმერთებმა ფიცი უნდა დადონ, ირისს მათთან მიაქვს სტიქსის — ქალღმერთ-მდინარის იმ ნაკადის წყალი, რომელიც მაღალი და მიუდგომელი კლდიდან გადმოედინება. თუკი ამ წყლის პკურებისას ცრუ ფიცს წარმოთქვამდა ოლიმპოსზე მცხოვრები რომელიმე ღმერთი, მაშინ მას ამგვარი სენი შეეყრებოდა: იგი უსულოდ იწვა ერთი წლის განმავლობაში სარეცელზე, ვერც თვალს ახელდა, ვერც საჭმელს ეკარებოდა და ვერც კრინტს ძრავდა. როდესაც ერთი წლის შემდეგ ამ სნეულებისაგან განიკურნებოდა, ახალი უბედურება ელოდა წინ. ცხრა წლის განმავლობაში ის ღმერთებისაგან შორს ცხოვრობდა, ვერც მათ შეკრებებში და ვერც მათ ნადიმებში მონაწილეობდა. მხოლოდ მეათე წელს უბრუნდებოდა იგი ოლიმპიელი ღმერთების კრებულს. ამიტომ სტიქსის წყალზე დაფიცება მძლავრი ღმერთებისათვის, თავად ზევსისთვისაც კი, ერთობ საფრთხილო საქმე იყო. ისინი ცდილობდნენ არასოდეს არ ჩაეგდოთ თავი ამგვარ სატანჯველში.

და მაინც, ადამიანებისაგან განსხვავებით, ღმერთების ცხოვრება ლაღი და უშფოთველი იყო. ისინი გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალს მოკვდავებს და ხშირად სხვადასხვა ნიშნებით აუწყებდნენ იმას, თუ რა ელოდათ მათ მომავალში, იმას, თუ რისგან უნდა შეეკავებინათ თავი ან რა უნდა მოემოქმედნათ. ადამიანები გრძნობდნენ ღმერთების ძალას და სათანადო პატივს მიაგებდნენ ოლიმპიელებს, უგებდნენ საკურთხევლებს, სწირავდნენ მსხვერპლს, აღავლენდნენ მათდამი ვედრებას.

11 ზევსი – უზენაესი ღმერთი

ზევსი, კაცთა და ღმერთთა მეუფე, მყარად და უშიშრად ზის თავის სპილოს ძვლისა და ოქროსაგან დამზადებულ ტახტზე და მართავს სამყაროს, უკვდავთა და მოკვდავთა ცხოვრებას. მას გვერდს უმშვენებს ჰერა. თუმცა მეუღლის ეჭვიანობა ქმრის მიმართ ხშირად ზევსის განრისხებას იწვევს და ყოველგვარ ზღვარს გადადის, მას უზენაესი ღმერთი მაინც პატივისცემით ეპყრობა, აფასებს ჰერას გამჭრიახობასა და გონივრულ რჩევებს. ზევსს თავისი ძალაუფლების განხორციელებაში აღარ ემუქრება რაიმე საფრთხე. მაგრამ ამგვარი მდგომარეობის მიღწევას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა. კრონოსის დამხობის შემდეგ ჯერ იყო და ზევსს ტიტანებთან და ათასგვარი ჯურის გიგანტებთან ბრძოლა მოუხდა, შემდეგ კი მას დასჭირდა მოეთოკა თავად ოლიმპიელთა ლტოლვა ზევსის ძალაუფლების შეზღუდვისაკენ.

ერთხელ მას თავს დაესხნენ ჰერა, ათენა, პოსეიდონი და, შესაძლოა, სხვა ოლიმპიელებიც, გარდა ჰესტიასი, და ისე მაგრად შებოჭეს, რომ კრონოსის ძეს ხელის განძრევაც კი არ შეეძლო. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ბედი, რომ ნერევსის ასულს, ზღვის მშვენიერ ქალღმერთ თეტისს არ გაეწია მისთვის დახმარება. იგი უმალვე ტარტაროსში ჩავიდა და იქიდან ამოიყვანა ასხელა ბრიარეოსი, რომელმაც გაათავისუფლა ზევსი. მწარედ დაამახსოვრდათ ეს დღე მის შემბოჭავებს. ჰერას, როგორც შეთქმულების მომწყობს, ხელებზე ოქროს გრძელი ჯაჭვები, ფეხებზე კი მძიმე გრდემლები მიაბა და ასე გადმოჰკიდა ციდან. ღმერთები, თუმცა თანაუგრძნობდნენ ჰერას, შიშით ვერაფერს ეუბნებოდნენ განრისხებულ ზევსს. ბოლოსდაბოლოს, ზევსმა დააფიცა ღმერთები, რომ ამგვარ რამეს აღარასოდეს გაიმეორებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლა ჰერა. ზევსის რისხვას ვერც ისეთი მძლავრი ღმერთები ასცდნენ, როგორებიც პოსეიდონი და აპოლონი იყვნენ. ისინი

კრონოსის ძემ ტროას მეფესთან, ლაომედონთან გააგზავნა მთელი წლით მონებად. ერთხელ, როდესაც ჰეფესტო დედამისს, ჰერას გამოესარჩლა ზევსის წინაშე ცოტა არ იყოს თავხედურად, კრონოსის ძემ ხელი სტაცა მას და ოლიმპოსიდან მოისროლა. საწყალი ჰეფესტო მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოფრინავდა იქიდან, სანამ, ბოლოსდაბოლოს, კუნძულ ლემნოსზე არ დავარდა. ასე რომ, ზევსს, თუკი ჰერას ქალურ ჭირვეულობებს არ ჩავთვლით, ოლიმპიელთაგან უბატონოდ ხმას ვეღარავინ სცემდა.

არ იყო იოლი ზევსისათვის არც უმაღლესი სიბრძნისა და კანონიერების მიღწევის გზა. თავდაპირველად კრონოსის მმართველობის დროს განებივრებული ადამიანები ზევსს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდნენ. მათმა ქომაგმა, პრომეთემ მოკვდავთა თვალწინ კრონოსის ძის გამოუცდელობის მხილებაც კი სცადა, როდესაც უზენაეს ღმერთს შესთავაზა ხორცის ორი ზვინიდან აერჩია მისთვის სასურველი. ზევსმა იმისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც გარედან ქონით იყო გაწყობილი, ხოლო შიგნით კი ძვლებით გამოვსებული. სწორედ ამის შემდგომ სწირავენ ადამიანები ღმერთებს მსხვერპლად ცხოველების საჭმელად უვარგის ნაწილებს. შემდეგ ზევსმა მოინდომა ადამიანებისათვის ჭკუა ესწავლებინა და მათ ცეცხლი დაუმალა. მაგრამ პრომეთემ მოიპარა ცეცხლი და ადამიანებს დაუბრუნა. ამასთან მათ ასწავლა, თუ როგორ უნდა ებრძოლათ არსებობისათვის. ზევსმა საგანგებოდ დასაჯა პრომეთე კლდეზე მიჯაჭვით; საბოლოოდ მაინც ვერ გაიმეტა იგი, რადგან მხოლოდ იაპეტოსის შვილს შეეძლო იმის წინასწარმეტყველება, თუ ვისი შერთვისაგან უნდა შეეკავებინა თავი ზევსს, რომ არ გასჩენოდა ძალაუფლების წამრთმევი შვილი. ბოლოსდაბოლოს, ზევსმა და პრომეთემ გამონახეს საერთო ენა და უზენაესმა ღმერთმა შეიტყო, რომ ამგვარი საფრთხე მას თეტისისაგან ელოდა. ამიტომაც გააყოლეს ქალღმერთი მოკვდავ პელევსს, რომელსაც მან გმირი აქილევსი გაუჩინა.

ზევსმა ამ საიდუმლოს შეტყობით სრული სულიერი სიმშვიდე მოიპოვა და შთამომავლობის წინაშე შიშისაგან განთავისუფლებულმა სამყაროს მართვას სიბრძნე და კანონიერება დაუდო საფუძვლად. პირველი, რაც მან ჩაუნერგა ადამიანებს, ისაა, რომ მოკვდავი ისჯება ამპარტავნობისათვის, რომ მან არასოდეს არ უნდა გადალახოს მოქმედების მისთვის განსაზღვრული ფარგლები და არ უნდა მოინდომოს ღმერთთან რაიმე ნიშნით გატოლება. ბევრი ამბავი ადასტურებს იმას, თუ როგორ სასტიკად სჯიდა ზევსი მოკვდავებს ამპარტავნობისათვის.

ლიკაონი და მისი შვილები

არკადიის მეფე, პელასგოსისა და მელიბოიას ძე, ლიკაონი და მისი ორმოცდაათი შვილი ცნობილნი იყვნენ თავიანთი უღმრთობით. ერთხელ ზევსმა გადაწყვიტა შეემოწმებინა ისინი. მან მიიღო ღარიბი მოგზაურის სახე და მიადგა ლიკაონის სახლს. ერთთა თქმით ლიკაონმა, სხვათა გადმოცემით კი მისმა შვილებმა იეჭვეს, რომ მათი სტუმარი ღმერთი იყო. მათ გადაწყვიტეს იგი გამოეცადათ და კერძს შეურიეს ადამიანის ხორცი. ზოგი იმას ამბობს, რომ ეს ლიკაონის მონის, სხვანი კი, რომ მისი ერთ-ერთი შვილის ნიქტიმოსის ან შვილიშვილის არკასის ხორცი იყო. ღმერთი არ მოტყუვდა. სასტიკად განრისხებულმა ზევსმა ხელი ჰკრა სუფრას და ყოველივე წამოაპირქვავა. მისგან ნატყორცნმა ელვამ ფერფლად აქცია იქაურობა. ამიერიდან ამ ადგილს ტრაპეძოსი (ტრაპეზა ხომ ბერძნულად სუფრას ჰქვია) ეწოდა. ლიკაონი და მისი შვილები მგლებად აქცია კრონოსის ძემ, რათა მათ გამუდმებით სისხლის წყურვილი ჰქონოდათ. მხოლოდ დაკლული ნიკტიმოსი დაინდო უზენაესმა ღმერთმა, მან იგი გააცოცხლა. შემდეგ კი ადამიანთა ამ თაობას საერთოდ წარღვნა მოუვლინა, რათა მთლიანად აღგვილიყო მიწის პირიდან ქედმაღალ და უწმინდურ მოკვდავთა მოდგმა.

სალმონევსი

არ აპატია ზევსმა არც სალმონევსს. აიოლოსისა და ენარეტეს ვაჟი ერთხანს თესალიაში მეფობდა, შემდეგ იგი თავისმა ძმამ სისიფოსმა გააძევა სამშობლოდან და სალმონევსი ელისში გადასახლდა. აქ დააარსა ქალაქი სალმონე, რომლის მოქალაქეებსაც მოსთხოვა ღმერთად ეღიარებინათ იგი. სალმონევსი იმდენად გაზვიადდა, რომ ბრძანა ზევსისათვის განკუთვნილი მსხვერპლი მისი, მოკვდავი ადამიანის საკურთხეველზე მიეტანათ; იგი ყველას არწმუნებდა, რომ თავად არის ზევსი. დაქროდა სალმონეს ქუჩებში ეტლზე გამომშრალი ტყავებით გამობმული ბრინჯაოს დოქებით და ამტკიცებდა, რომ მათი ხმაური ზევსის მეხია. ცაში კი ანთებულ ჩირაღდნებს აგდებდა და გაიძახოდა, ეს ელვაა. როდესაც ეს ჩირაღდნები ძირს ჩამოვარდნისას მის ხელქვეითებს მოხვდებოდა ხოლმე, სალმონევსი იმის აღიარებას მოითხოვდა, რომ მათ ღმერთმა სტყორცნა ელვა. მაგრამ მის ამპარტავნობას კრონოსის ძემ დაუდო ზღვარი. მან სალმონევსს სტყორცნა ნამდვილი ელვა და ასე განგმირა მოკვდავი, რომელიც საკუთარ თავს ღმერთად მიიჩნევდა. ხანძარმა მთლიანად შთანთქა მისგან დაარსებული ქალაქიც თავისი უგნური მოსახლეობით, რომელმაც ვერ შეძლო წინ აღდგომოდა მეფის ამპარტავნობას.

იქსიონი

ზევსის კიდევ ერთი მსხვერპლი თესალიური ტომის, ლაპითების მეფე იქსიონი იყო, რომელიც უზენაეს ღმერთს ერთობ უყვარდა. იქსიონმა ჯერ იყო თავისი უწმინდურობა ცოლის მოყვანის დროს გამოავლინა. მან განიზრახა მაგნესიის მეფის ედონევსის ქალის, დიას შერთვა. იგი სასიმამროს დაჰპირდა მდიდრულ გამოსასყიდს დიას ხელისათვის. და, აი, ედონევსი გაემართა იქსიონის სახლში საზეიმო ნადიმზე. მაგრამ ლაპითების ვერაგმა მეფემ სასახლის შესასვლელის წინ ამოთხარა

ორმო, რომელშიც მრავლად იყო გავარვარებული, გიზგიზა ნახშირი და საიმედოდ შენიღბა იგი. სტუმრად მოსული ედონევსი ჩავარდა ორმოში და დაიწვა. ღმერთთაგან ვერავინ დაძრა სიტყვა იქსიონის გასამართლებლად. მაგრამ მისი ამ ცოდვისაგან განწმენდა თავად ზევსმა იკისრა. უფრო მეტიც, თავისი კეთილგანწყობის დასამტკიცებლად უზენაესმა ღმერთმა იქსიონი უკვდავთა სუფრასთანაც კი მიიწვია. იქსიონმა ზევსს სიკეთე საოცარი უმადურობით გადაუხადა. ოლიმპოსზე მან თვალი დაადგა ჰერას და მასთან სასიყვარულო კავშირი მოინდომა. „მერე რა მოხდა", ამბობდა იგი გუნებაში, „ზევსი ისე ხშირად ღალატობს თავის ცოლს, რომ ერთხელ ჰერასაც შეუძლია მას სამაგიერო გადაუხადოს ჩემთან დროის გატარებით". ზევსი მიუხვდა გულის წადილს. მან სასწრაფოდ შექმნა ჰერას ორეული ღრუბლისაგან. შეზარხოშებულმა იქსიონმა ვერ იგრძნო ეს და დაიოკა ვნება. მაშინ ზევსმა უბრძანა ჰერმესს, გაამპარტავნებული იქსიონი დაცინვით იქამდე მიეყვანა, სანამ იგი არ იტყოდა: „კეთილისმქმნელნი პატივისცემას იმსახურებენ", მაგრამ იქსიონი არ მოეგო გონს. იგი ტრაბახობდა, რომ თავად ჰერა დანებდა მას. ზევსის ბრძანებით, იქსიონი მარადმბრუნავ ცეცხლოვან ბორბალს მიაბეს, რომელიც ცის ვეებერთელა თაღის გასწვრივ გორავს გაუჩერებლად. იქსიონი გაიძახის გამუდმებით: „მადლობელნი იყავით თქვენთვის სიკეთის მქმნელთა მიმართ". ცრუ ჰერამ, რომელსაც ნეფელეს, ანუ ღრუბელქალღმერთსაც ეძახიან, იქსიონთან კავშირის წყალობით შობა ცხენის და კაცის ნაჯვარი, კენტავრი; ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, კენტავრების შმაგ მოდგმას დაუდო დასაბამი. მათგან კი იშვა ქირონი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი სიბრძნით.

კეიქსი

ხშირად ზევსი მოკვდავებს ამპარტავნობის სულ უბრალო გამოვლენისთვისაც კი სჯიდა. ასე მოუვიდათ ეოსფოროსის ანუ

ცისკრის ვარსკვლავის ძეს, კეიქსსა და მის მეუღლეს, ეოლოსის ასულს, ალკიონეს. ისინი იმდენად ბედნიერები იყვნენ, რომ ალკიონემ სრულიად გულუბრყვილოდ შეადარა საკუთარი თავი ჰერას, ხოლო მეუღლე კი — ზევსს. ეს არ ეამა კაცთა და ღმერთთა მამას. და, აი, ერთხელ, როდესაც კეიქსი სამისნოსაკენ მიცურავდა ხომალდით, ზევსმა ზღვაზე საშინელი ავდარი მოავლინა, რომელმაც იმსხვერპლა ეოსფოროსის ძე. საშინელმა სევდამ მოიცვა ალკიონე. მან ვერ გადაიტანა ქმრის დაღუპვა და თავადაც ზღვაში გადაეშვა, რადგან არ უნდოდა კეიქსის გარეშე სიცოცხლე. აქ კი ზევსში გაიღვიძა თანაგრძნობამ და მან ერთმანეთის უზომოდ მოყვარული ცოლ-ქმარი ფრინველებად, ალკუნებად გადააქცია.

*

ზევსი მარტოოდენ ამპარტავნობისათვის როდი სჯის მოკვდავებს. მას ხელთ უპყრია არსებითად ყველა სადავე, რომელიც სამყაროში წესრიგს უზრუნველყოფს.

უპირველეს ყოვლისა, ზევსი არის ღმერთთა და კაცთა მამა, ეს კი იმას მოასწავებს, რომ მისი უმთავრესი მოვალეობაა ზრუნვა უკვდავთა და მოკვდავთა ცხოვრების გონივრულად მოწყობაზე. იგი თავად არის მეფე და მეფეები, მმართველები მისი განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობენ. მათ ხომ თავ-თავიანთ სამფლობელოებში უნდა უზრუნველყონ ზევსის ნებისა და ჩანაფიქრის განხორციელება. ამიტომ უწოდებენ ხოლმე მათ ზევსისაგან აღზრდილებს, ამიტომ ითვლება მათი კვერთხი თვით ზევსისაგან ნაბოძებად.

მაგრამ ზევსი ყველა მმართველს როდი მფარველობს. იგი კეთილგანწყობილია მხოლოდ მათ მიმართ, რომელნიც სამართლიანობითა და უზენაესი ღმრთისაგან დადგენილი კანონებისადმი ერთგულებით გამოირჩევიან. უსამართლო მეფეებს კი მუდამ უნდა ეშინოდეთ ზევსის რისხვისა.

ზევსი არა მარტო კეთილგონიერი მეფის, არამედ მთელი ქალაქის მფარველიც შეიძლება იყოს. მას ამიტომ ზევს-პოლიევსსაც უწოდებენ. მართალია, ადამიანთა ხვედრის განსაზღვრა მოირების საქმეა, მაგრამ ზევსს შეუძლია ყველაზე ცხარე ორთაბრძოლის წინაც კი გაარკვიოს, თუ ვის უქადის ბედისწერა გამარჯვებას და ვის — დამარცხებას. ამისათვის მას აქვს ბედის სასწორი, რომლის ორ თეფშზეც იგი წონის ხოლმე დაპირსპირებულთა ბედს.

თავად მოირების განსაზღვრულობის წინაშე კი ზევსიც უსუსურია. მას არ ძალუძს, გარდაუვალი დაღუპვისაგან დაიხსნას თავისი მოკვდავი შვილიც კი, თუკი მისი ხვედრი გადაწყვეტილია. ზევსს შეუძლია ადამიანს მისცეს ნიშანი მის მომავალ ბედთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აინტერესებთ მოკვდავებს, თუ რას ამცნობს ხოლმე მათ ზევსის მუხის ხე დოდონეში, რომლის ფოთოლთა შრიალში იქაურ ქურუმებს უზენაესი ღმერთის უწყება შეეძლოთ გაერჩიათ.

ზევსი მკაცრად დგას სტუმარმასპინძლობის იმ წესების სადარაჯოზე, რომლებიც თავადვე დაადგინა. ამიტომაც მისი ერთერთი მეტსახელი ქსენიოსი, ანუ სტუმართმოყვარე არის. არ შეიძლება სტუმრის შეურაცხყოფა და ხელყოფა, არც სტუმარს შეუძლია ბოროტად ისარგებლოს მასპინძლის ნდობით. ზევსი სტუმართმოყვარეობის ადათის დარღვევისათვის სასტიკად სჯის ადამიანებს. თავად ბრწყინვალე და ზევსისათვის საყვარელი ქალაქი ტროაც კი იმიტომ გაწირა კრონოსის ძემ, რომ ტროელმა უფლისწულმა პარისმა დაარღვია ეს ადათი. მენელაოსთან სტუმრად მისულმა მან მასპინძელს ცოლი, მშვენიერი ელენე წაართვა. ამასთანავე ზევსი საოცრად კეთილგანწყობილია მათ მიმართ, რომელნიც არასოდეს არ ღალატობენ ამ წმინდათაწმინდა ადათს.

ფილემონი და ბავკისი

ერთხელ უზენაესმა ღმერთმა გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ როგორ იცავენ სტუმართმოყვარეობის ადათს მოკვდავნი.

ჰერმესის თანხლებით იგი ეწვია ერთ დაბას, რომელშიც ცხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი, ფილემონი და ბავკისი. ღმერთებმა, რომელთაც მოგზაურთა იერი მიიღეს, მრავალი სახლის კარებზე მიაკაკუნეს და ღამის გათევის ნება ითხოვეს, მაგრამ არავინ შეიპატიჟა ისინი. და მაშინ, როდესაც იმედი თითქმის გადაიწურა, ფილემონისა და ბავკისის ქოხს მიადგნენ. მოხუცმა ცოლ-ქმარმა, მიუხედავად სიღარიბისა, დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა. მათ შეიპატიჟეს უცხოელები თავიანთ ქოხში, გააჩაღეს ცეცხლი; ბავკისმა დაკრიფა ბოსტნეული და თიხის ქოთნით კერძი მოხარშა. მათ გააწყვეს სუფრა, სტუმრებს გაუმზადეს საწოლები. და, აი, მოხუცმა ცოლ-ქმარმა შენიშნა, რომ სუფრას სულ უფრო და უფრო ემატება საჭმელ-სასმელი, რომ მათი უკიდურესად ღარიბული ჭურჭელი ოქროსი ხდება. მიხვდნენ ფილემონი და ბავკისი, თუ ვინ ეწვია. ისინი დაემხნენ ღმერთების წინაშე. ფილემონმა თავისი ერთადერთი ბატის მსხვერპლად შეწირვაც კი მოინდომა, მაგრამ ზევსმა შეაჩერა ცოლ-ქმარი. შემდეგ კი ღმერთებმა ისინი აიყვანეს გორაკზე. როდესაც ფილემონმა და ბავკისმა იქიდან გადმოიხედეს, დაინახეს, რომ მათი ქოხის ადგილას ბრწყინვალე ტაძარი აღმართულიყო, რომელსაც გარშემო ტბა ეკრა. ეს წყლით დაფარული დაბა იყო, რომლის ყველა მცხოვრები ზევსმა ბაყაყებად გადააქცია. ფილემონი და ბავკისი ამ დიდებული ტაძრის ქურუმები გახდნენ. მათ კიდევ მრავალი წელი იცხოვრეს უდრტვინველად და ბედნიერად. ხოლო როდესაც მათი აღსასრულის ჟამი დადგა, ცოლ-ქმრის სურვილის თანახმად, ისინი ერთდროულად გარდაიცვალნენ, რათა არცერთ მათგანს არ ენახა მეორის სიკვდილი. ზევსის ნებით ისინი იქცნენ ერთმანეთთან ტანებით შეზრდილ ორ ხედ. და ყოველთვის, როდესაც მოკვდავები ამ ხის ჩრდილქვეშ ისვენებენ, ისინი იხსენებენ ფილემონისა და ბავკისის ამბავს, როგორც შეგონებას: არასოდეს არ ხელვყოთ ზევს ქსენიოსის მიერ დადგენილი სტუმარმასპინძლობის ადათი.

*

ზევსი მფარველია მათხოვართა. მათი შეურაცხყოფა უზენაესი ღმერთის განრისხებას იწვევს. ასევე იცავს ზევსი მავედრებელთა, ანუ ისეთ ადამიანთა უფლებებსაც, რომელნიც უბედური შემთხვევის გამო ყოველგვარი სარჩო-საბადებლის, სახსრის გარეშე უცხო კარზე აღმოჩნდებიან ხოლმე და ითხოვენ შემწეობას. ამიტომაცაა, რომ ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილნი ჰიკესიოსის, ანუ მავედრებელთა მფარველი ზევსის რისხვით ემუქრებიან ხოლმე მათთვის დახმარების გაწევაზე უარისმთქმელთ, ანდა სულაც ღმერთის ტაძარს შეაფარებენ ხოლმე თავს. ზევსი მოწყალე ანდა მილიქიოსია, რაც არაერთხელ უგრძვნიათ დახმარების მთხოვნელ კეთილ ადამიანებს. იგი არის ჰერკეოსი, ანუ ოჯახური კერის მფარველი, კტესიოსი — საკუთრების დამცველი ღმერთი. იგი არის სოტერი — მხსნელი, რადგან ძალუძს დაიცვას და გადაარჩინოს ღმერთებიცა და ადამიანებიც ყველაზე უფრო საბედისწერო ვითარებაში.

ამდენად ღრუბელთმკრებელი, ეგისისმპყრობელი და ბრძენი ზევსი სამყაროსა და ადამიანების არსებობის ყველა მხარეშია ჩართული. ამაში მას ხელს უწყობენ და-ძმანი და შვილები, ოლიმპიელი ღმერთები და მრავალრიცხოვანი ღვთაებები.

ზევსს აქვს ერთი დიდი სადარდებელი. ესაა მისი მოკვდავებად დაბადებული შვილები. თითოეული მათგანის სიკვდილს მამა განიცდის, მაგრამ არ შეუძლია რაიმე იღონოს იმ საყოველთაო წესის წინააღმდეგ, რომლის დარღვევაც აღრევდა სამყაროს: მოკვდავი უნდა მოკვდეს. ზევსი ხომ თავად დგას ამ კანონზომიერების სადარაჯოზე. და მაინც, ღმერთთა და კაცთა მამას ხშირად უკვნესის გული, როდესაც მოირა მას პირმშოს წარსტაცებს ხოლმე. მოკვდავი შვილი ზევსს ბევრი ჰყავდა, რადგან იგი მხოლოდ ქალღმერთებს კი არ უკავშირდებოდა სიყვარულით, არამედ უკვდავთა ვერმშობ ნიმფებსაც

და მოკვდავ ქალებსაც. ხშირად მას უწევდა თავისი ვნება ამა თუ იმ ქალის მიმართ მოტყუებით დაეცხრო. ამისათვის იგი სხვადასხვა სახეს იღებდა ხოლმე და ისე აღწევდა საწადელს.

ასე გაუჩინა დანაემ ზევსს პერსევსი. მამამ, აკრისიოსმა, თავისი ასული საიმედოდ ჩაკეტა, რადგან, მისნობის თანახმად, მას შვილიშვილისაგან სიკვდილი ელოდა. ზევსმა ოქროს წვიმის სახით შეაღწია დანაესთან და ქალმა მისგან იღო მუცლად გმირი პერსევსი.

თებეს მეფის, ნიქტევსის ასულის, ანტიოპეს ცთუნება ზევსმა სატირის სახით შეძლო. ქალმა შვა ტყუპი ძმები, ამფიონი და ძეთოსი, რომელთაც თებეს კედლების აგების პატივი ხვდათ წილად.

ტინდარეოსის ცოლს, ლედას ზევსი გედის სახით დაუკავშირდა. ლედამ შვა ტყუპი ძმები დიოსკურები, კასტორი და პოლიდევკე და დები, ელენე და კლიტემნესტრა. პოლიდევკე და ელენე ზევსისაგან იყვნენ ჩასახულნი, ხოლო კასტორი და კლიტემნესტრა ტინდარეოსისგან.

ფინიკიელი მეფის, აგენორის ასულის, ევროპეს მოტაცებისას ზევსმა თეთრი ხარის სახე მიიღო. კუნძულ კრეტაზე ევროპემ მისგან შვა სამი ვაჟი: მინოსი, რადამანთისი და სარპედონი.

ზევსს სხვაც მრავლად ჰყავდა სატრფო. ქალაქ ფორონეას დამაარსებელს, ფორონევსს, რომელსაც ზოგიერთები პირველ კაცსაც კი უწოდებენ, ჰყავდა ასული, ნიობე. იგი გახდა პირველი მოკვდავი ქალი, რომელიც ზევსმა შეიყვარა. მისგან ნიობეს შეეძინა ვაჟიშვილი არგოსი, რომლის მიხედვითაც ქალაქსაც შეეცვალა სახელი.

IO

არგოსის მეფის, ინაქოსის ასული, იო ზევსის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სიყვარული იყო. იმდენად უნდოდა კრონოსის ძეს გაერიდებინა იგი თავისი ეჭვიანი ცოლისაგან, ჰერას-

აგან, რომ თეთრ, ქათქათა საფურე ხბოდ აქცია. მაგრამ ჰერას მოტყუება არ იყო ადვილი საქმე. მან ქმარს სთხოვა, ეჩუქებინა მისთვის ეს ლამაზი ხბო. რაღას იზამდა ზევსი. ჰერამ იოს მიუჩინა უსაშინლესი დარაჯი, გეას ვაჟიშვილი, გოლიათი არგოსი. მას ასი თვალი ჰქონდა. როდესაც იგი იძინებდა, ხუჭავდა მხოლოდ ორ თვალს, დანარჩენები კი ფხიზლად უთვალთვალებდნენ ზევსის ხბოდქცეულ სატრფოს. კრონოსის ძემ ვერ გაუძლო იოს ტანჯვას და ჰერმესს მოაკვლევინა არგოსი. მაშინ ჰერამ ხბოს კრაზანა მიუჩინა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა საწყალ იოს. რამდენი არ იხეტიალა მან, რომ როგორმე მოეშორებინა თავიდან ეს საშინელი მწერი, მაგრამ ამაოდ. ბოლოსდაბოლოს, მას შემდეგ, რაც მან პრომეთეს რჩევით ეგვიპტეს მიაღწია, იქ კვლავ მიიღო თავისი პირვანდელი სახე და ზევსს ვაჟიშვილი გაუჩინა, ეპაფოსი, რომელმაც მისცა დასაბამი გმირთა, ეპაფოსის შთამომავალთა, სახელოვან მოდგმას.

ეგინა

ზევსმა გაიტაცა ასოპოსის, მდინარის ღმერთის, ასული, ეგინა ერთ კუნძულზე, სადაც ქალმა მისგან მუცლად იღო გმირი ეაკოსი, ეაკიდების სახელოვანი მოდგმის წინაპარი. ამ კუნძულს კი შემდგომ ეგინა ეწოდა.

კალისტო

არკადიის მეფის, ლიკაონის ასული, კალისტო მართლაც რომ უმშვენიერესი ქალიშვილი იყო. იგი თან ახლდა ხოლმე არტემისს, როგორც მონადირე ნიმფა. ერთხელ იგი ზევსმა შენიშნა და გულში კალისტოს დაუფლების ძლიერი წადილი აღეძრა. რადგან ქალიშვილი გაურბოდა მამაკაცებთან სასიყვარულო კავშირს, მან თავად არტემისის, ზოგიერთების თქმით კი, აპოლონის, სახე მიიღო და როდესაც კალისტო მოიგდო ხელთ,

ძალით დაეუფლა მას. ჰერას ეჭვიანობისაგან დასაცავად ზევსმა კალისტო დათვად გადააქცია. მაგრამ მისმა ცოლმა ეს შენიშნა და არტემისს უბრძანა, განეგმირა თავისი ისრით ეს გარეული ცხოველი. და როდესაც საწყალი კალისტო ემსხვერპლა ჰერას შურისგებას, ზევსმა იგი დიდი დათვის თანავარსკვლავედად აქცია. კალისტომ კრონოსის ძეს უშვა არკადიელთა წინაპარი, არკასი.

*

ზევსმა აცთუნა კრეტელი ასული კარმე; მან ეგისის მპყრობელს უშვა მშვენიერი ბრიტომარტისი, არტემისის თანმხლები ნიმფა, რომელმაც არ ისურვა კრეტის მეფის, მინოსის სატრფოდ გახდომა.

ატლასის ასულისაგან, ელექტრასაგან ზევსმა შვა ტროელთა წინაპარი დარდანოსი.

კიდევ ბევრი სატრფო ჰყავდა ზევსს. მათ გააჩინეს მრავალი მოკვდავი გმირი, საბერძნეთისა თუ სხვა ქვეყნების ამა თუ იმ ტომის წინაპრები.

ზევსს მთელი ელადა აღიარებდა უზენაეს ღმერთად. არ იყო თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი ქალაქი თუ მხარე, სადაც კრონოსის ძეს თავისი ტაძარი არ ჰქონოდა. მათგან განსაკუთრებით ცნობილი იყო დოდონე და ოლიმპია. ერთი — განთქმული სამისნო და მუსიური შეჯიბრებების ადგილი, ხოლო მეორე — ოლიმპიური თამაშობების სამშობლო.

ზევსი ელინთათვის, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ იყო უზენაესი ღმერთი, რომ იგი განასახიერებდა წესრიგსა და კანონიერებას. სწორედ მან შეძლო სამყარო ქაოსიდან კანონით მართულ კოსმოსად ექცია; აქ კანონს ექვემდებარებოდა ყველა, უკვდავიცა და მოკვდავიც, ცალკეული პიროვნება და მთელი ქალაქი თუ სახელმწიფო. სწორედ ამიტომ ზევსი ბერძნისათვის ყოველთვის იყო ელინური ცივილიზაციის ძირითადი საყრდენის — უმაღლესი წესრიგის სიმბოლო.

1

წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. გადმოცემულია ჰესიოდეს „თეოგონიის“ (116-132) მიხედვით. ბერძნულ ტრადიციაში დადასტურებულია სამყაროსა და ღმერთების წარმოშობის სხვა ვერსიებიც.

ჰომეროსი „ილიადაში“ (XIV, 201) ღმერთებისა და ყოველივეს მშობლად ოკეანოსს მიიჩნევს, რომლის მეუღლეც ტეთისი იყო. ლეგენდარული პოეტის, ორფევსის (მის შესახებ დაწვრილებით სერიის შესაბამის ტომში გვექნება საუბარი) მიმდევართა ანუ ორფიკოსების მიხედვით, თავდაპირველად იყო სამეული: ქაოსი, ღამე და ერებოსი („წყვდიადი“). ღამემ დადო ე. წ. მსოფლიო კვერცხი, საიდანაც იშვნენ ეროსი, რომელსაც ფანესსაც უწოდებენ, მეტისი და ერიკაპეოსი ან ერიკეპეოსი. ეს უკანასკნელი ღმერთთა თაობების გახდა მამა ან დედა, ან, შესაძლოა, ორივე ერთად, რადგან ზოგიერთ წყაროში იგი ორსქესიანად ანუ ბისექსუალურად მოიხსენიება. ზოგიერთი, ერთობ ბუნდოვნად შემონახული ვერსიის მიხედვით, მმართველ ღმერთთა პირველი თაობა წარმოდგენილი იყო ოლიმპოსით, ევრინომეთი და ოფიონით.

ეროსის თაობაზე არსებობს განსხვავებული ტრადიციაც, რომლის მიხედვითაც იგი გაცილებით უფრო ახალგაზრდაა, რადგან შვილია აფროდიტესი და არესისა, ან რომელიღაც სხვა მამრი ღმერთისა.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, თავიდან არაფერი არ იყო. ყოველივე გაჩნდა, მათ შორის ქაოსიც, რომლის შესახებაც ანტიკური ხანის ავტორებს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. იგი გაიაზრებოდა, როგორც ცარიელი ადგილი, ღიობა, რომელიც, ამასთანავე, სამყაროს

მთელი შემდგომი განვითარების პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავდა. ამ სიტყვის წარმომავლობა მეცნიერებაში არ არის დადგენილი. ფიქრობენ, რომ იგი შესაბამისი წინაბერძნული ხავფუძისაგან უნდა იყოს ნაწარმოები. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ამ ფუძისათვის ქართული ხევ-ის ზანური შესატყვისი ხაბ-(ჯაუ) იყოს ამოსავალი, რაც ქართველურსა და წინაბერძნულ სამყაროებს შორის არსებული კავშირებით უნდა აიხსნას.

ძნელი სათქმელია, ასევე თავისთავად იშვნენ გეა, ტარტაროსი და ეროსი, თუ ისინი ქაოსიდან შობილებად უნდა ჩავთვალოთ. გეა – დედამიწა, ალბათ, ერთდროულად პირველ ღმერთადაც უნდა მივიჩნიოთ, რადგან ქაოსს, როგორც წესი, არ მოიხსენიებენ ღმერთად. გეას გაჩენის შემდგომ, როგორც ჩანს, ქაოსიცა და ტარტაროსიც იქცნენ მის ურთიერთსაპირისპირო მხარეებზე განლაგებულ სივრცეებად. თავად ტერმინ „გეას“ წარმომავლობა არ არის დადგენილი, როგორც ჩანს, ბერძნული „გაია“ წარმოადგენს საკუთრივ „გე“ და „აია“ სიტყვების გაერთიანების შედეგს, რასაც უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა „დედა მიწა“.

არ არის ცნობილი ტერმინ ტარტაროსის წარმომავლობაც. ფიქრობენ, რომ იგი ან წინაბერძნული ან აღმოსავლური ენებიდან უნდა იყოს ნასესხები.

ეროსის მოხსენიებით პირველ ღმერთთა შორის არსებითად იმის აღიარება ხდება, რომ სექსუალური სიყვარული გადამწყვეტ როლს ასრულებს სამყაროს შექმნის პროცესში, რადგან სწორედ იგი აკავშირებს მამრსა და მდედრ ღმერთებს ერთმანეთთან. ამის შედეგად წარმოიქმნება უკვდავთა მთელი თაობები. ეროსზე წარმოდგენა ბერძნულსა და შემდეგ რომაულ ტრადიციაში დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თავდაპირველად იგი მიიჩნეოდა ძლიერ ღმერთად, რომელსაც ძალუძს ყველას დამორჩილება. შემდეგ თანდათანობით ხდებოდა მისი სახის რომანტიზაცია. ასე ჩამოყალიბდა ოქროსთმიანი, ქარივით მალი, ისრებით გულთა დამჭრელი ცელქი ბიჭუნას სახე. შემდეგ კი ერთი ეროსიდან წარმოიქმნა მრავალი ეროსი. ისინი წარმოისახებოდნენ საყვარელ, ფრთიან პატარა ბიჭუნებად, რომელთაც საფუსფუსო და საოინო არ ელევათ ხოლმე. ეროსი ანტიკურ ფილოსოფიაში ერთ-ერთ ცენტრალურ ცნებად იქცა. ზოგნი სწორედ მასში ხედავდნენ დაპირისპირების მოხსნისა და საყოველთაო ჰარმონიის დამყარების საფუძველს. ტერმინი წარ-

მოქმნილია ზმნიდან „ერამაი“ (მიყვარს), რომლის ეტიმოლოგია უცნობია.

წყვდიადი და ღამე უკვე ნამდვილად ქაოსის შვილებად მიიჩნევიან. მათ შორის არის თვისობრივი მსგავსება – სიბნელე, მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც: ერთი წარმოადგენს სინათლის ოპოზიციას, ხოლო მეორე – მხოლოდ დღისას. ღამეში არ არის გამორიცხული სინათლის გაჩენა ცეცხლის ან მნათობთა კიაფის წყალობით, წყვდიადი კი გამორიცხავს ამას. მათი შეუღლების შედეგად წარმოიქმნებიან მშობლების საპირისპირო ფუნქციის მქონე ღვთაებანი – ეთერი და დღე. ეთერი ელინთა წარმოდგენაში არის ის ნათელი სივრცე, რომელიც მიწასა და ზეცას შორის სუფევს. სწორედ მისი გაკვეთა უხდებათ ღმერთებს, როდესაც ციდან მიწაზე დაეშვებიან ხოლმე. საინტერესოა, რომ მშობლებმა – წყვდიადმა და ღამემ და შვილებმა – ეთერმა და დღემ არა მარტო თვისობრივი დაპირისპირების – ბნელი/ნათელი, არამედ ხარისხობრივ-ფუნქციონალური ოპოზიციის – ცუდი/კარგი მნიშვნელობაც მიიღეს.

გეა აჩენს ურანოსს, ასევე თავის ოპოზიციას და, ამასთანავე, თავის ქმარსაც, რომლისგანაც მან ღმერთთა ახალი თაობა უნდა მოუვლინოს სამყაროს.

როგორც ვხედავთ, ბერძნული მითების ეს ნაწილი გვთავაზობს ცდას, ასახოს სამყაროს წარმოქმნის პროცესი. ყურადღებას აქ შემდეგი გარემოება იქცევს: უკვე პირველი ღმერთების გაჩენის შემდეგ სამყაროს ჩამოყალიბება ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული ძალების ფორმირების გზით წარიმართა. როგორც წესი, ერთი თვისების მქონე ღვთაებრივი ძალა (თუ ძალები) წარმოქმნის თავის ოპოზიციას. იწყებს ფორმირებას ე. წ. ოპოზიციური წყვილები: წყვდიადი/ეთერი, ღამე/დღე, მიწა/ცა. მაგრამ ამ დაპირისპირებაში არის ერთიანობის დიდი სული. აქ, ისევე როგორც საერთოდ მითოსში, ყოველივე ერთდროულად არის სამყაროს მატერიალური ელემენტიც და ღვთაებრივი ძალაც. მითში არ არის ერთმანეთისაგან გათიშული ჩვეულებრივი დედამიწა და ქალღმერთი დედამიწა, ჩვეულებრივი ღამე და ქალღმერთი ღამე, ჩვეულებრივი ცა და ღმერთი ცა...

②

წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. გადმოცემულია ჰესიოდეს „თეოგონიის“ (133-210) მიხედვით.

კიკლოპებს (ციკლოპებს), ჰესიოდესაგან განსხვავებით, ზოგიერთი წყარო უბრალოდ ცალთვალა გოლიათების მოდგმად მიიჩნევს, რომელიც მომოფანტულია ამქვეყნად. ოდისევსი ხვდება იმ კიკლოპთა მხარეში, რომელთაგან ერთ-ერთი, პოლიფემოსი, პოსეიდონის შვილია. კიკლოპებმა მიიღეს მონაწილეობა ტირინსისა და მიკენის კედლების ამოყვანაში, რომლებსაც ამიტომ კიკლოპურს უწოდებენ. კიკლოპები ეხმარებიან ჰეფესტოს სიცილიაზე, ეტნის მთაში ღმერთებისა და გმირებისათვის იარაღის გამოჭედვაში.

ერინიებს ზოგჯერ ნიქსის – ღამის შვილებადაც თვლიდნენ. ასახელებდნენ სამ ერინიას: ალეკტოს, მეგერას და ტისიფონეს, თუმცა მათი რიცხვი შეიძლება მეტიც ყოფილიყო.

აფროდიტეს მამად ჰომეროსი ზევსს, ხოლო დედად დიონეს ასახელებს („ილიადა“ V, 312, 330 და სხვ.).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ბერძნული ტრადიციის მიხედვით, ღმერთების პირველი თაობა, რომელიც მართავს სამყაროს, ურანოსისა და გეასაგან იღებს დასაბამს. ამიერიდან ღმერთების სამყაროში სრულიად გარკვევით მკვიდრდება პატრიარქალური, ანუ მამის უპირატესი უფლების ტრადიცია. ამიტომაცაა, რომ ურანოსისა და გეას შვილებს ურანიდებს უწოდებენ.

ძნელია გარკვევით ითქვას რაიმე ტიტანების ფუნქციების შესახებ. თავად მათი სახელწოდების – ტიტანი – წარმომავლობა და მნიშვნელობა უცნობია. არის გამოთქმული აზრი ტიტან-ფუძის ქართულ დიდ – ფუძესთან კავშირის შესახებ. მართალია, ჰესიოდეს მიხედვით, ურანოსი თავის შვილებს ყველას განურჩევლად ტიტანებს ეძახდა, მაგრამ ე. წ. მთავარ ტიტანებად მაინც თორმეტი ქალ-ვაჟი მიიჩნევა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ღმერთების ახალ თაობათა გაჩენის საქმეში. ამ ძირითად ჯგუფს ხშირად მიაკუთვნებენ ასევე მათ შვილთაგან რამდენიმეს: ჰელიოსს (მზეს), პრომეთეს, ეპიმეთევსს და ატლასს. ამიტომ მათაც ტიტანებად მოიხსენიებენ ხოლმე. შესაძლოა, ისინი თავდაპირველად განასახიერებდნენ ბუნების სტიქიებს ან მნათობთა ძალებს. რაც შეეხება მათ საკუთარ სახელებს, ზოგიერთი მათგანი აშკარად „მეტყველ სახელთა“ რიგს განეკუთვნება, ხოლო დანარჩენთა ეტიმოლოგია დავას იწვევს ან არ არის დადგენილი. რა შეიძლება ითქვას მაინც იმ ფუნქციებზე, რაც ტიტანებს ბერძნულ მითოლოგიაში აქვთ დაკისრებული?

ოკეანოსი გაიაზრებოდა როგორც წყლის უნაპირო დინება, რომელიც დედამიწას უვლის გარშემო. მას ზოგიერთი წყარო ყველა ღმერთისა და საერთოდ ყოველივეს შემოქმედად მიიჩნევს. მისი სახელის ეტიმოლოგია გაურკვეველია. ზოგი მკვლევარი არ გამორიცხავს მის კავშირს აქადურ სიტყვასთან უგინა („რკალი"). ტეთისი, მისი მეუღლე, როგორც ჩანს, ასევე წყლის სტიქიასთან არის დაკავშირებული. არ არის გამორიცხული, რომ ბერძნული ტრადიცია ოკეანოსისა და ტეთისის შესახებ წარმოადგენს მტკნარი და მლაშე წყლების, აბზუსა და თიამათის მიერ ღმერთთა პირველი თაობის შექმნის შესახებ მითის ბაბილონური ვერსიის ანარეკლს.

კოიოსისა და ფოიბეს, კრიოსისა და ევრიბიას შესახებ ძნელია ითქვას რაიმე, რადგან ბერძნული მითები მათ არავითარ ფუნქციებს არ გამოკვეთენ, გარდა ახალი ღმერთების წარმოქმნისა.

ჰიპერიონი და მისი მეუღლე თეია გაიაზრებოდნენ, როგორც დიდ მნათობთა სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაებრივი ძალები. თუმცა ბერძნულ ტრადიციაში საკმაოდ ხშირად ჰიპერიონს აიგივებენ ჰელიოსთან.

კრონოსის შემდეგ ტიტანთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა იაპეტოსია, მაგრამ არა იმდენად საკუთარი საქმეების, რამდენადაც თავისი შვილების პოპულარობის წყალობით, რომლებიც მას ოკეანოსის ასულმა, კლიმენემ უშვა. უკვე დიდი ხანია არსებობს აზრი ბერძნული იაპეტოსისა და ბიბლიური იაფეტის შესაძლო ურთიერთკავშირის შესახებ. ამ ვარაუდს ამგვარად ასაბუთებენ: ა) სახელების მსგავსება, ბ) იაპეტოსის ძმა, კრონოსი ახდენს მამის კასტრაციას. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იაფეტის ძმამ, ჰამმა იგივე გაუკეთა მამამისს, ნოეს, გ) ორივენი, გარკვეულწილად, უკავშირდებიან წარღვნას: იაფეტი მამამისის, ნოეს, ხოლო იაპეტოსი შვილიშვილის, დევკალიონის მეშვეობით. დ) იაფეტი წინაპარია მესოპოტამიიდან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ხალხებისა მცირე აზიის ჩათვლით. იაპეტოსიც გაიაზრება, როგორც აზიური ღვთაება. მის ძეს, პრომეთეს ხომ ძირითადი გულშემატკივრები ამ ფარგლებში ჰყავს.

კრონოსი და რეა ტიტანთა თაობის მმართველი ღმერთები არიან და სამყაროშიც შემდგომ სწორედ კრონოსის შვილები ანუ კრონიდები იგდებენ ხელთ მმართველობას, შესაბამისად, არ

ირღვევა ე. წ. დინასტიური პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ ზევსამდე არსებულ ღმერთებს შორის კრონოსი ყველაზე მეტად ცნობილი იყო, დღეს ძნელია რაიმე ითქვას გარკვევით მისი ფუნქციისა და სახელის წარმომავლობის შესახებ. ფიქრობენ, რომ კრონოსი მოსავლის აღების ღმერთი იყო, სხვანი მის სახელში აღსრულების მნიშვნელობას ხედავდნენ, ანტიკური პოპულარული ეტიმოლოგიის მიხედვით კი კრონოსი იგივეა, რაც ხრონოსი ანუ „დრო". ბერძნული ტრადიცია მის მიმართ გაორებული იყო. ერთის მხრივ, კრონოსს წარმოგვიდგენდა, როგორც შვილების მიმართ დაუნდობელ მამას, ზევსისა და ოლიმპიელთა მტერს, მეორეს მხრივ კი, როგორც ადამიანთათვის ყველაზე ბედნიერი ე.წ. ოქროს ხანის შემქმნელ ღმერთს, რომლის დროსაც ბუნებასა და მოკვდავებს შორის სრული თანხმობა სუფევდა. ამიტომაც მისი კულტი საკმაოდ პოპულარული იყო ანტიკურ საბერძნეთში. რაც შეეხება რეას, იგიც, როგორც ჩანს, საკმაოდ პოპულარული იყო წინაბერძნულ სამყაროში. მისი მძლავრი კულტი არსებობდა კრეტაზე. მას ფრიგიაში აიგივებდნენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აზიურ ქალღმერთთან, კიბელესთან, რის საფუძველზეც ამ ქალღმერთს რეა-კიბელეს სახელითაც მოიხსენიებდნენ ხოლმე. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი იყო ერთ-ერთი უძლიერესი დედა-ღვთაება.

კიკლოპები და ასხელები წარმოადგენენ ნაწილობრივ მიწაში ჩამარხული და პერიოდულად მის ზედაპირზე ამოხეთქილი თუ ზეცაში არსებული მძლავრი სტიქიების, ნაწილობრივ კი ზღაპრული გოლიათებისა და ურჩხულების შესახებ ხალხური წარმოდგენების სინთეზის ნაყოფს. კიკლოპების ჰესიოდესთან წარმოდგენილი სახელები აშკარად ციური მოვლენების პერსონიფიკაციაა: ბრონტესი ნიშნავს მეხს, არგესი ელვის ეპითეტია და ელვარეს ნიშნავს, ხოლო სტეროპესი კი თავად ელვაა.

ურანოსის კასტრაციის ეპიზოდი, შესაძლოა, ცისა და მიწის გაყოფის შესახებ ძველების წარმოდგენებს ასახავდეს. ეს თემა სხვადასხვა ვარიაციებით ძველი აღმოსავლეთის ხალხთა მითოლოგიაშიც გვხვდება. ძველ ადამიანს, რომლისთვისაც ცა დედამიწის ლაჟვარდოვან სახურავად აღიქმოდა, ალბათ, ყოველთვის უკვირდა, რა იჭერს მას ესოდენ მაღლა, რატომ არ ენარცხება იგი დედამიწას. ამის ახსნას ის სხვადასხვა მითების საშუალებით ცდილობდა. ბერძნულ ტრადიციაში ცაც და დედამიწაც პერსონიფიცირებულნი არიან და ფიგურირებენ, როგორც ღმერთები; ურანოსის კასტრაცია არსებითად მისი დედამიწისაგან მოწყ-

ვეტად, გაყოფად უნდა წარმოვიდგინოთ. რასაკვირველია, არის ცდუნება ამ მითებში დედამიწის უძველესი ისტორიის, კერძოდ ატმოსფეროს წარმოქმნის ფაქტის მითოლოგიური ინტერპრეტაცია დავინახოთ, მაგრამ ეს შესაძლებლობა ნაკლებ სარწმუნოა.

ადამანტი ალბათ რკინის აღმოჩენამდე ყველაზე მყარი მეტალის სახელად ითვლებოდა საბერძნეთში. ნამგლის მომენტი, შესაძლოა, კრონოსის მიწათმოქმედებასა და მოსავლის აღებასთან კავშირზე მიუთითებდეს. თუმცა ადამანტის ნამგლით კასტრაციის მთელი ეპიზოდი, შესაძლოა, ძველაღმოსავლური მითოლოგიური ინფორმაციის ტრანსფორმაციის შედეგიც იყოს, რაზეც ქვევით ვისაუბრებთ.

გიგანტების მშობლად ერთხმად ასახელებენ მიწას. თავდაპირველად ისინი უბრალოდ მიწის შვილებად იყვნენ წარმოდგენილნი. შემდეგ მოხდა მათი მახასიათებლების დაზუსტება: მათ აქვთ ღმერთების სისხლი და, ამდენად, ღმერთებთან ახლოს დგანან. ასევე, უფრო ადრეულ წყაროებში ისინი ადამიანის მსგავს არსებებად არიან წარმოდგენილნი, რომლებიც მთლიანად იარაღით არიან აღჭურვილნი. მათ პერმანენტულ დაბადებას მიწიდან ადასტურებდნენ სპარტაში, თებეში და კოლხეთში. შემდგომ მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება მათი გარეგნობისა და აღჭურვილობის გააზრებაში. სახელის – გიგანტი – ეტიმოლოგია უცნობია. მასში აშკარად გამოიყოფა ფუძე გიგ- და კუთვნილების სუფიქსი -ანტ. ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, მათი სახელი გაგვეაზრებინა როგორც „მიწის შვილები“, „მიწისანი“. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნებოდა სვანური გიმ-„მიწა“ ფუძის გათვალისწინება, რომელიც ორგანული ჩანს ქართველური სამყაროსათვის.

მელიები ხის, შესაძლოა, იფნის ნიმფებად მიიჩნეოდნენ. მათ შემდგომ არავითარი არსებითი ფუნქცია აღარ ეკისრებათ მითოლოგიაში, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი წყაროს მინიშნებას იმაზე, რომ ადამიანები იფნის ხეებისაგან წარმოიშვნენ.

აფროდიტეს შესახებ მეორე წიგნში იქნება წარმოდგენილი შესაბამისი განმარტებები.

③

წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. გადმოცემულია ძირითადად ჰესიოდეს „თეოგონიის“ (211-452) მიხედვით, შევსებულია ზოგიერთი სხვა წყაროს გათვალისწინებით.

ჰესპერიდები ზოგიერთი წყაროს მიხედვით ატლასისა და პლეიონეს, სხვათა თანახმად კი ატლასისა და ჰესპერისის ასულები არიან.

მოირებს ზოგჯერ ზევსისა და თემისის ასულებადაც მოიხსენიებენ.

ფორკისის მამად ნერევსსაც ასახელებენ.

ჰიპერიონი („ზევით მავალი“) და ფოიბოსი („მანათობელი“), ზოგიერთი წყაროს თანახმად, თავად ჰელიოსის მეტსახელები იყო.

სელენეს მშობლებად წყაროთა ერთი ნაწილი პალასს ან ჰელიოსსა და ევრიფაესას მოიხსენიებს.

ჰარპიების რიცხვს ზოგი წყარო სამით განსაზღვრავს.

ექიდნა ზოგ წყაროში ქრისაორისა და კალიროეს, სხვებში კი ტარტაროსისა და გეას შვილად მოიხსენიება.

ტიფონს ტიფოევსადაც მოიხსენიებენ ხოლმე.

ორთოსის სახელის ვარიანტია ორთროსი.

სფინქსი ზოგჯერ ფიქსადაც მოიხსენიება. მის მამად ზოგნი ძაღლ ორთოსს ასახელებენ.

ლადონის მშობლებად ტიფონსა და ექიდნასაც ასახელებენ ხოლმე.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ჰესიოდედან მოყოლებული ბერძენი მითოგრაფოსები ცდილობდნენ, თეოგონიისა და კოსმოგონიის მითოლოგიური სურათი რაც შეიძლება უფრო სრული და ყოვლისმომცველი ყოფილიყო. ამიტომ სამყაროსა და ღმერთთა ფორმირების ქსელმა მოიცვა არა მარტო მიწის, ცის, ზღვის ძალები და სტიქიები, არამედ აბსტრაქციებიც, როგორიცაა, მაგალითად, ჯაფა, შიმშილი, უბედურება და ა. შ. ყოველივე, რაც არსებობს, მითოლოგიის მიხედვით, კავშირშია ან ღვთაებრივ ან მოკვდავთა სფეროებთან, ამდენად, მათ არსებობას ახსნა სჭირდება.

ამჟამად ჩვენ თავს შევიკავებთ განმარტებებისგან იმ ღვთაებრივ ძალებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ თავში მოიხსენიებიან, რადგან თითოეულ მათგანზე დაწვრილებით იქნება მსჯელობა იმ წიგნებში, რომლებშიც ისინი აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოთხრობილ ამბებში. აქ კი მხოლოდ იმ მომენტებზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომლებსაც ქვემოთ აღარ მიეძღვნება საგანგებო განმარტებები. ღამის შვილები, მოროსით დაწყებული და ერისით დამთავრებული, ჰესიოდეს მიხედვით, იშვნენ

მამის გარეშე. საინტერესოა, რომ ერისის გარდა ღამის უმამოდ შობილი არცერთი შვილი აღარ მონაწილეობს შესაქმის პროცესში, არცერთ მათგანს არ უშვია შთამომავლობა. გამონაკლისს წარმოადგენს ერისი, რომელიც ასევე ვინმესთან შეუღლების გარეშე შობს ადამიანთათვის უბედურების მომტან ღვთაებრივ აბსტრაქციებს. ამით ღამის შთამომავლობის ამ ხაზის გამრავლება წყდება, რადგან ერისის შვილებიც აღარავის აჩენენ. თუკი დავუკვირდებით ღამის შთამომავალთა ნუსხას, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ნეგატიური ღვთაებრივი აბსტრაქცია მისგან იღებს დასაბამს. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ, რაც ღამესთანაა დაკავშირებული, ყველაფერი ნეგატიურია. ღამემ ხომ ეთერიცა და დღეც მოავლინა სამყაროში. ჰესიოდესთან თეოგონიური მითების თხრობის ამ ნაწილში უკვე აშკარად შეინიშნება, რომ მითი მასთან ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ აზრის გამოხატვის ფორმად დარჩა, რომ მისი სათქმელის შინაარსი უკვე საკმაოდ გასცდა პრიმიტიული მითოლოგიური აზროვნების საფეხურს და გადავიდა სისტემაში, რომელშიც ნეგატიური და პოზიტიური ფუნქციების დაპირისპირება სავსებით კანონზომიერ ხასიათს იღებს: პოზიტიურ ძალებს აუცილებლად ჰყავთ ოპოზიცია ნეგატიური ძალების სახით და ისინი ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ წყვილებს შეადგენენ. იმას, რომ ამ შემთხვევაში თვით ენა საკმაოდ დიფერენცირებული გახდა და ღვთაებრივი აბსტრაქციები ცალკეულ მოვლენებს ერთობ ნიუანსირებულად განაზოგადებენ, თავად ამ აბსტრაქციების ფუნქციათა ანალიზიც გვიჩვენებს. საკმარისია, ამისათვის უბრალოდ თვალი გავადევნოთ, რამდენი ტერმინი გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენის აბსტრაგირებისა და პერსონიფიცირებისათვის. ა. მ. სიკვდილთან სამი ღვთაებრივი აბსტრაქციაა დაკავშირებული: მოროსი, კერი და თანატოსი, ხვედრს სამი მოირა განასახიერებს და ა. შ.

ღამის შვილთა შორის ცალ-ცალკე მოიხსენიებიან კერი და კერები, მოროსი და მოირები. რა განასხვავებს კერს კერებისგან, მოროსს მოირებისგან? მართალია, ისინი ურთიერთმსგავსნი არიან, მაგრამ არა ურთიერთიდენტურნი. კერი ადამიანის საბედისწერო დაღუპვაა, ხოლო კერები – საბედისწერო დაღუპვის ქალღმერთები, მოროსი – ხვედრით განსაზღვრული ავი სიკვდილია, ხოლო მოირები – ხვედრის ქალღმერთები.

ჰესპერიდების ბაღი, სადაც ხეები ოქროს ვაშლებს ისხამს, მოგვაგონებს მრავალი ხალხის მითოლოგიაში გავრცელებულ

წარმოდგენებს სასწაული ნაყოფის მომსხმელი ან სიცოცხლის ხის შესახებ; ოქროს ვაშლი მრავალი ხალხის ტრადიციაში ასევე შეგვიძლია ე. წ. „საერთო მითოლოგიურ ხილად“ მივიჩნიოთ; ჰესპერიდების ბაღის მოტივი რამდენადმე ეხმიანება ბიბლიურ წარმოდგენებს სამოთხის ბაღის შესახებ.

მოირა არსებითად პერსონიფიცირებული ქალღმერთი კი არ არის, არამედ მხოლოდ „ხვედრი“, რომელიც სამყაროში ყოველივეს განსაზღვრულობის ფარგლებში აქცევს. იგი წარმოადგენს ღვთაებრივი განუსაზღვრელობის ოპოზიციას. მისი გააზრება სამი ქალღმერთის – „მრთველის“, „მიმგების“ და „აუცდენელის“ ერთობლიობად წარმოადგენს იმ ტრადიციის გამოვლინებას, სადაც ღვთაებრივი აბსტრაქციები პერსონიფიცირებული ტრიადების სახით წარმოგვიდგებიან ხოლმე.

კეტოსა და ფორკისის შთამომავლობა თითქმის სრულად ურჩხულებით არის წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, ურჩხულები მრავალი ხალხის წარმოდგენაში დაკავშირებულნი არიან ბოროტებისა და ბნელეთის სამყაროსთან. ბერძნულ მითოლოგიაში ისინი, მეტწილად, წარმოგვიდგებიან ღმერთებისა თუ ადამიანების არსებობის ნორმალური მსვლელობის დამრღვევებად, შიშისა და ძრწოლის მომგრველებად ან ძნელადგადასალახ დაბრკოლებად გარკვეული, მეტწილად, დადებითი მიზნისაკენ მიმართულ გზაზე. კეტოსა და ფორკისის შთამომავალთა უმეტესობა იქცა სწორედ ამგვარ დამანგრეველ თუ საფრთხის მომტან ძალთა გამოხატულებად. ყოველ მათგანს შევხვდებით ჩვენი სერიის სხვა წიგნებში, კონკრეტულ ღმერთებთან თუ გმირებთან დაკავშირებულ სიუჟეტებში.

არიმეთი, ექიდნას სამკვიდრებელი, უკვე ანტიკურ ეპოქაში იწვევდა დიდ კამათს ლოკალიზაციის თვალსაზრისით.. დღესაც მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, იგი რაიმე კონკრეტულ რეგიონთან უნდა დავაკავშიროთ, თუ მხოლოდ მითთა მთხზველების ფანტაზიის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ.

ჰეკატეს ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. როგორც ჩანს, იგი არის მცირეაზიული ან, შესაძლოა, კავკასიურ-მცირეაზიული ღვთაება, რომელიც შემოვიდა ბერძნულ მითოლოგიაში გამოკვეთილი, კონკრეტული ფუნქციის გარეშე. ჰესიოდეს მიხედვით, მას აქვს პატივი, მონაწილეობა მიიღოს ყველა მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტაში. როგორც ჩანს, მისი ფუნქციები დროთა განმავლობაში ბერძნული პანთეონის სხვა წევრებმა გადაინაწილეს, გან-

საკუთრებით კი არტემისმა. ამ ქალღმერთზე და მის კავკასიასთან კავშირზე მსჯელობას მივუბრუნდებით წიგნში არგონავტთა შესახებ.

④⑤

წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. გადმოცემულია ჰესიოდეს „თეოგონიის“ (453-819) და „სამუშაონი და დღენის“ (106-126) მიხედვით. შევსებულია აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (I, 1,5; I,2,1) და ჰიგინუსის „ფაბულებისა“ (118) და „ასტრონომიის“ (II,13) მონაცემებით.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ბერძნულ მითოლოგიაში არ არის გამოკვეთილად მინიშნებული, თუ როდის გაჩნდნენ ადამიანები. ყოველი შემთხვევისათვის, კრონოსის დროს ისინი უკვე იყვნენ. გვაქვს ზოგიერთი ცნობა, რომელთა თანახმადაც ადამიანების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის პრომეთეს, სხვანი ღმერთებისა და ადამიანთა მშობლად დედამიწას თვლიან, ხოლო მისგან შობილ პირველ ადამიანად პელასგოსს. ყველაზე ბედნიერი ადამიანთა მოდგმა კრონოსის ხანაში ყოფილა, რომელიც ჰესიოდეს მიხედვით ოქროს საუკუნეა. ამ ეპოქის მოკვდავნი რამდენიმე ნიშნით უნდა მივიჩნიოთ უბედნიერესებად: ა) ბუნება მათ სარჩოსაბადებელს ყოველგვარი ბრძოლისა და შრომის გარეშე აძლევდა, ბ) კლიმატი იყო სასიამოვნო და თანაბარი, ადამიანებს არც სიცხე აწუხებდათ და არც სიცივე, გ) მოკვდავნი ძალზე დიდხანს ცხოვრობდნენ, დ) მათი გარდაცვალება არ იყო სიბერის, სნეულების ან რაიმე უბედური შემთხვევის შედეგი. ისინი ამ ქვეყნიდან მიდიოდნენ ტკივილის გარეშე, ე) სიკვდილის შემდეგ აგრძელებდნენ არსებობას როგორც კეთილისმქმნელი დემონები. წარმოდგენები ადამიანთა ცხოვრების ყველაზე ბედნიერ პერიოდზე მსოფლიოს მრავალი ხალხის მითოლოგიასა თუ რელიგიაში იჩენს თავს. შუმერული და ბაბილონური ტრადიციის მიხედვით, წარღვნამდელი დინასტიების თითოეული მეფის მმართველობა მრავალ ასეულ და ათასეულ წელს გრძელდებოდა; ოქროს ხანის იდეა ამა თუ იმ ვარიაციით გვხვდება ძველ ირანულ, ინდურ, ბიბლიურ ტრადიციებშიც.

ქვას, რომელიც კრონოსმა ამოაგდო პირიდან, საკმაოდ დიდხანს, თვით ახ.წ. მეორე საუკუნეშიც კი, აჩვენებდნენ დელფოში

ჩასულებს. როგორც ჩანს, ეს იყო მეტეორული წარმოშობის ქვა, რომელიც მართლაც ციდან დაეცა დედამიწაზე და ესოდენ სწრაფად იქცა მითოლოგიური ინტერპრეტაციის ობიექტად.

ჰესიოდესა და მის მიმდევართა მიხედვით, ქვეყანაზე მმართველ ღმერთთა სულ სამი თაობა იყო: ურანოსი, კრონოსი, ზევსი. რაც შეეხება ქაოსს, მას ვერ ჩავთვლით განმგებელ-ღმერთად. სწორედ ამიტომ არსად არ არის ცნობა ურანოსისაგან ქაოსის ჩამოგდების შესახებ. ამგვარი კლასიფიკაცია აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ძველაღმოსავლურ წარმოდგენებთან ღმერთთა თაობების შესახებ, რომელნიც შუმერულ ტრადიციამდე ადიან. აქ შეიძლებოდა მრავალი პარალელის მოტანა, მაგრამ ყურადღება შევაჩეროთ ძირითადად ხეთურ-ხურიტულ მითებზე, კერძოდ, ძვ.წ. II ათასწლეულში ჩაწერილ ხურიტული წარმომავლობის ხეთურ თქმულებებზე სამყაროსა და ღმერთთა წარმომავლობის შესახებ. მათი აღდგენა შეიძლება ქუმარბის შესახებ ამბებისა და ვრცელი ეპოსის „სიმღერა ულიქუმზე“ ფრაგმენტების მიხედვით. ისინი მოგვითხრობენ ღმერთთა თაობების მონაცვლეობის ამგვარი მიმდინარეობის შესახებ: ჯერ ყოფილა ღმერთი ალალუ, რომლის ფუნქციები მთლად ნათელი არ არის. შემდეგ მის წინააღმდეგ აღმდგარა „ანუ“ – ღმერთი-ზეცა, რომელსაც გამარჯვება მოუპოვებია. თავის მხრივ, ახალ გამგებელს ბრძოლას გამოუცხადებს ქუმარბი. ანუმ თავი აარიდა ომს და ჩიტივით აფრინდა ზეცად, მაგრამ ქუმარბიმ დაიჭირა იგი და მოაკვნიტა ანუს სარცხვენელი. ანუმ გააფრთხილა, რომ ქუმარბის გამარჯვება ხანგრძლივი არ არის, რომ მასში უკვე ჩაითესა სამი საშინელი ღმერთი. ქუმარბიმ ამოაფურთხა სარცხვენელი, რომელიც მიწაზე დავარდა. ეს უკანასკნელი დაფეხმძიმდა და რამდენიმე ხანში შვა სამი მძლავრი ღმერთი, მათგან უძლიერესი – თეშუბი – ტაროსის ღმერთი იყო. მან დაამარცხა ქუმარბი. ჩამოგდებულმა ღმერთმა არ დათმო ადვილად მმართველობა. იგი გააჩენს შვილს, რომელმაც თეშუბის ქალაქი ქუმია უნდა დაანგრიოს. აქედან მისი სახელიც – ქუმიის დამანგრეველი ანუ ულიქუმი. იგი, ძე ზღვის ასულისა, სწრაფად ამოიზარდა წყლიდან. მას სხეული ქვისა ჰქონდა. როდესაც ულიქუმი იმდენად ამაღლდა, რომ ზეცას მიუახლოვდა, თეშუბი და მისი მომხრეები შიშმა მოიცვა. დაიწყო საშინელი ომი. ბოლოსდაბოლოს ულიქუმი დაიღუპა. პარალელები ბერძნულ ვერსიასთან აშკარაა. ხეთურ მითში გამოიყოფა მმართველ ღმერთთა ოთხი თაობა, რასაც თეოგონიის მითის უგარი-

ტულ-ფინიკიური ვარიანტიც უჭერს მხარს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. ანუდან მოყოლებული ბერძნული და ხურიტულ-ხეთური ვერსიები ერთმანეთს საოცრად უახლოვდება არა მარტო მონაცვლე მმართველ ღმერთთა ფუნქციებით, არამედ მათი ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი სიუჟეტებითაც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს ერთი უძველესი მედიტერანული მითოლოგიური ტრადიციის ორ ვერსიასთან.

ოლიმპიელ ღმერთთა ბრძოლა ტიტანებთან, რაც ტერმინით ტიტანომაქია აღინიშნებოდა, არსებითად წარმოადგენს ორ, ძველსა და ახალ თაობას შორის დაპირისპირებას, რომელიც ამ უკანასკნელის ამბოხებით დაიწყო. უფროსი და უმცროსი ღმერთების დაპირისპირების თემა ფართოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მესოპოტამიურ მითოლოგიაშიც: ბაბილონურმა ეპოსმა, „ენუმა ელიშმა“ საკმაოდ კარგად შემოგვინახა ეს ინფორმაცია. მის თანახმად, თავდაპირველად, ვიდრე ზეცა და მიწა ან სხვა ღმერთები იარსებებდნენ, იყვნენ აპსუ – მტკნარი და თიამათი – მლაშე წყლები. მათ დაუდეს საფუძველი ღმერთთა წარმოქმნას. იშვნენ ანშარი და ქიშარი, მათგან ანუ (ე. ი. ზეცა) და მისი ძე ეა. შთამომავალთა ხმაურით შეწუხებული აპსუ გადაწყვეტს მათ დარბევას. ამას არ აპატიებს ეა და ჯერ მიაძინებს, შემდეგ კი კლავს აპსუს. საყურადღებოა, რომ ამ ვერსიაში მარდუქი, ეას ძე, საბოლოოდ გაიმარჯვებს უფროსი თაობის ღმერთებზე, როდესაც დახოცავს თიამათსა და მის ურჩხულებიან ლაშქარს. შემდეგ კი იგი, ისე, როგორც ზევსი ბერძნულ მითოლოგიაში, ღმერთებს შორის გაანაწილებს მეუფების სფეროებს. სამასი ე. წ. ზედა ღმერთი განაგებს ზეცას, სამასი ე. წ. ქვედა ღმერთი კი – მიწას და მიწისქვეშეთს.

⑥⑦

წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. ზევსის შთამომავლობის შესახებ ამბები გადმოცემულია ძირითადად ჰესიოდეს „თეოგონიის“ (886-929) მიხედვით. შევსებულია ჰომეროსისა და აპოლოდოროსის (I, 3) მიხედვით.

გიგანტებთან ბრძოლის მითები მოთხრობილია აპოლოდორესა (I,6,1-2) და ჰიგინუსის („ფაბულები“, შესავალი) მიხედვით.

სილენოსისა და სატირების როლზე გიგანტების საბოლოოდ უკუქცევაში მოგვითხრობს ევრიპიდეს „კიკლოპები“.

აიგიპანის, ანუ თხაპანის მამად ზოგი წყარო პანს ასახელებს. ზოგჯერ მას თავად პანთან აიგივებენ.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ზევსის მრავალრიცხოვანი სასიყვარულო კავშირი არსებითად ამგვარად უნდა გავიგოთ: ზევსი უერთდება სხვადასხვა ღვთაებრივ ძალას და მათგან შვილების შობით თავად იქცევა ჭეშმარიტად უნივერსალურ ღმერთად. ზევსის შვილები ხომ სამყაროში ყველა საკვანძო სფეროს მართავენ. მათზე მსჯელობა გვექნება იმ წიგნებში, რომლებიც ამ ღმერთებს ეძღვნება.

აიგიპანი არ წარმოადგენს რამდენადმე პოპულარულ მითოლოგიურ სახეს. იგი წყაროებში ჩნდება შედარებით გვიან.

გიგანტებზე მე-2 თავის განმარტებებში წარმოდგენილ ცნობებს აქ შემდეგს დავამატებდით. თუ რას ეფუძნებოდა გიგანტების შესახებ ბერძენთა წარმოდგენები, ამაზე არ იყო თანხმობა უკვე ანტიკურ ეპოქაში. ზოგი მათ უბრალოდ ბუმბერაზ, ველურსა და უღმრთო ხალხად წარმოიდგენდა, სხვანი მათზე აზრს იქმნიდნენ იმ ნაფეხურების მიხედვით, რომლებიც ვეებერთელა პირველყოფილ ცხოველებს ჰქონდათ დატოვებული ძველი სამყაროს ამა თუ იმ რეგიონში. იყო აზრი, თითქოს ისინი კაციჭამია გოლიათების ტომს წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, ბერძნულმა მითებმა გიგანტებში განაზოგადეს ყოველივე ის, რაც შეიძლებოდა არაორდინალურ, ველურსა და წარმოუდგენელი ძალის მქონე არსებებს ჰქონოდათ. ამგვარი არსებების შესახებ წარმოდგენები მრავალ ხალხში დასტურდება. ქართულ ფოლკლორში გიგანტების ყველაზე აშკარა პარალელი დევებში შეგვიძლია ვიპოვოთ. გიგანტებთან ბრძოლის, ანუ გიგანტომაქიის ამბავი ერთობ პოპულარული იყო ბერძნულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მისი მხატვრული ხორცშესხმისას ხელოვანი, როგორც წესი, განაზოგადებდა ცივილიზაციისა და უხეში ძალის დაპირისპირების მარადიულ თემას.

⑧⑨

წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. ტიფონის მითი მოთხრობილია ძირითადად ჰესიოდეს „თეოგონიის“ (820-880) მიხედ-

ვით. შევსებულია აპოლოდორეს (I,6,3), პინდარესა (პითიური I,15...) და ჰიგინუსის (ფაბ. 152) ინფორმაციით. ჰესიოდე ტიფონის სახელის ვარიანტს – ტიფოევსს გვთავაზობს. ტიფონთან ბრძოლა ზოგი ავტორის მიხედვით, უშუალოდ ტიტანების დამარცხების შემდგომ, ჯერ კიდევ გიგანტებთან შერკინებამდე მოხდა. არის ვერსია, რომლის თანახმადაც ტიფონი თავად ჰერამ შვა, გაბრაზებულმა ზევსზე ათენას გაჩენისათვის. მან მიწას – გეას დაჰკრა ხელი, საიდანაც მიიღო ზევსის მტრის, ტიფონის გაჩენის ძალა. იგი ქალღმერთმა აღსაზრდელად დელფოში დაბუდებულ მეორე ურჩხულს, გეას პირმშოს, პითონს მიაბარა, რომელიც შემდგომ აპოლონმა მოკლა. ჰესიოდეს მიხედვით, ზევსმა შედარებით ადვილად სძლია ტიფონს მეხის დაკვრით. როგორც ჩანს, პოეტი გაექცა ზევსის სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის ეპიზოდის გადმოცემას.

ალოადების მითი ძირითადად ჰომეროსის პოემების („ილ.“ V, 385-390; „ოდ“. XI, 305-320), აპოლოდორეს (I,7,4), ჰიგინუსისა (ფაბ. 28) და პავსანიასის „ელადის აღწერილობის“ (II,3,8; IX,29,1-2) მიხედვით არის მოთხრობილი. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ისინი პოსეიდონის შვილიშვილები იყვნენ. ჰომეროსის თანახმად, ალოადები აპოლონის ისრებით განიგმირნენ. პავსანიასის მიხედვით ისინი თვლიდნენ, რომ სულ სამი მუზაა და მათ სახელებიც კი მისცეს: მელეტე („გამოცდილება“, „დაფიქრებულობა“), მნემე („მახსოვრობა“) და აოიდე („სიმღერა“).

განმარტებები. ტიფონის ეპიზოდი, როგორც ჩანს, ეხმიანება ძველაღმოსავლურ, კერძოდ კი ხეთურ-ხურიტულ მითს ულიქუმის შესახებ (შდრ. ზემოთ 4-5-ის განმარტებები). გარკვეული თვალსაზრისით შეიძლებოდა გვემსჯელა პარალელებზე ბაბილონურ ვერსიასთანაც, სადაც თიამათი მარდუქის წინააღმდეგ თერთმეტ ურჩხულს გამოგზავნის (შდრ. ზემოთ, 4-5-ის განმარტებები). იმას რომ ტიფონის სახე ბერძნულ მითოლოგიაში მცირე აზიიდან უნდა იყოს შემოსული, აღნიშნული პარალელების გარდა, ისიც ადასტურებს, რომ ტიფონი, ბერძნული ვერსიის მიხედვით, აზიაში გაუჩენია გეას. ეგვიპტეში ოლიმპიელ ღმერთთა ლტოლვისა და მათი ცხოველებად თუ ფრინველებად გადაქცევის მოტივი, როგორც ჩანს, საზრდოობს ეგვიპტური მითოლოგიური ტრადიციით, სადაც ღმერთების სხვადასხვა ცხოველებად გარდასახვა ერთობ გავრცელებული მოვლენა იყო.

ალოადების მითში ერთმანეთთანაა შერწყმული ზღაპრული და ეტიოლოგიური მოტივები. ერთის მხრივ, ოტოსი და ეფიალტესი გოლიათებად, მოძალადე და კანონის ხელმყოფ ზღაპრულ ფიგურებად წარმოგვიდგებიან, მეორეს მხრივ კი – გმირებად, რომელთაც სახელი გაუთქვამთ თავიანთი მშვენიერებით, სხვადასხვა ქალაქებისა და კულტების დაარსებით. ამიტომაც ასე უჩვეულოდ მონაცვლეობს მათდამი დამოკიდებულებაში უარყოფითი და დადებითი შეფასება. მათი სახელების უკვდავყოფაც მუზების მიერ ხომ მადლიერების ერთგვარი გამოხატულებაა. როგორც ჩანს, ალოადები წარმოადგენდნენ ან ადამიანთა ბუნების ცვლილებებში აქტიური მონაწილეობის პროცესის პერსონიფიკაციას, ან რეალურად არსებული ლეგენდარული პირების მოღვაწეობის მითოლოგიურ განზოგადებას.

⑩

წყაროები და ვარიანტები. გადმოცემულია ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემების, აპოლოდორესა და ჰიგინუსის მიხედვით. გათვალისწინებულია პინდარესა და ესქილეს ცნობები. ავტორებთან შესაბამის ადგილებს ზუსტად არ ვუთითებთ, რადგან ამ თავში თავმოყრილი ინფორმაცია მათთან ერთობ გაფანტულადაა წარმოდგენილი.

განმარტებები. თორმეტი ოლიმპიელი ღმერთის იდეა, როგორც ჩანს, ეხმიანებდა ძველაღმოსავლურ, განსაკუთრებით ბაბილონურ წარმოდგენებს. ჰეროდოტეს ცნობით, პირველებმა ეგვიპტელებმა დაყვეს წელიწადი 12 ნაწილად და მათვე დააწესეს 12 ღმერთის სახელი. რიცხვი თორმეტი მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველი სამყაროს წარმოდგენებში რიცხვთა სიმბოლიკის შესახებ. 12 იყო სრულქმნილი ციკლი, კოსმოსური წესრიგი. იგი, ვითარცა 3 x 4, გაიაზრებოდა როგორც სულიერ, ისე სამყაროს წესრიგად. ანტიკურ ეპოქაში, განსაკუთრებით ძველ რომში, თორმეტი ოლიმპიელი ღმერთის სახელი დაუკავშირდა 12 თვესა და ზოდიაქოს წრის 12 თანავარსკვლავედს:

თვე	ზოდიაქოს თანავარსკვლავედები	თორმეტი ღმერთი	
		ბერძ. სახ.	ლათ. სახ.
იანვარი	მერწყული	ჰერა	იუნო
თებერვალი	თევზი	პოსეიდონი	ნეპტუნუსი
მარტი	ვერძი	ათენა	მინერვა
აპრილი	კურო	აფროდიტე	ვენუსი
მაისი	მარჩვიბი	აპოლონი	აპოლო
ივნისი	კირჩხიბი	ჰერმესი	მერკურიუსი
ივლისი	ლომი	ზევსი	იუპიტერი
აგვისტო	ქალწული	დემეტრე	კერესი
სექტემბერი	სასწორი	ჰეფესტო	ვულკანუსი
ოქტომბერი	ღრიანკალი	არესი	მარსი
ნოემბერი	მშვილდოსანი	არტემისი	დიანა
დეკემბერი	თხის რქა	ჰესტია	ვესტა

ოლიმპიელი ღმერთებისა და კრონოსის სახელები უკვე ძვ.წ. IV საუკუნიდან მაინც გამოიყენებოდა პლანეტების აღსანიშნავადაც. აქ მხოლოდ მზესა და მთვარეს დარჩა თავისი ტრადიციული სახელწოდებები. ეს პროცესი დააჩქარა ბერძენთა მიერ ბაბილონური ასტროლოგიის საფუძვლების უკეთ გაცნობამ. პლანეტებს მიეცათ იმ ღმერთების სახელები, რომლებიც შეესაბამებოდნენ ბაბილონურ ღმერთებს, დაკავშირებულთ ამა თუ იმ პლანეტასთან. გარკვეულწილად ძველაღმოსავლური ასტროლოგიური წარმოდგენების გავლენით თითოეულ პლანეტას დაუკავშირდა რაღაც კონკრეტული ღვთიური ძალა.

პლანეტა		ღვთიური ძალა
ბერძ. სახ.	ლათ. სახ.	
ჰელიოსი	სოლი (მზე)	სინათლე
სელენე	ლუნა (მთვარე)	ჯადოქრობა
არესი	მარსი	ზრდა
ჰერმესი	მერკურიუსი	სიბრძნე
ზევსი	იუპიტერი	კანონიერება
აფროდიტე	ვენუსი	სიყვარული
კრონოსი	სატურნუსი	მშვიდობა

როგორც ჩანს, თორმეტ ოლიმპიელს შორის აღმოჩნდა მრავალი ის ღმერთი, რომელიც წინაბერძნული ტომების მითოლოგიაში ასრულებდა მნიშვნელოვან როლს. არსებითად, ზევსის

გარდა, თითქმის არცერთი ოლიმპიელის სახელი არ გვიჩვენებს ბერძნულ ან საერთოდ ინდოევროპულ ეტიმოლოგიას. ამის ახსნა შემდეგნაირად შეიძლება: ბერძნულენოვანმა ტომებმა მოახდინეს ეგეიდის უძველესი მოსახლეობის ასიმილაცია. ელინებმა შეითვისეს მათი კულტურა, რელიგიური წარმოდგენები. საკუთარი უზენაესი ღმერთი, ზევსი ჩასვეს წინაბერძნული სამყაროს მითოლოგიურსა თუ რელიგიურ სისტემაში და იგი აქციეს უფროს ღმერთად. კრონოსის ეპიზოდი საკმაოდ კარგად გვიჩვენებს, თუ როგორც იქცა ყველაზე უმცროსი ღმერთი ზევსი ყველაზე უფროსად. როდესაც ზევსი დაიბადა, მისი დაძმა უკვე გაჩენილი იყო, მაგრამ ისინი კრონოსს ჰყავდა გადაყლაპული. ზევსმა კვლავ „აშობინა“ ისინი მამას, და ამდენად, უკვე თავად მოგვევლინა უფროსად და-ძმას შორის. ასევე, ბერძნებმა ზევსი აქციეს იმ ღმერთების მშობლად, რომლებიც, როგორც ჩანს, ელინთა ეგეიდაში დამკვიდრებამდე აქ უმთავრეს ღვთაებრივ ძალებად მიიჩნეოდნენ. ამით მათ მოახდინეს წინაბერძნული პანთეონის სრული ასიმილაცია. ბერძნული მითებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების, ასევე ოლიმპიელ ღმერთთა არსის შესახებ შემდგომ წიგნებში იქნება მსჯელობა.

11

წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. გადმოცემულია ჰომეროსის, ჰესიოდეს პოემების, ასევე აპოლოდორესა და ჰიგინუსის მიხედვით. ავტორებთან შესაბამის ადგილებს ზუსტად არ ვუთითებთ, რადგან ამ თავში თავმოყრილი ინფორმაცია მათთან ამ შემთხვევაშიც ერთობ გაფანტულადაა წარმოდგენილი.

ლიკაონის ეპიზოდი ძირითადად მოთხრობილია აპოლოდორესა (III,8,1) და ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (I,230...) მიხედვით. ამ უკანასკნელის თანახმად, ლიკაონი ზევსის ელვისაგან ალმოდებული სახლიდან გამოვარდნის შემდეგ გადაიქცა მგლად. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ცნობილია ლიკაონის შვილების 73 სახელი. პავსანიასის მიხედვით, ლიკაონი, უღმრთო მეფე, მხოლოდ იმიტომ გადაიქცა მგლად, რომ მან თავისი შვილი შესწირა მსხვერპლად ლიკაონის მთაზე.

სალმონევსის ეპიზოდი ძირითადად აპოლოდორეს (I,7,3; I,9,7) მიხედვითაა გადმოცემული. ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ზევს-

მა სალმონევსი ჯერ შებოჭა და რადგან იგი გონს არ მოეგო, მოკლა.

იქსიონის ეპიზოდი ჰიგინუსის (ფაბ. 33 და 62) და პინდარეს II პითიური ოდის (21...) მიხედვითაა მოთხრობილი. მისი ჰადესში ტანჯვის ამბავს აპოლონიოს როდოსელი (III,62) და ამ ადგილის სქოლიასტი გადმოგვცემენ.

კეიქსის ეპიზოდი გადმოცემულია ძირითადად აპოლოდორესა (I,7,3) და ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (XI,410-748) მიხედვით. ჰომეროსის სქოლიასტის („ილიადა", IX,562) თანახმად, ქმრის ზღვაში დაღუპვის შემდგომ მხოლოდ ალკიონე გადაიქცა ფრინველად. ზოგიერთი ფიქრობს, რომ კეიქსი თოლიად გადაიქცა.

ფილემონისა და ბავკისის ეპიზოდი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების" მიხედვით (VIII,670-724).

იოს ეპიზოდი გადმოცემულია ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს" (705...) და აპოლოდორეს მიხედვით (II,1,3).

კალისტოს ეპიზოდი ძირითადად მოთხრობილია აპოლოდორესა (III,8,2) და ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (II,409-507) მიხედვით. ვარიანტებში მის მამად წარმოდგენილია ნიქტევსი ან კეფევსი.

სხვა მოკლედ მინიშნებული ეპიზოდების წყაროებს დავასახელებთ მომდევნო წიგნებში, სადაც მათ ვრცლად მოგითხრობთ.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ზევსი არის ბერძენთა ერთადერთი ღმერთი, რომლის სახელი აშკარად ინდოევროპულ ეტიმოლოგიას გვიჩვენებს. ინდოელთა ცის ღმერთს ერქვა „დიაუს პიტარ". ლათინური იუპიტერი წარმოადგენს დიესპიტერის ვარიანტს. ლათინურში „დეუს" აღნიშნავს „ღმერთს", „დიეს" – „დღეს", ხოლო ბერძნულში „ეუდია" – „მშვენიერ ამინდს". ზევსის თავდაპირველი ინდოევროპული ფუნქცია, ალბათ, უნდა გავიაზროთ, როგოც „ცის ნათელი". საბერძნეთში, შესაძლოა, ძველაღმოსავლური მითოლოგიური წარმოდგენების გავლენით, იგი უპირატესად ამინდის ანუ ტაროსის ღმერთად იქცა. თანდათანობით იგი იღებდა სხვა ფუნქციებსაც და, ბოლოსდაბოლოს, ხდება უნივერსალური, უზენაესი ღმერთი. ასეთად იგი წარმოგვიდგება ჰომეროსიდან მოყოლებული, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ უკვე მიკენურ ეპოქაში ზევსის უზენაესობა აღიარებული ყოფილიყო. ალბათ მიკენური დივე მისი სახელის გადმოცემას წარმოადგენს. გზა ტაროსის ღმერთიდან უზენაეს უნივერსალურ ღმერთამდე არსებითად შეესაბამებოდა ელინთა წარმოდგენების განვითარების პროცესს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს უზენაესი ღმერთი. ბერძენთა რწმენით, უპირველეს ყოვლისა, მას სამყაროში წესრიგისა და სამართლიანობის გარანტის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. უკვე ანტიკურ ეპოქაში მითოგრაფოსები ზევსის 115 ცოლსა თუ საყვარელს ასახელებენ, არაფერი რომ აღარ ვთქვათ ამ ქალთაგან გაჩენილ შვილებზე. ამ ფაქტში, როგორც ჩანს, უნდა დავინახოთ თითოეული ელინური პოლისის, მხარის სურვილი რაღაცნაირად დაეკავშირებინა საკუთარი წარმომავლობა ზევსისათვის. და, მართლაც, თუკი სხვა ოლიმპიელ ღმერთებს თაყვანისცემის, კულტმსახურების თავიანთი გამორჩეული ადგილები გააჩნდათ, ზევსს ყველგან თანაბრად განადიდებდნენ. იგი იყო ჭეშმარიტად საერთოელინური ღმერთი. გარკვეული დროიდან მოყოლებული მას ამკობენ ყოვლადობის, ყოვლისმომცველობის პრედიკატებით: ყოვლადძლიერი, ყოვლისმოქმედი და ა. შ. მას მიმართავენ ასე: „მეუფეთა მეუფეო, ნეტართაგან უნეტარესო, სრულქმნილიდან უსრულქმნილესო ძალავ, ბედნიერო ზევსო". ამტიცებდნენ, რომ „ზევსი არის ეთერი, ზევსი არის მიწა, ზევსი არის ზეცა, ზევსი არის სამყარო და, რაც მასზე უმაღლესია, ისიც". დოდონაში ქურუმები მას ასე უმღეროდნენ: „ზევსი იყო, ზევსი არის, ზევსი იქნება. ო, დიდო ზევსო". ხოლო ლეგენდარულ პოეტს, ორფევსს მიეწერება სტრიქონები: „ზევსი დასაბამია, ზევსი არის შუა, ზევსისაგან დასრულდება ყოველივე". აქედან კი ერთი ნაბიჯიღა იყო ე. წ. ფილოსოფიური ღმერთის შექმნამდე, რაც მოხდა კიდეც ბერძნულ აზროვნებაში.

პრომეთეს ეპიზოდი სრულად იქნება მოთხრობილი და კომენტირებული იმ წიგნში, რომელიც იაპეტოსის ძეს ეძღვნება, ხოლო წარღვნისა – დევკალიონისადმი მიძღვნილ წიგნში.

ლიკაონის მითში, შესაძლოა, ასახული იყოს წინაბერძნულ ტომებში ღმერთისათვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ის ტრადიცია, რომელზედაც შემდგომ უარი თქვეს ელინებმა. როგორც გადმოგვცემენ, ლიკაონის მთაზე ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში აგრძელებდა რამდენადმე დაფარულად ეს ტრადიცია არსებობას. რაც შეეხება უდანაშაულოდ სისხლის დამღვრელი ადამიანის მგლად ქცევის მოტივს, იგი ცნობილია სხვა ხალხებშიც. ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, ამ მითში ასევე აისახა წინაბერძნული ტომების წარმოდგენები მგელღმერთის შესახებ, რომელიც შემდგომ ზევსმა გამოდევნა.

სალმონევსი, შესაძლოა, იყო შემდგომ ზევსის კულტით განდევნილი რომელიღაც წინაბერძნული ტომის გაღმერთებული მეფე, რომელიც მიმართავდა ელვისა და ჭექა-ქუხილის სტიქიების ჯადოქრული მიზნებით გამოყენებას.

იქსიონის მითის ინტერპრეტაცია აზრთა დიდ სხვაობას იწვევს. ზოგნი მასში ხედავენ ზევსის ორეულს, როგორც დიას – ზევსის მდედრი დაპირისპირების – მეუღლეს. სხვანი მას მზის ღმერთად წარმოსახავენ ან მიიჩნევენ, რომ ცეცხლოვანი ბორბალი არსებითად მზის სფეროს ნაირსახეობაა და რომ მასში სრულიად მცდარად ჩაიდო სასჯელისა და ცოდვის მნიშვნელობა. განმმარტებელთა ერთი ნაწილი კი იქსიონში ცეცხლის დამაქცეველი ძალის პერსონიფიკაციას ხედავს.

კეიქსისა და ალკიონეს მითი, როგორც ჩანს, პოპულარული იყო საკმაოდ ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ყოველი შემთხვევისათვის, ჰომეროსი მას უკვე იცნობდა. თავიდანვე მას ეტიოლოგიური ხასიათი უნდა ჰქონოდა. ბერძენთა რწმენით, მდედრი ალკუნის გამუდმებული საწყალობელი წივილი იმის მომასწავებელია, რომ იგი ეძებს დაღუპულ მეუღლეს. მითში მისი ლიტერატურული თუ მითოგრაფიული ინტერპრეტაციის პროცესში გამოიკვეთა ორი ძირითადი მოტივი: მორალური, რომლის თანახმადაც მოკვდავი ისჯება ამპარტავნობისათვის და ზღაპრულ-ეტიოლოგიური ალკუნი გარდასახული ქალია, რომელიც დაეძებს თავის მეუღლეს. ამ მითოლოგიურ პერსონაჟებს ჰქვიათ ე. წ. მეტყველი სახელები: ალკიონე ალკუნის ბერძნული სახელია, ხოლო კეიქსი ასევე ერთ-ერთი ზღვის ფრინველია. მეცნიერებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ მითში ფრინველები ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლიზაციად უნდა მივიჩნიოთ. ცისკრის ვარსკვლავის ზღვაში სწრაფი ჩაშვება განზოგადდა წყალში მყვინთავი ფრინველის სახით. უკვე ანტიკურობაში იყო ცდები ეოსფოროსის ანუ ცისკრის ვარსკვლავის ძე, კეიქსი გაეიგივებინათ ჰერაკლეს თანამედროვე ტრაქინელ კეიქსთან.

ფილემონისა და ბავკისის მითში, რომელიც მხოლოდ რომაული ეპოქის წყაროებით არის ჩვენთვის ცნობილი, ასევე ურთიერთშერწყმულია მორალური და ზღაპრულ-ეტიოლოგიური მოტივები: არასტუმართმოყვარეობისათვის ზევსი სჯის, სტუმართმოყვარეთა მიმართ კი იგი კეთილგანწყობილია. ტბის მახლობლად მდგარი ხე ღვთისმოშიში და ურთიერთმოყვარული ცოლ-ქმრისადმი ღმერთების დამოკიდებულების სიმბოლოა.

იოს მითის ცალკეულ დეტალებს მივუბრუნდებით შემდგომ, შესაბამის წიგნებში. აქ კი ზოგადად აღვნიშნავთ, რომ მითს კომპლექსური ახსნა სჭირდება. როგორც ჩანს, მასში უნდა გამოიყოს რამდენიმე აპსექტი: ა) იოს ხეტიალი მთელ ქვეყანაზე შესაძლოა არეკლავდეს მსგავსი კულტის სხვადასხვა არეალებში გავრცელების ფაქტს. უკვე ძველი ავტორები მიუთითებდნენ, რომ იოს ეგვიპტეში ისიდას სახით სცემდნენ თაყვანს. მისი მსგავსი იყო ასტარტეს კულტი სირიაში და კალისა ინდოეთში; ბ) თვით იოს არსს რაც შეეხება, აქ შეიძლებოდა გვემსჯლა სულ ცოტა ორი ტრადიციის გაერთიანებაზე. ერთის მხრივ, იო შეიცავს უძველესი მთვარის ღვთაების ნიშნებს, რომელიც, ალბათ, წმინდა ძროხის სახით წარმოიდგინებოდა, ცაზე რომ მიმოდის აქეთ-იქით, ხოლო, მეორეს მხრივ კი, იო წარმოგვიდგება როგორც თავად „ძროხისთვალა“ (ბერძნ. ბოოპეს) ჰერა, ზევსის მეუღლე, რომლის სხვა სახელი იყო იო. მითოლოგიურ ტრადიციაში მოხდა ერთი ღვთაების ორ, ბოლოსდაბოლოს, ურთიერთდაპირისპირებულ პერსონაჟად ჩამოყალიბება. შესაძლოა, ამაში ასახვა ჰპოვა წინაბერძნული ტომების ღვთაების ელინურ უზენაეს ქალღმერთად ტრანსფორმაციის პროცესმა. სახელის „იო“ ეტიმოლოგია უცნობია. ძველთაგანვე მას აკავშირებდნენ იონიის ზღვისა და ერთ-ერთი ბერძნული ტომის, იონიელების სახელწოდებასთან.

კალისტო ბერძნულად უმშვენიერესს ნიშნავს და, შესაძლოა, ეს სახელი არტემისის ერთ-ერთი ეპითეტიდან იყოს ნაწარმოები. ზოგნი ფიქრობენ, რომ მითი კალისტოზე შექმნილი იყო იმის ასახსნელად, თუ რატომ მონაწილეობდნენ დათვის სახით შემოსული პატარა გოგონები ბრავრონიელი არტემისისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში და თუ რატომ ჰქონდა ამ ქალღმერთს ტრადიციულად დიდი დათვის თანავარსკვლავედთან კავშირი. ერთ-ერთი ძველი ვერსიის თანახმად, როდესაც ზევსმა არტემისის დამორჩილება მოინდომა, ეს უკანასკნელი ცდილობდა დათვად გადაქცევით დაეღწია თავი მისგან. სხვანი კალისტოში ხედავენ ძველ, ზოომორფულ ღვთაებას, რომელიც შემდეგ არტემისმა გამოდევნა.

ზევსის საკუთრხეველთაგან უძველესი დოდონეში უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად ეს იყო წინაბერძნული ტომის, პელასგების სამკვიდრებელი ჩრდილოეთ საბერძნეთში, ეპიროსში, სადაც, როგორც ჩანს, ელინთა აღმავლობასთან ერთად მოხდა ზევსის კულტის დაფუძნება. მისან-ქურუმებად აქ ადრე სელები ანუ

ჰელები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც, ჰომეროსის თანახმად, დაუბანელი ფეხებით ეძინათ მიწაზე. შემდგომ აქ სელები ქურუმმა ქალებმა შეცვალეს. დოდონეს სამისნოს ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა იყო სასწაული მუხის ხე; ჰეროდოტე მოგვითხრობს ლეგენდას, რომლის თანახმადაც ერთ დროს ორი შავი მტრედი აფრენილა ეგვიპტის თებედან. ერთი ლიბიაში, ხოლო მეორე კი დოდონეში, ამ მუხის ხეზე დამჯდარა და დაუწყია ადამიანის ხმით ღმერთის ნების უწყება. ამიერიდან დოდონე ქცეულა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ სამისნოდ. შემდგომ ექსტაზში მყოფი ქურუმები მუხის ხის ფოთოლთა შრიალში ზევსის ნებასა და წინასწარმეტყველებას ამოიცნობდნენ ხოლმე. წყაროები ასახელებენ სამ მტრედსაც, ხოლო ზოგნი თვლიან, რომ თავად ქურუმ ქალებს უწოდეს მტრედები, რადგან მათი წინაპრები ერთ დროს ფინიკიიდან მოვიდნენ, ლაპარაკობდნენ ადგილობრივთათვის უცხო ენაზე, რომელიც დოდონელებმა მტრედების ჟღურტულს შეადარეს. დოდონეში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს აქ მნიშვნელოვანი სამისნოსა და საკულტო ადგილის არსებობა.

ზევსის ეკვივალენტური ღმერთის, იუპიტერის, ისევე როგორც ამ წიგნში მოხსენიებული სხვა ღმერთების რომაულ პანთეონში მონაწილეობის შესახებ დეტალურად იქნება მსჯელობა სერიის მეცხრე წიგნში „ტროას ომის შემდეგ", ქვეთავში, რომელიც რომაულ მითოლოგიას მიეძღვნება.

აქ წარმოდგენილი მითოლოგიური სიუჟეტებისა და ფიგურების ანტიკურ სახვით ხელოვნებაში ასახვის შესახებ ინფორმაციისათვის მიმართეთ წიგნის ილუსტრაციების განმარტებებს.

სახელთა საძიებელი

ა

აგენორი 57
აგლაია 32
აგრიოსი 38
ადრიატიკა 10
ადრიატიკის ზღვა 10
აელო 20
ათენა 31, 33, 37, 39, 45, 48, 74, 76
ათენა პალასი 37
ათენი 10
აიგიპანი 34, 40, 73
აიქსი 34
აკარნანია 10
აკრისიოსი 57
ალალუ 71
ალეკტო 63
ალექსანდრე მაკედონელი 8
ალკიონე 53, 78, 80
ალკიონევსი 36
ალკმენე 34
ალკუნი 80
ალოადები 41, 42, 43
ალოევსი 41
ამალთეა 24, 25
ამფიონი 57
ამფიტრიონი 34
ანდროსი 10
ანტიოპე 57
ანუ 71, 72
ანშარი 72
აოიდე 74
აპატე 18
აპოლოდოროსი 9, 70, 72, 74, 75, 77, 78
აპოლონი 10, 32, 37, 39, 42, 45, 46, 48, 58, 74, 76
აპოლონიოს როდოსელი 8, 78
აპსუ 72
არგესი 15, 65
არგოლისი 10
არგოსი 10, 57, 58
არეთუსა 18
არესი 33, 39, 42, 45, 60, 76
არიმეთი 69
არკადია 10, 50, 58
არკადიელები 59
არკასი 50, 59
არტემისი 32, 38, 39, 42, 45, 58, 59, 70, 76, 81
ასია 19
ასკლეპიადეს ტრაგილოსელი 9
ასკრა 43
ასოპოსი 58
ასტერიე 20, 22
ასტრეოსი 19, 22
ასხელები 15, 27
ატიკა 10
ატლასი 20, 30, 33, 59, 63, 67
ატროპოსი 18
აფროდიტე 17, 32, 34, 39, 45, 60, 63, 66, 76
აქაია 10
აქილევსი 49

ბ

ბავკისი 54, 55, 78, 80
ბაკქილიდე 7
ბალკანეთი 11
ბალკანეთის ნახევარკუნძული 9, 10
ბელეროფონტი 21
ბეოტია 10
ბიე 22, 26
ბორეასი 22, 41
ბრიარეოსი 15, 27, 29, 30, 48
ბრიტომარტისი 59
ბრონტესი 15, 65

გ

განიმედესი 46
გეა 14, 15, 16, 17, 19, 20, 23, 24, 25, 27, 31, 32, 35, 36, 38, 58, 61, 62, 63, 67, 74
გერასი 18
გერიონევსი 21
გიგანტი 16, 35, 36, 37, 38, 44, 48

გიგესი 15, 27, 29, 30
გორგონა 20
გრაია 20
გრატიონი 38

დ

დანაე 57
დარდანოსი 59
დევკალიონი 64, 79
დელოსი 10
დელფინე 40
დელფო 10, 70, 74
დემეტრე 23, 32, 45, 76
დემონი 41, 47
დია 80
დიანა 76
დიკე 31
დინო 20
დიონე 34, 63
დიონისე 34, 37, 38, 39, 45
დიქტე 24
დოდონე 54, 59, 81, 82
დორისი 10, 19
დრაკონციუსი 9

ე

ეა 72
ეაკიდები 58
ეაკოსი 58
ეგეიდა 77
ეგეოსი 24
ეგეოსის ზღვა 9
ეგვიპტე 11, 39, 58, 74, 81
ეგვიპტის თებე 82
ეგინა 58
ეგიოქოსი 25
ეგისი 25, 59
ეგლე 18
ედონევსი 51, 52
ევბეა 10
ევნომია 31
ევრიალე 20
ევრიბია 19, 64
ევრინომე 19, 32
ევრიპიდე 8, 73
ევრიტოსი 37
ევროპე 19, 57
ევრიფაესა 67
ევტერპე 32
ევფროსინე 32
ეთერი 14, 29
ეთიოპია 11
ეირენე 31
ელადა 6, 9, 59
ელენე 54, 57
ელექტრა 20, 59
ელისი 10, 51
ენარეტე 51
ენიო 20
ენკელადოსი 37
ეოლია 11
ეოლოსი 51, 53
ეოსფოროსი 52, 53, 80
ეოსი 19, 22
ეპაფოსი 58
ეპიმეთევსი 20, 63
ეპირე 10
ეპიროსი 81
ერატო 32
ერებოსი 14
ერიბოია 42
ერითია 18
ერიკაპეოსი 60
ერიკეპეოსი 60
ერინიები 16
ერისი 18, 67, 68
ეროსი 14, 17, 60, 61
ესქილე 8, 75, 78
ეტნა 37, 40, 63
ეტოლია 10
ეფესოსი 11
ეფიალტესი 37, 41, 42, 43, 75
ექიდნა 21, 41, 67, 69

ვ

ვენუსი 76
ვერგილიუსი 9
ვესტა 76
ვულკანუსი 76

ზ

ზევსი 7, 10, 14, 22, 23, 24, 25, 26, 27, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 63, 65, 67, 71, 72, 73, 74, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82
ზეფიროსი 22, 41

თ

თალიე 32
თანატოსი 17, 68
თასოსი 10
თებე 7, 10, 12, 21, 34, 57, 66
თეია 15, 19, 64
თემისი 15, 31, 32, 67
თეოკრიტოსი 8
თერა 10
თესალია 10, 26, 51
თესევსი 12
თეტისი 48, 49
თეშუბი 71
თიამათი 74
თოასი 38
თრაკია 11, 40
თუკიდიდე 8
თხაპანი 73

ი

იაპეტოსი 15, 20, 27, 30, 34, 49, 64, 79
იაფეტი 64
იდა 24
იდიია 19
ითაკა 10
ილითიია 33
ინაქოსი 57
ინდოეთი 81
იო 57, 58, 78, 81
იონია 10, 11
იონიის ზღვა 81
ირისი 20, 46, 47
ისთმოსი 10
ისიდა 81
იტალია 10
იუნო 76
იუპიტერი 76, 82
იფიმედეა 41
იქსიონი 51, 52, 80

კ

კადმოსი 40
კალი 81
კალიფსო 19
კალიმაქოსი 8
კალიოპე 32
კალიროე 19, 67
კალისტო 58, 59, 78, 81
კაპრიკორნი 34
კარია 11
კარმე 59
კასიოსი 39
კასტორი 57
კეიქსი 52, 53, 78, 80
კელენო 20
კერები 68
კერესი 76
კერი 17, 18, 68
კეტო 19, 20, 21, 22, 69
კეფალენია 10
კეფეევსი 78
კვიპროსი 10, 17
კიბელე 65
კითერა 10, 17
კითერეა 17
კიკლადები 10
კიკლოპი 15, 27
კილიკია 38, 39
კლიმენე 19, 20, 64
კლიო 32
კლიტემნესტრა 57
კლიტიასი 37
კლოთო 18
კოიოსი 15, 32, 64
კოლხეთი 11, 66
კორინთოსი 10
კორინთოსის ყელი 10
კორკირა 10
კორკირული გამოქვაბული 39
კოსი 37
კოტოსი 15, 27, 28, 30
კრატოსი 22, 26
კრეტა 10, 11, 12, 24, 57, 59, 65
კრიოსი 15, 19, 20, 64
კრონოსი 15, 16, 23, 24, 25, 26, 27, 30, 31, 33, 34, 35, 39, 40, 44, 45, 48, 49, 50, 51, 54, 57, 58, 59, 64, 65, 66, 70, 71, 76, 77

კტესიოსი 56
კურეტები 25

ლ

ლადონი 18, 22, 67
ლაკონია 10
ლაომედონი 49
ლაპითები 51
ლაქესისი 18
ლედა 57
ლევკასი 10
ლემნოსი 10, 49
ლესბოსი 10
ლეტო 20, 32, 33
ლიბია 11, 82
ლიკაონი 50, 58, 77, 79
ლიკაონის მთა 77, 79
ლიკია 11
ლიქტოსი 24
ლოკრისი 10
ლუკიანოს სამოსატელი 8
ლუნა 76

მ

მაგნესია 51
მაია 33
მარდუქი 72, 74
მარსი 76
მედუზა 21
მეგერა 63
მელეტე 74
მელიბოია 50
მელოსი 10
მელპომენე 32
მენელაოსი 54
მენოიტიოსი 20
მერკურიუსი 76
მესენია 10
მესოპოტამია 64
მეტისი 19, 31, 60
მიკენი 10, 12, 63
მილეტოსი 11
მილიქიოსი 56
მინერვა 76
მინოსი 12, 57, 59
მნემე 74
მნემოსინე 15, 32
მოირა 18, 32, 38, 40
მოირები 38, 54
მომოსი 18
მოროსი 17, 67, 68
მუსეოსი 9
მცირე აზია 9, 11

ნ

ნაქსოსი 10, 42, 43
ნემესისი 18
ნეპტუნუსი 76
ნერეევსი 19, 48, 67
ნეფელე 52
ნიკე 22, 26
ნიმფა 17, 18, 21, 34, 45
ნიობე 57
ნისა 40
ნისიროსი 37
ნიქსი 14, 32, 63
ნიქტევსი 57, 78
ნიქტიმოსი 50
ნოე 64
ნონოსი 9
ნოტოსი 22, 41

ო

ოდისევსი 63
ოვიდიუსი 9, 77, 78
ოთრისი 26
ოიძისი 18
ოკეანიდები 19
ოკეანოსი 15, 18, 19, 20, 22, 26, 31, 32, 34, 39, 47, 60, 64
ოკიპეტე 20
ოლიმპია 10, 59
ოლიმპიელები 39, 43, 45, 46, 48
ოლიმპოსი 10, 26, 27, 28, 29, 30, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 45, 46, 47, 49, 52
ონეიროსები 17
ორთოსი 21, 67
ორთროსი 67
ორფევსი 60, 79
ოსა 42
ოტოსი 41, 42, 43, 75

პ

პავსანიასი 74, 77
პალასი 19, 22, 37, 67
პალენეს ნახევარკუნძული 35
პანდორა 20
პანი 73
პარისი 54
პარნასოსი 25
პაროსი 10
პეგასოსი 21
პელასგოსი 50
პელევსი 49
პელიონის მთა 42
პელოფსის კუნძული 10
პელოპონესოსი 10
პემფრედო 20
პერსეფონე 32
პერსევსი 12, 20, 21, 57
პერსეისი 19
პერსესი 19, 22
პითონი 74
პინდარე 7, 74, 75, 78
პინდოსი 10
პინდოსის ქედი 10
პლატონი 8
პლეიონე 67
პლუტონი 45
პოდარგე 20
პოლიბოტესი 37
პოლიდევკე 57
პოლიევსი 54
პოლიფემოსი 63
პოლიჰიმნია 32
პონტოსი 15, 19, 20
პორფირიონი 36, 37
პოსეიდონი 23, 27, 29, 30, 37, 41, 45, 48, 63, 74, 76
პრომეთე 20, 27, 34, 49, 58, 63, 64, 70, 79

რ

რადამანთისი 57
რეა 15, 23, 24, 25, 26, 64, 65
რეა-კიბელე 65
როდოსი 10
რომი 6, 75

ს

საბერძნეთი 9, 10, 11, 12, 26, 35, 59, 65, 66, 78, 81
სალმონევსი 51, 77, 78, 80
სამოსი 10
სარპედონი 57
სატირები 38
სატურნუსი 76
სელენე 19, 67, 76
სემელე 34
სენეკა 9
სერიფოსი 10
სთენო 20
სილენოსი 38, 73
სირია 39, 81
სისიფოსი 51
სიფნოსი 10
სიცილია 37, 63
სოლი 76
სოტერი 56
სოფოკლე 8
სპარტა 10, 66
სპორადები 10
სტეროპესი 15, 65
სტიქსი 19, 22, 26, 27, 47
სფინქსი 21, 67

ტ

ტარტაროსი 27, 28, 29, 35, 38, 39, 40, 43, 48, 61, 67
ტეთისი 15, 19, 31, 32, 60, 64
ტერფსიქორე 32
ტინდარეოსი 57
ტირინსი 10, 63
ტისიფონე 63
ტიტანი 17, 19, 20, 26, 27, 28, 29, 30, 35, 39, 43, 44, 48
ტიტანისი 19, 31, 32
ტიფოევსი 74
ტიფონი 21, 38, 39, 40, 41, 67, 73, 74
ტრაპეძოსი 50
ტრიოფსი 41
ტროა 7, 11, 12, 49, 54
ტროადა 11

უ

ულიქუმი 71, 74
ურანია 32
ურანიდები 17
ურანოსი 15, 16, 17, 19, 23, 24, 27, 31, 32, 34, 39, 62, 63, 65, 71

ფ

ფანესი 60
ფილემონი 54, 55, 78, 80
ფილოტესი 18
ფინიკია 11
ფიქსი 67
ფლეგრე 35, 36
ფოიბე 15, 20, 32, 64
ფოიბოსი 67
ფოკისი 10
ფორკისი 19, 20, 22, 67, 69
ფორონეა 57
ფორონევსი 57
ფრიგია 11, 65

ქ

ქაოსი 29, 71
ქარისი 32, 46
ქიმერა 21
ქიოსი 10
ქირონი 52
ქიშარი 72
ქრისაორი 21, 67
ქსენიოსი 54, 55
ქსენოფონი 8
ქუმარბი 71
ქუმია 71

შ

შავიზღვისპირეთი 10, 11
შლიმანი 12

ძ

ძაკინთოსი 10
ძეთოსი 57
ძელოსი 22, 26

ხ

ხმელთაშუა ზღვა 9
ხმელთაშუაზღვისპირეთი 11, 12

ჰ

ჰადესი 23, 27, 30, 32, 38, 39, 45, 78
ჰაიმოსი 40
ჰამი 64
ჰარპია 20
ჰებე 33, 46
ჰეკატე 22, 37, 69
ჰეკატეოს მილეტელი 8
ჰეკატონხეირები 15, 28
ჰელანიკოს მიტილენელი 8
ჰელიოსი 19, 63, 64, 67, 76
ჰემერა 14
ჰერა 23, 33, 36, 39, 42, 45, 48, 49, 52, 53, 57, 58, 59, 74, 76, 81
ჰერაკლე 12, 21, 34, 36, 37, 38, 45, 80
ჰერკეოსი 56
ჰერმესი 33, 38, 39, 40, 42, 45, 46, 52, 55, 58, 76
ჰეროდოტე 8, 75, 82
ჰესიოდე 7, 60, 62, 63, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 77, 82
ჰესპერა 18
ჰესპერია 18
ჰესპერიდები 18
ჰესპერისი 18, 20, 30, 67
ჰესპერუსა 18
ჰესტია 18, 23, 45, 48, 76
ჰეფესტო 33, 37, 43, 45, 49, 63, 76
ჰიგინუსი 9, 70, 72, 74, 75, 77, 78
ჰიდრა 21
ჰიკესიოსი 56
ჰიმეროსი 17
ჰიპერიონი 15, 19, 64, 67
ჰიპნოსი 17
ჰიპოლიტოსი 38
ჰომეროსი 7, 60, 63, 72, 74, 75, 77, 78, 80, 82
ჰორკოსი 18

სერიის „ბერძნული მითების სამყარო“ წიგნები:

- ქაოსიდან კოსმოსამდე (ურანოსი, კრონოსი, ზევსი)
- დიდი ზეციური ღმერთები
- ზღვა და მიწისქვეშეთი. მცირე ღვთაებანი
- პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები
- ასპარეზზე გამოდიან გმირები
- არგონავტები
- შვიდკარიბჭიანი თებე ოიდიპოსი
- ტროას ომი
- ტროას ომის შემდეგ
- მითების სიბრძნე